პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

26 დეკემბერი **შაბათი** 2009

№ 305 (12 984) ფასი 1 ლარი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლიდერობა ყველას არ შეუძლია...

## ...ბუნებით უნდა იყო ასეთი

**დრომ გვიჩვენა, რომ ჩვენს ნაკრებს ქართველი მწვრთნელი უნდა ჰყოლოდა...**



შაბათის სტუმარი

**ლევან კობიაშვილი**

» გვერდი 10-11



## დაანებეთ თავი ქეცბაიას!

» გვერდი 3

საქართველოს ჩემპიონატი

**მეორე ეტაპის კალენდარი**

## 6 თებერვლიდან 20 მაისამდე...

» გვერდი 3



## დღევანდელ ლელოში

**ლეო მესის პოსტერი-კალენდარი**


unicef

ეროვნული ნაკრები


თემურ ქეცბაია

# ქეცბაიამ კვიპროსიდან შეთავაზება მიიღო...

დიახ, ეს ნამდვილი ამბავია და ბერძნული წყაროების გარდა, ფაქტი საქართველოშიც დაგვიდასტურეს. არაერთხელ გვითქვამს და კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ **თემურ ქეცბაიას** კონტრაქტი, რომელიც 6 ნოემბერს წარმომადგენლობით ატმოსფეროში გაფორმდა, 2010 წლის 1 იანვრიდან შედის ძალაში. მიუხედავად ამისა, კვიპროსის „ომონიამ" საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელის გადაბირება სცადა. ეს სულ ახლახან, წინა კვირის მიწურულს მოხდა. ჯერ იმას გეტყვით, რომ „ომონიას" თემურ ქეცბაიასთან კონტრაქტის გაფორმება ჯერ კიდევ ოქტომბერში, „ოლიმპიაკოსიდან" მისი წასვლის შემდეგ სურდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ნიქოზიური გრანდის ხელახალ მცდელობაზე ინფორმაცია ბერძნულენოვანმა ვებგვერდმა „სიგმალაივმა" გაავრცელა და სპეციალური მასალაც მიუძღვნა. აი, რას წერს ხსენებული საიტი:

*„ომონიას" ხელმძღვანელობა ახალ მწვრთნელზე სერიოზულად დაფიქრდა. კლუბის მესვეურებმა თავიდანვე თემურ ქეცბაიაზე დაიწყეს მუშაობა. ისინი სამშობლოში მყოფ ქართველ სპეციალისტს დაუკავშირდნენ და „ომონიაში" მუშაობა კიდევ ერთხელ შესთავაზეს. ქეცბაიამ კვიპროსული კლუბის მიმართ დიდი სიმპათია კი გამოხატა, მაგრამ მისი ხელმძღვანელობა თავაზიანი ბოდიშით გაისტუმრა - უკვე გადაწყვეტილია, რომ საქართველო ეროვნულ გუნდს ვუთავკაცებ და ოფიციალურად მუშაობას ახალი წლიდან შევუდგებიო. ქეცბაიას არც ის დაუმალავს, რომ ახალ საქმეს უკვე შეუდგა და ის საფუძველიც ჩაყარა, რაზეც მისი სამოქმედო გეგმა დაეფუძნება... მოკლედ, ქეცბაია მშობლიური ქვეყნისა და ახლახან გაფორმებული კონტრაქტის ერთგული დარჩა... სხვაგვარი ქმედება მისგან მოსალოდნელიც არ იყო".*

როგორც ირკვევა, „ომონიას" უფროსებმა მწვრთნელის შეცვლის საკითხი მას შემდეგ წამოწიეს, რაც გუნდი აელ-თან შინ თასის გათამაშების მატჩში დამარცხდა. ამის პასუხად „ომონიას", რომელიც აპოელ-თან ერთად ლიდერობს ჩემპიონატს, მთავარი მწვრთნელი ჯერ არ შეუცვლია - გუნდს კვლავაც ადგილობრივი სპეციალისტი **ტაკის ლემონისი** ხელმძღვანელობს.

თბილისში მყოფ ქეცბაიას ეს ამბავი არ დაუმალავს. მის კვიპროსულ შეთავაზებაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაშიც იციან. თემურმა სამშობლოში რამდენიმე დღე დაჰყო და ოჯახის წევრებთან ერთად უკვე კვიპროსში ისვენებს. როგორც ვწერდით, ქეცბაია იანვრის შუა რიცხვებში თურქეთის კურორტ ანთალიაში ჩავა, სადაც იმ მომენტისთვის არაერთი ქართველი ლეგიონერი იქნება მოსამზადებელ შეკრებაზე თავიანთ გუნდებთან ერთად. ეროვნული გუნდის წევრ-კანდიდატებს ის სწორედ ანთალიური სპარინგებისას დააკვირდება.

გავიგეთ ისიც, რომ ქეცბაიამ უკვე ჩამოწერა ნაკრების გაფართოებული სია, რომელშიც რამდენიმე ათეული ფეხბურთელია. თურქული ვოიაჟის შემდეგ ეს სია შეიძლება გადასახედი ან დასახვეწი გახდეს.

ანთალიიდან ნაკრების მწვრთნელი თბილისში დაბრუნდება და სამოქმედო გეგმას ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას წარუდგენს. შემდეგ მოდის მნიშვნელოვანი თარიღი - 7 თებერვალი, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა, რომელსაც მთავარი მწვრთნელიც დაესწრება. თებერვლის მეორე ნახევრიდან კი ესტონეთთან 3 მარტის ამხანაგური მატჩისთვის მზადება დაიწყება.

**დავით ცაბაძე**

## საქართველოს ჩემპიონატი

მეორე ეტაპის კალენდარი

**III წრე**

**XIX ტური**

**6 თებერვალი, შაბათი**
ვიტ ჯორჯია-სამტრედია
სიონი-სპარტაკი

**7 თებერვალი, კვირა**
ზესტაფონი-ლოკომოტივი
ოლიმპი-ბაია

**8 თებერვალი, ორშაბ.**
დინამო-გაგრა

**XX ტური**

**12 თებერვალი, პარასკევი**
სპარტაკი-ბაია
სიონი-დინამო
გაგრა-ვიტ ჯორჯია

**13 თებერვალი, შაბათი**
სამტრედია-ზესტაფონი
ლოკომოტივი-ოლიმპი

**XXI ტური**

**16 თებერვალი, სამშაბათი**
დინამო-სპარტაკი
ვიტ ჯორჯია-სიონი

**17 თებერვალი, ოთხშაბათი**
ზესტაფონი-გაგრა
ოლიმპი-სამტრედია
ბაია-ლოკომოტივი

**XXII ტური**

**20 თებერვალი შაბათი**
დინამო-ვიტ ჯორჯია

**21 თებერვალი, კვირა**
სამტრედია-ბაია
გაგრა-ოლიმპი
სიონი-ზესტაფონი
სპარტაკი-ლოკომოტივი

**XXIII ტური**

**26 თებერვალი, პარასკევი**
ვიტ ჯორჯია-სპარტაკი
ზესტაფონი-დინამო
ბაია-გაგრა
ოლიმპი-სიონი

**27 თებერვალი, შაბათი**
ლოკომოტივი-სამტრედია

**XXIV ტური**

**6 მარტი, შაბათი**
დინამო-ოლიმპი
ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი
სიონი-ბაია
გაგრა-ლოკომოტივი

**7 მარტი, კვირა**
სპარტაკი-სამტრედია

**XXV ტური**

**13 მარტი, შაბათი**
ოლიმპი-ვიტ ჯორჯია

**14 მარტი, კვირა**
ზესტაფონი-სპარტაკი
ლოკომოტივი-სიონი
ბაია-დინამო
სამტრედია-გაგრა

**XXVI ტური**

**19 მარტი, პარასკევი**
ვიტ ჯორჯია-ბაია
სპარტაკი-გაგრა
დინამო-ლოკომოტივი

**20 მარტი, შაბათი**
ზესტაფონი-ოლიმპი
სიონი-სამტრედია

**საქართველოს თასი**
**23 მარტი, სამშაბათი**
1/2 ფინალი. პირველი მატჩები

**XXVII ტური**

**27 მარტი, შაბათი**
ბაია-ზესტაფონი
ოლიმპი-სპარტაკი
ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია
სამტრედია-დინამო
გაგრა-სიონი

**IV წრე**

**XXVIII ტური**

**3 აპრილი, შაბათი**
ლოკომოტივი-ზესტაფონი
სპარტაკი-სიონი
სამტრედია-ვიტ ჯორჯია
ბაია-ოლიმპი
გაგრა-დინამო

**XXIX ტური**

**10 აპრილი, შაბათი**
ბაია-სპარტაკი
ზესტაფონი-სამტრედია
ვიტ ჯორჯია-გაგრა
დინამო-სიონი

**11 აპრილი, კვირა**
ოლიმპი-ლოკომოტივი

**საქართველოს თასი**
**14 აპრილი, ოთხშაბათი**
1/2 ფინალი.
საპასუხო მატჩები

**XXX ტური**

**17 აპრილი, შაბათი**
სამტრედია-ოლიმპი
გაგრა-ზესტაფონი

**18 აპრილი, კვირა**
ლოკომოტივი-ბაია
სპარტაკი-დინამო
სიონი-ვიტ ჯორჯია

**XXXI ტური**

**24 აპრილი, შაბათი**
ვიტ ჯორჯია-დინამო

**25 აპრილი, კვირა**
ბაია-სამტრედია
ოლიმპი-გაგრა
ზესტაფონი-სიონი
ლოკომოტივი-სპარტაკი

**XXXII ტური**

**30 აპრილი, პარასკევი**
გაგრა-ბაია

**1 მაისი, შაბათი**
სპარტაკი-ვიტ ჯორჯია
სამტრედია-ლოკომოტივი
დინამო-ზესტაფონი
სიონი-ოლიმპი

**XXXIII ტური**

**5 მაისი, ოთხშაბათი**
ლოკომოტივი-გაგრა
სამტრედია-სპარტაკი
ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია
ოლიმპი-დინამო
ბაია-სიონი

**XXXIV ტური**

**9 მაისი, კვირა**
გაგრა-სამტრედია
სპარტაკი-ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია-ოლიმპი
სიონი-ლოკომოტივი
დინამო-ბაია

**XXXV ტური**

**15 მაისი, შაბათი**
ბაია-ვიტ ჯორჯია
ოლიმპი-ზესტაფონი
გაგრა-სპარტაკი
სამტრედია-სიონი
ლოკომოტივი-დინამო

**XXXVI ტური**

**20 მაისი, ხუთშაბათი**
ზესტაფონი-ბაია
სპარტაკი-ოლიმპი
ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი
დინამო-სამტრედია
სიონი-გაგრა

**საქართველოს თასი**
**ფინალი.** 25 მაისი, სამშაბათი

## სატრანსფერო ამბები

# დიდი მიდი-მოდი

„ოლიმპში" მორიგი საკადრო გადაადგილებებია. პირველი ეტაპის დასრულებისთანავე, კლუბი სამმა ბრაზილიელმა - **ედი სალესმა, ჯერონიმო ოლივეირამ და ჟონატას კარდოზომ** დატოვეს. რუსთავს ქართველებმაც (**ვალერი აბრამიძე, გია თოდუა, ოლეგ გველესიანი**) დაუქნიეს ხელი.

არ არის გამორიცხული, ნიჭიერმა **დავით კაკულიამ** კარიერა ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში გააგრძელოს. ამასთან, „ოლიმპის" ხელმძღვანელობას გაძლიერება სურს და ჟოდინოს „ტორპედოს" **გიორგი ჭედიას** გამოსყიდვაზე ელაპარაკება.

მოსამზადებელ ეტაპზე გუნდს შეუერთდებიან ნახევარმცველები - **გია კვარაცხელია** მინსკის „მტზ-რიპოდან", **პავლე დათუნაიშვილი** ცხინვალის „სპარტაკიდან" და თავდამსხმელი **რევაზ ჯიქია** ზუგდიდის „ბაიადან".

რუსთავში დამკვიდრებას ბოლნისის „სიონის" ერთდროულად სამი ფეხბურთელი შეეცდება და სამივე ნახევარმცველი - **თორნიკე თარხნიშვილი, გიორგი ხიდეშელი და გელა ხუბუა**. ეს უკანასკნელი „ოლიმპში" ისედაც თამაშობდა და სეზონის ბოლოს გაუშვეს. ჩვენი ინფორმაციით, კლუბის თავკაცებს აზერბაიჯანში მოთამაშე ერთ-ერთი ქართველი ლეგიონერის ჩამოყვანაც სურთ, თუმცა მის ვინაობას არ ასახელებენ...

**მერაბ მამულაშვილი**

## მეგოლეები


შოთა არველაძემ აიაქსში 75 გოლი გაიტანა

# შოთა ჩამოქვეითდა

ეროვნული ნაკრების ყოფილი ფორვარდი **შოთა არველაძე** საკლუბო კარიერაშიც გამორჩეული იყო. ამსტერდამის „აიაქსს" მის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ჰოლანდიურ გრანდში ის 1997-2001 წლებში ასპარეზობდა და 75 გოლიც გაიტანა. პოპულარული ადგილობრივი გამოცემა „ვოეტბალის" ცნობით, შოთა „აიაქსის" ყველა დროის ბომბარდირებს შორის მე-4 ადგილზე იყო...

თუმცა ბოლოს ის ერთი საფეხურით ჩამოქვეითდა. „ალკმაარის" ერთ-ერთ მწვრთნელს **ლუის სუარესმა** გაასწრო. ჰოლანდიის თასის გათამაშების ამასწინანდელ მატჩში „აიაქსმა" ერთ-ერთი უსახელო ქვედალიგოსანი 14:1 რომ „ასიამოვნა", ურუგვაელმა თავდამსხმელმა თავის წილად 6 გოლი შეაგდო და ამსტერდამული კლუბის სახელით გატანილი გოლების რაოდენობა 80-მდე აიყვანა, შესაბამისად, მეოთხე ადგილი ახლა სწორედ მისია.

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ „აიაქსის" ბომბარდირებს შორის 100 გოლით კვლავ ფინელი **იარი ლიტმანენი** ლიდერობს. ამდენივე ბურთი აქვს გატანილი შვედ **სტეფან პეტერსონს**, 92 გოლის ავტორია დანიელი შემტევი ნახევარმცველი **სიორენ ლერბიუ**.

**დავით ცაბაძე**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**
ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესკონფერენცია

# მუმლაძის მიწვევა და გამოწვევა

## ვისოლი-ავაზამ ფეხბურთში დიდი ამბიციებით შემოაბიჯა

„რა ლამაზი ლოგოა, ნეტა ვისია?", - ჩაიცინა საპრესკონფერენციო დარბაზში შემოსულმა „ვისოლის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **სოსო ფხაკაძემ** და საფეხბურთო კლუბ „ვისოლი-ავაზას" კედელზე გამოფენილ ლოგოს კმაყოფილმა გახედა...

არა, ლოგო მართლაც ლამაზია, მაგრამ არანაკლებ მოსაწონია ის ამბავი, რის გამოც გუშინ „ავაზას" საფეხბურთო სკოლაში „ვისოლის", ფეხბურთის ფედერაციისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა მედიასთან შეხვედრა გადაწყვიტეს - საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კომპანია საფეხბურთო ცხოვრებაში აქტიურად ჩაერთო და საკუთარი კლუბი ჩამოაყალიბა. „ვისოლი-ავაზა" რეგიონალლიგაში წელს ჩაერთო და რაც არ უნდა უცნაური იყოს, მის მთავარ მწვრთნელად „ვიტ ჯორჯიას" ჩემპიონად ამყვანი **რამაზ მუმლაძე** დაინიშნა.

„ამაზე უკეთესი მიწვევა რა უნდა მქონდეს?! უფრო სწორად, გამოწვევა. უმაღლესი ლიგის გუნდი არაა, მაგრამ უმაღლესი მიზნები აქვს და წინადადებამაც ამიტომ მომხიბლა. ამჟამად, გუნდში 1992 წელს დაბადებულები თამაშობენ. მომავალი წლისთვის პირველ ლიგაში გადასვლა გვსურს, იქ კი უმაღლესისთვის ვიბრძოლებთ", - ამბობს მუმლაძე და ამით ყველას მიანიშნებს, რომ ძველზე არანაკლებ სერიოზულ გეგმებს შეექიდა.

„რამაზ მუმლაძე გასულ სეზონში წლის საუკეთესო ქართველ მწვრთნელად დაასახელეს და მისი მხრიდან, რეგიონალლიგაში მუშაობა გაბედული ნაბიჯი იყო. ამისთვის, ბატონ რამაზს მადლობას ვუხდი. ეტყობა, კარგად იგრძნო ის დინამიკა, რაც ჩვენს კომპანიას ახასიათებს. ზოგჯერ უფრო საინტერესოა, როდესაც საქმეს ნულიდან იწყებ. ჩვენ კი, რასაც გავაკეთებთ, ყველაფერში ლიდერობა გვსურს", - ამბობს სოსო ფხაკაძე.

„ვისოლის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ლევან ფხაკაძემ** სხვა ამბიციური ჩანაფიქრიც გაამხილა: „კომპანია მხოლოდ ფეხბურთით არ შემოიფარგლება. სარაგბო გუნდ „ვისოლი-ყოჩების" გასაძლიერებლად, ბათუმიდან მთავარ მწვრთნელად ლევან მგელაძე მოვიწვიეთ. ფეხბურთში მუმლაძე, რაგბიში მგელაძე - „ვისოლის" ამბიციებს სწორედ ასე შეეფერება".

**დავით ნამგალაური**, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე: „სახელმწიფომ კერძო ბიზნესი სპორტული ობიექტების ასაშენებლად წაახალისა. „ვისოლმა" სპორტში ინვესტიციის ჩადების თაობაზე, სახელმწიფოს წინაშე დადებული პირობა პირნათლად შეასრულა და პროგრამები ლამის 100 პროცენტით განახორციელა. „ვისოლის" სპორტული კომპლექსებით უკვე ნაკრები გუნდები სარგებლობენ. საბოლოოდ, მაინც იმისკენ მივდივართ, რომ სპორტი კერძო სტრუქტურების გარეშე ვერ განვითარდება. ასეთია საერთაშორისო ფედერაციების მოთხოვნებიც და სასიხარულოა, რომ „ვისოლი" ამ პროცესში საკუთარი სურვილით ჩაერთო. როცა ფეხბურთში მუმლაძე მიგყავს და რაგბიში მგელაძე, ასეთი გუნდებისგან მხოლოდ წარმატებებია მოსალოდნელი".

ზვიად სიჭინავა, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი: „მინდა, გადაგიხადოთ მადლობა იმისთვის, რასაც აკეთებთ. მზად ვარ, დაგეხმაროთ ყველაფერში, რაც ფედერაციისგანაა შესაძლებელი. მაგალითად, 2010 წელს საფეხბურთო სკოლების მენეჯმენტისა და მწვრთნელთა კვალიფიკაციის გასაუმჯობესებლად სემინარი იგეგმება. მზად ვარ, ორშაბათიდანვე ყველა საკითხი განვიხილო".

ლევან ფხაკაძე: „ბოლო ორი წლის განმავლობაში კომპანიამ სპორტულ პროგრამებში 8 მილიონი ლარი დახარჯა. ავაშენეთ ველოტრეკი, მორაგბეთა უნიკალური, ორმოედნიანი ბაზა, თანამედროვე სპორტული კომპლექსი სოფელ დიღომში; ფაქტობრივად, თავიდან მოეწყო "ავაზას" საფეხბურთო სკოლა. დასრულდა შუამთის სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია და ასე შემდეგ. უმაღლეს მიზნებს ვისახავთ და საჭიროა ბავშვთა ფეხბურთის მიხედვა. ეს იქნება ჩვენი წვლილი ქართული ფეხბურთის განვითარების საქმეში, რადგან ხალხი დიდი ხანია წარმატებას ელის. კარგია, რომ სახელმწიფო, სპორტის დეპარტამენტი და ფეხბურთის ფედერაცია მხარს გვიჭერენ. სხვაგვარად, სპორტი ვერ განვითარდება. არასწორია ინფორმაცია, თითქოს, „ავაზაში" ბავშვები ყოველთვიურად 50 დოლარს იხდიან - გადასახადი 60 ლარია. აქამდე, გადახდის სისტემა მოუგვარებელი იყო. არ არსებობდა ბუღალტერია, კონტროლი... მშობლები ფორმის, მსაჯებისა და ტურნირში მონაწილეობის ფულს იხდიდნენ, მაგრამ მისი აღრიცხვა არ ხდებოდა. დღეს ეს პრობლემა მოხსნილია. მერწმუნეთ, თვითდაფინანსებისთვის 60 ლარიც არასაკმარისია. ამიტომ, სკოლა დოტაციაზეა. თუმცა 30 პერსპექტიული ბავშვი, რომელთაც ფინანსური შესაძლებლობა მწირი აქვთ, გადასახადისგან გავათავისუფლეთ".

**მერაბ მამულაშვილი**

საქველმოქმედო აქცია

# კახა კლაუსი

## კალაძემ მიუსაფარი ბავშვები დაასაჩუქრა

როგორც გაუწყებდით, სამშობლოში დროებით დაბრუნებულ **კახა კალაძეს** მზრუნველობას მოკლებული ბავშვები უნდა მოენახულებინა. გუშინ ეს აქცია საქველმოქმედო ფონდ „კალას" ეგიდით შედგა. მსგავსი ღონისძიებები ტრადიციად იქცა. ნაკრების კაპიტანი წყნეთის ბავშვთა სახლს მეუღლესთან, **ანუკი არეშიძესა** და ფონდის სხვა წევრებთან ერთად ეწვია. პატარებს ნაძვის ხე, ხილი, ტკბილეული და სხვა ნუგბარი დაურიგეს. მასპინძლებმა კი სტუმრებს ნახევარსაათიანი საახალწლო წარმოდგენა შესთავაზეს.

„ეს პატარები მზრუნველობას არიან მოკლებულნი და მათ ყველაზე მეტად სჭირდებათ სითბო, სიყვარული, ყურადღება... გვინდა, მათაც ჰქონდეთ საახალწლო განწყობა. ჩვენი მოსვლაც სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. სხვათა შორის, ეს საქველმოქმედო ფონდ „კალას" პირველი აქცია არ არის. მსგავსი ღონისძიება აქამდეც არაერთი გვქონია და მომავალშიც გვექნება. ვფიქრობ, რამდენიმე საათით მაინც გავახალისეთ ამ ბავშვების ცხოვრება. შევპირდი, რომ კიდევ მოვალთ. მე მათი უფროსი მეგობარი ვარ და ყველთვის გვერდში დავუდგები... მე და ანუკი ბედნიერები ვართ, რომ პატარებს ახალი წელი მივულოცეთ და ლამაზი დღე ვაჩუქეთ", - თქვა კალაძემ.

ბუნებრივია, ვისარგებლეთ შემთხვევით და ნაკრების კაპიტანს ბოლო სატრანსფერო მითქმა-მოთქმაზეც ვკითხეთ.

„ჩემს სავარაუდო ტრანსფერზე ბევრი დაიწერა, ხან „ბაიერნში" „გადამიყვანეს", ხან „ლივერპულში", დაიწერა სანკტ პეტერბურგის „ზენიტზე", კიევის „დინამოზე", „ფიორენტინაზე"... კიდევ ერთხელ საჯაროდ ვაცხადებ - არც პირადად მე და არც ჩემს აგენტს არც ერთ კლუბთან მოლაპარაკება არ გვქონია... მართალია, თამაში ისე ხშირად აღარ მიწევს, როგორც შარშან და წინა წლებში, მაგრამ ამას ობიექტური მიზეზიც აქვს - მძიმე ტრავმისა და შემდგომი ოპერაციის გამო მთელი 8 თვე გამიცდა. აქედან გამომდინარე, "მილანის" სასტარტოში ჩემი ადგილი სხვამ დაიკავა... ამ ვითარებაში ყველაზე



იოლი გამოსავალი სხვა გუნდში გადასვლაა, მაგრამ ამაზე არ ვფიქრობ. მჯერა, ჩემი შრომით კიდევ ერთხელ დავამტკიცებ, რომ „მილანის" ძირითად შემადგენლობაში თამაშს ვიმსახურებ".

კალაძეს 2009 წლის ზოგადი შეფასებაც ვთხოვეთ: „სპორტული თვალსაზრისით, გასული წელი ჩემთვის მძიმე იყო. ტრავმასა და რთულ ოპერაციაზე უკვე ვილაპარაკე. ნაკრებშიც ცოტა მატჩი ჩავატარე და პლუს ამას, 2009 წელი წარუმატებელი იყო ჩვენი ეროვნული გუნდისთვისაც... პირად ცხოვრებაში კი პირიქით, ბევრი სასიხარულო მოვლენა სწორედ 2009 წელს მოხდა - ოჯახი შევქმენი, ვაჟი შეგვეძინა, რომელსაც ლევანი დავარქვით... ვისურვებდი, რომ 2010 წელი მთელი საქართველოსთვის, მთლიანად ქართული ფეხბურთისა და ჩემი ოჯახისთვის ბედნიერი ყოფილიყოს".

დამშვიდობებამდე კახამ ბავშვებს დაჟინებული თხოვნა შეუსრულა და ხელოვნურსაფრიან მოედანზე მათთან ერთად ფეხბურთი ითამაშა...



**დავით ცაბაძე**

ავტორის ფოტოები

ფელეტონი

# ფიქრები კულტურასა და კიდევ რაღაცაზე

ვის გახსოვთ რა არის ვუვუზელა? რასაკვირველია, ყველას - ეს იგივეა, რაც ლეპატატა. ესე იგი, ვუზუზელას სეტსვანას ენაზე ლეპატატა ჰქვია. სეტსვანას ენაზე კი უფრო ბოტსვანაში ლაპარაკობენ.

ჰოდა, სწორედ იმ დღეს გამახსენდა, ვუვუზელა ავკრძალოთო, ერთი ამბავი რომ ატეხეს და, მართალი გითხრათ, აღვშფოთდი. როგორ შეიძლება! პირველად ფეხბურთის ისტორიაში მსოფლიო ჩემპიონატი აფრიკაში ტარდება და მასპინძლებს იმდენად არ ვცემთ პატივს, რომ ჯერ გამარჯობაც არ გვითქვამს, დავეტაკეთ, ვუვუზელა უნდა აგიკრძალოთო. პირდაპირ ცრემლი მომადგა თვალზე. წარმოიდგინეთ, ერთ მშვენიერ დღეს მსოფლიოს ჩემპიონატს საქართველო რომ უმასპინძლებს, ბობოყვათიდან არხილოსკალომდე ერთიმეორეზე უკეთეს სტადიონებს (ინფრასტრუქტურას რომ ეძახიან) რომ ავაშენებთ, მარტო ვერტყვიჭალაში სამ ხუთვარსკვლავიან სასტუმროს რომ წამოვჭიმავთ და მადლობის ნაცვლად რომ გვეტყვიან, გუდასტვირი უნდა აგიკრძალოთო. არის თუ არა ეს, საკუთარი დასავლური კულტურის თავზე ძალად მოხვევა? რა თქმა უნდა, არის, აბა, სხვა რა ჯანდაბაა. შენ, შოტლანდიელო, „იუბკით" სიარულის უფლება გაქვს - ეს ეროვნული კულტურაა; შენ, ჰოლანდიელო, ქუჩაში „ფისი-ფისის" გაკეთება გეპატიება - ესეც ეროვნული ადათ-წესების ნაწილია და მე, სამხრეთაფრიკელს იმის უფლება არ მაქვს, რომ ერთი თვის განმავლობაში, ფეხბურთის მატჩებზე, ყურებში ვუვუზელა გიჟყვიტინო? და მე ქართველს? იქნებ, გუდასტვირზე მინდა დაკვრა? ან, იქნებ, სადაც შენი „შოტლანდკა" იქაც ჩემი „აჭარულის" ტანსაცმელი. იქნებ, სამოცდაათი ათას ქართველს ესპანეთთან ნახევარფინალში სწორედ ასე გამოწყობილს გვინდა მისვლა და საკუთარი გუნდის მხარდაჭერა.

თუმცა, კიდევ კარგი, ესპანეთთან ნახევარფინალამდე დრო გვაქვს. მანამდე, ბელგიასთან იქნება მეოთხედფინალი, რომელსაც პენალტებით ან დამატებით დროში 4:3-ს მოვიგებთ. კიდევ უფრო ადრე კი...

ისე, რა მაგის პასუხია და, რა მაინტერესებს, იცით? მარტო საქართველოს მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებას მოგვცემენ? არა, რომ გავქაჩავთ, ორი აზრი არ არის, მაგრამ ხომ იცით, შარს მოგვდებენ პატარა ქვეყანა ხართო და ატეხავენ ერთ ამბავს - კონკურენცია ოხერია. იქნებ, სამხრეთ ოსეთთან ერთად შეგვეტანა განაცხადი? თუმცა, სამხრეთ ოსეთი ქვეყნად ნაურუს მეტს არავის ულიარებია და ისიც, მგონი (მთელი 21 კვადრატული კილომეტრი) წყალში იძირება - მანდ წყნარი ოკეანის დონე მატულობს. ნეტა, ნაურუელებმა თუ იციან ვუვუზელა რა არის?

და გუდასტვირი?

თუმცა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მანამდე დიდი დროა. და საერთოდ, იმისათვის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება მოგვცენ, ინფრასტრუქტურა უნდა განვავითაროთ. უნდა ავაშენოთ სტადიონები, ბაზები, ვერტყვიჭალის სასტუმროები, გავიყვანოთ გზები, გავზარდოთ სახინკლეების რაოდენობა. ჰო, მართლა, სტადიონებს რომ ავაშენებთ, ტუალეტები არ უნდა დაგვავიწყდეს. თამაშზე მისული ოცდაათი ათასი კაციდან ერთდროულად ასს მაინც რომ მოუნდეს საპირფარეშოში შესვლა, არ უნდა შევრცხვეთ, თორემ მერე ჰოლანდიას დავემსგავსებით (იხ. ორიოდ აბზაცის ზევით, სადაც „ფისი-ფისიზე" ვლაპარაკობდით). ამას დიდი სტადიონის და ცოტა პისუარის მწარე გამოცდილება გვალაპარაკებს. ერთი სიტყვით, უნდა ვაშენოთ და ვაშენოთ - აბა, ისე, მეოთხედფინალში ბელგიას როგორ შევხვდებით.

ასე ფიქრობდა ფერდინანდ კუთხურსკი (ნიუნი კუთხურსკიდან) ჯდა მტირალი წყლისა პირსა და როდესაც

**ილია ბაბუნაშვილი**

დაინახა, ფიქრის ჩანაწერი რედაქციაში გამოატანა

## მილოცვა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი დაბადებიდან 55 წელს ულოცავენ თბილისის „დინამოსა" და ლანჩხუთის „გურიას" ვეტერან ფეხბურთელს, სსრ კავშირის თასის მფლობელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ღირსების ორდენის კავალერს ვახტანგ კოპალეიშვილს.

# ოლიმპი ოლიმპზე

**ოლიმპი**

| სულ | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 18 | 14 | 3 | 1 | 42-13 | 45 |
| შინ | | | | | |
| თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 9 | 7 | 2 | 0 | 21-2 | 23 |
| შინ | | | | | |
| თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 9 | 7 | 1 | 1 | 21-10 | 22 |

ოლიმპი ყველა მატჩი პირველ ეტაპზე

| | | |
|---|---|---|
| I ტური | ბაია-ოლიმპი | 1:2 |
| II ტური | ლოკომოტივი- ოლიმპი | 0:2 |
| III ტური | ოლიმპი-სამტრედია | 5:0 |
| IV ტური | გაგრა-ოლიმპი | 0:1 |
| V ტური | ოლიმპი -სიონი | 3:0 |
| VI ტური | დინამო- ოლიმპი | 4:0 |
| VII ტური | ოლიმპი-ვიტ ჯორჯია | 0:0 |
| VIII ტური | ზესტაფონი-ოლიმპი | 2:2 |
| IX ტური | ოლიმპი-სპარტაკი | 1:1 |
| X ტური | ოლიმპი-ბაია | 2:0 |
| XI ტური | ოლიმპი-ლოკომოტივი | 3:1 |
| XII ტური | სამტრედია-ოლიმპი | 0:4 |
| XIII ტური | ოლიმპი - ოლიმპი | 5:0 |
| XIV ტური | სიონი- ოლიმპი | 0:6 |
| XV ტური | ოლიმპი -დინამო | 1:0 |
| XVI ტური | ვიტ ჯორჯია- ოლიმპი | 1:2 |
| XVII ტური | ოლიმპი -ზესტაფონი | 1:0 |
| XVIII ტური | სპარტაკი - ოლიმპი | 1:2 |

მეკარეები: გია ჭანტურია - 17, მიხეილ ალავიძე - 2;

მცველები: ალექს ფრაგა - 17 (1 გოლი), სევასტი თოდუა - 16, გიორგი რეხვიაშვილი - 13 (1), ვალერი აბრამიძე - 11 (1), ოლეგ გველესიანი - 10, ნოდარ მაჭავარიანი - 9 (1), დაჩი ფოფხაძე - 9;

ნახევარმცველები: შოთა ბაბუნაშვილი - 18 (2), დენის დობროვოლსკი - 18, ჯერონიმო - 17 (3), დავით იმედაშვილი - 14 (3), ზაზა ჭელიძე - 12, დავით კაკულია - 3, გიორგი გორდეზიანი - 0, გიორგი ჭელიძე - 0.

თავდამსხმელები: ანდერსონ აკინო - 16 (18), გიორგი ჭედია - 12 (6), ჟონატასი - 9 (3), გია თოდუა - 8 (1), ედი სალესი - 6 (2), ჩოკო - 6, მეგრელაძე - 0, აკაკი მიკუჩაძე - 0, ირაკლი სირბილაძე - 0, გაგა ჩხეტიანი - 0.

მთავარი მწვრთნელები: ოთარ კორღალიძე (VIII ტურის ჩათვლით), თემურ მახარაძე

რუსთავის „ოლიმპს" სააქციო საზოგადოება „რუსთავის ფოლადი" და სამხარეო ადმინისტრაცია აფინანსებენ. მართალია, გენერალური დირექტორის პოსტზე ვილი ელიგულაშვილი გელა ნიკოლეიშვილმა შეცვალა, მაგრამ ვითარება უცვლელი დარჩა - კომბინატის ხელმძღვანელობა ფეხბურთზე ძველებურად ზრუნავს, რადგან ფეხბურთი ქარხნის სოციალური პროგრამის ნაწილია...

## სამხარეო ადმინისტრაცია, მეტალურგები და ფეხბურთი

„ოლიმპის" ვიცე-პრეზიდენტ **ზურაბ ჯაფარიძის** თქმით, არის საფუძვლიანი იმედი, რომ მომავალი წლისთვის მილიონდოლარიან ბიუჯეტს დაუმტკიცებენ. არ დაგვავიწყდეს, რომ კლუბს სამხარეო ადმინისტრაციაც არანაკლებ ეხმარება.

კლუბის განვითარებაში ვილი ელიგულაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა. როცა მეტალურგიულ წარმოებას ყველგან გაუჭირდა და ლამის გაკოტრების პირას მივიდა, ასეთ ფონზე, რუსთავის „ოლიმპი" კიდევ უფრო გაძლიერდა. ეს იყო ქართული ფეხბურთის თანადგომისკენ მიმართული ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია **დავით კირკიტაძე** - ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ფეხბურთზე გამორჩეულად ზრუნავს. სანამ რეგიონს ის ხელმძღვანელობს, მანამდე გუნდში მშვიდად არიან - კირკიტაძე უფეხბურთოდ ვერ გაძლებს.

ვფიქრობთ, რომ საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, ქართველი მეტალურგების და ხელისუფლების ერთობლივი სოციალური პროექტი ნებისმიერი სხვა საწარმოსა და რეგიონისთვის მისაბაძი უნდა გახდეს.

## სამი მთავარი მწვრთნელი

ევროსეზონი სულ ორ წრეს გაგრძელდა. ფარერულ „ტორსჰავნთან" ორივე შეხვედრის მოგების შემდეგ (2:0, 2:0), რუსთაველები ვარშავის „ლეგიასთან" დამარცხდნენ (0:3, 0:1).

პოლონელებთან შეხვედრის შემდეგ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადააყენეს ვარლამ კილასონია და პირველობის დაწყებამდე ბოლნისის „სიონიდან" ოთარ კორღალიძე ჩამოიყვანეს. მეცხრე ტურიდან გუნდს ბოლნისის „სიონიდან" წამოსული **თემურ მახარაძე** წვრთნის.

კორღალიძე პოსტიდან საქართველოს თასის მერვედფინალის ერთრაუნდიან შეხვედრაში საჩხერის „ჩიხურასთან" მარცხის (0:1) შემდეგ გადადგა.

## საკადრო რევოლუცია და ბრაზილიელები

ჩემპიონატის დაწყებამდე რუსთავის „ოლიმპი" ფეხბურთელთა ძალიან დიდმა ნაწილმა - მეკარეებმა **ბექა შეყრილაძემ, ზვიად სტურუამ,** მცველებმა **ავქსენტი გილაურმა, თემურ ლონლაძემ, მამუკა ლომიძემ** - დატოვა. სეზონის მსვლელობისას გაუშვეს საქართველოს ნაკრების წევრი **გიორგი სეთურიძე,** კლუბს დაემშვიდობნენ ნახევარმცველი **გიორგი ჭელიძე, გელა ხუბუა,** თავდამსხმელები - **გიორგი მეგრელაძე, გოგი ფიფია, ირაკლი სირბილაძე, აკაკი მიკუჩაძე** და **გაგა ჩხეტიანი.** მოკლედ, კლუბი ერთდროულად 13 (!) მოთამაშეს შეელია.

მათ ნაცვლად რამდენიმე ქართველი და ბრაზილიელი დაიმატეს: მეკარე **გია ჭანტურია,** მცველები - **დაჩი ფოფხაძე, სევასტი თოდუა, ვალერი აბრამიძე, ოლეგ გველესიანი,** ნახევარმცველები - **ზაზა ჭელიძე, დავით იმედაშვილი,** თავდამსხმელები - **გია თოდუა** და **გიორგი ჭედია.**

„ოლიმპში" სამხრეთამერიკული დესანტის გადმოსხმა შიდა საკლუბო მნიშვნელობის მოვლენას გასცდა: ბრაზილიაში მოღვაწე ქართველი სპეციალისტის **გოჩა ალადაშვილის,** მისი მეგობრის, **გია ფირცხალავას** ინიციატივითა და დავით კირკიტაძის ხელშეწყობით, ბრაზილიის უმაღლესი დივიზიონის" ატლეტიკო პარანენსედან" სეზონის დაწყებამდე 5 ბრაზილიელი დაიმატეს - მცველი **ალექს ფრაგა,** ნახევარმცველები **ჯერონიმო ოლივეირა, ანდერსონ აკინო,** აგრეთვე ფორვარდები **გილერმე ესტევაო ჩოკო** და **ჟონატას კარდოზო.** სეზონის მსვლელობისას, ხუთეულს კიდევ ერთი თავდამსხმელი **ედი სალესი** დაემატა.

## ახალი სატრანსფერო პოლიტიკა

„ოლიმპი" ერთგვარად, არასტაბილურობასთან ასოცირდებოდა. ყოველ ნახევარ სეზონში შემადგენლობა იცვლებოდა. წავიდოდა ერთი „პარტია" და მოვიდოდა ახალი. ასე მოხდა სეზონის დასაწყისშიც და ამის თაობაზე უკვე მოგახსენეთ. მიზეზი საკადრო პოლიტიკა გახლდათ - „ოლიმპი" ფეხბურთელებს, ხშირად, ნახევარწლიან კონტრაქტებს უფორმებდა.

არადა, შეთამაშებისა და გუნდად ჩამოყალიბების პროცესი ძალიან რთულია. ამის გამო, სეზონის დაწყებამდე გამართულ პრესკონფერენციაზე კლუბის ხელმძღვანელებმა შეცვლილ საკადრო პოლიტიკაზე პოზიცია საჯაროდ დააფიქსირეს - იანვრიდან კლუბში ჩარიცხულ ნებისმიერ მოთამაშესთან 2-წლიან კონტრაქტს გავაფორმებთ. საჭირო იყო გუნდის სახის ჩამოყალიბება, სტაბილური შემადგენლობა, რაც პროგრესისა და წინსვლის საფუძველი უნდა გამხდარიყო. წარმატებები კი ხალხს სტადიონზე დააბრუნებს.

## ახალი საფარი

„ოლიმპის" გაძლიერების პარალელურად, რუსთავში საფეხბურთო ცხოვრება გამოცოცხლდა და კლუბის ინფრასტრუქტურის განვითარებას შეუდგნენ. უეფას პროგრამა „ჰეთ-თრიკის" პროგრამით და სამხარეო ადმინისტრაციის დაფინანსებით, სტადიონზე მშვენიერი ხელოვნურსაფრიანი მოედანი დააგეს. მანამდე გუნდი თბილისში, ეროვნულზე და „ლოკომოტივზე", ბოლოს კი ბოლნისში თამაშობდა. 17 დეკემბერს სტადიონმა პირველ შეხვედრას უმასპინძლა - სუპერთასის მონაწილეებს საფარი მოეწონათ.

რუსთავის სტადიონზე განათების ახალ სისტემასაც ამონტაჟებენ. წინასწარი ინფორმაციით, სულ 40 ახალ პროჟექტორს დააყენებენ და განათების სისტემა უეფას მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

დღემდე რუსთავის „ოლიმპი" ყველაზე უპერსპექტივო კლუბად ითვლებოდა, რადგან ქალაქის საფეხბურთო სკოლები უფუნქციოდ დარჩნენ, კლუბს მოწვეულები აკომპლექტებდნენ, „ოლიმპს" კი საკუთარი სკოლა არ გააჩნდა. ამ დროს, უეფას ლიცენზირება კლუბს საკუთარი სკოლის შენახვას ავალდებულებს. აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა საკუთარი საფეხბურთო სკოლის ჩამოყალიბება. ამ კუთხით ბრაზილიელებთან თანამშრომლობა იგეგმება.

ამას გარდა, ქვემო ქართლის ყველა საფეხბურთო სკოლა ერთიანი მმართველობის ქვეშ მოექცა - საფეხბურთო სკოლების კოორდინატორად საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" ყოფილი მცველი **ნუგზარ ლობჟანიძე** დაინიშნა. ვფიქრობთ, გონივრული გადაწყვეტილებაა - ერთიანი ხელმძღვანელობა და ერთიანი მეთოდიკა სკოლების ეფექტური მუშაობის გარანტია უნდა გახდეს.

## არასტაბილური ჩემპიონი

კლუბმა საწყისი ტურები ისე ეფექტურად და შედეგიანად ჩაატარა, ხუთი ტურის შემდეგ ლამის ჩემპიონად გამოაცხადეს. თუმცა, მეექვსე ტურში სენსაციური შედეგი დაფიქსირდა - „ოლიმპი" თბილისის „დინამოსთან" 0:4 განადგურდა.

„დინამოს" მოგება არც ერთ გუნდთან არ იქნებოდა სენსაცია, რომ არა ასეთი დიდი ანგარიში. შემდგომი ოთხი ტური რუსთაველებს აღარ მოუგიათ და გუნდში ვითარება დაიძაბა - ფეხბურთელები ანერვიულდნენ და ხელმძღვანელებიც. მართალია, შემდეგ იყო გამარჯვებები „ბაიასთან" და „ლოკომოტივთან", მაგრამ დაძაბულობა მაინც იგრძნობოდა.

21 ოქტომბერს საქართველოს თასის 1/8-ფინალის ერთრაუნდიან შეხვედრაში საჩხერეში „ჩიხურასთან" დამარცხების (0:1) შემდეგ, კორღალიძემ სპორტული დირექტორის თანამდებობაზე გადაინაცვლა.

თემურ მახარაძის მოსვლამ გუნდი გამოაფხიზლა. ბუნებრივია, ფეხბურთელები მიხვდნენ, რომ უნიათო თამაშის გამო, კლუბს ბევრი მათგანი დატოვებდა. მახარაძის სამწვრთნელო კლასმა თავისი გაიტანა და ზედიზედ 7 შეხვედრაში რუსთაველებს ქულაც არ დაუკარგავთ - შედეგად, „ოლიმპი" შემოდგომის ჩემპიონია.

## სათამაშო სქემა

**ოთარ კორღალიძე** დასაწყისში 3-5-2 სათამაშო სისტემას იყენებდა. შემდეგ კი კლუბი 4-4-2 სისტემაზე გადაერთო. **თემურ მახარაძე** 4-4-2 მოდელს ეყრდნობოდა. თუმცა ხშირად აკინო უკან იხევდა და თავდაპირველი სქემა 4-4-1-1-ად გარდაიქმნებოდა.



აკინო ჩემპიონატის ბომბარდირობისთვის იბრძვის

## მეკარეები

22 წლის **მიხეილ ალავიძემ** სეზონი კარგად დაიწყო, მაგრამ „სიონიდან" გამოცდილი **გია ჭანტურიას** მისვლის შემდეგ, სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. შეიძლება ითქვას, რუსთაველებს ორი ძალიან კარგი და საიმედო მეკარე ჰყავთ და ამ კუთხით, კლუბს პრობლემები არ აქვს. ძირითად შემადგენლობაში ნებისმიერ მათგანს შეუძლია თამაში.

## მცველები

უდავოდ გამორჩეულები არიან ცენტრალური მცველი **ალექს ფრაგა** და მარჯვენაფლანგელი **სევასტი თოდუა.** მათ სეზონი მაღალ დონეზე ჩაატარეს. ნიჭიერი, მაგრამ არასტაბილურია **გიორგი რეხვიაშვილი,** რომელიც ცენტრშიც მოსინჯეს, მარცხენა ფლანგზეც და ნახევარდაცვის ორ პოზიციაზეც. „მგლებში" მარცხენა ფლანგზე ის გაცილებით თავდაჯერებული ჩანდა და, ალბათ, ეს არის სწორედ მისი პოზიცია. გასათვალისწინებელია, რომ ტრავმის გამო გიორგის გარკვეული დრო გაუცდა და ფორმას პირველობის მიმდინარეობისას იბრუნებდა.

საიმედო და სტაბილური იყო **ოლეგ გველესიანი,** მაგრამ ეტაპი დასრულდა და ტრადიციულად, უკეთეს ლიგაში მოხვედრის იმედად საქართველოდან გაემგზავრა. **ვალერი აბრამიძე** უვარჯიშებელი ჩამოვიდა და თავიდან დამაჯერებლად ვერ გამოიყურებოდა. როცა ფორმაში შევიდა, დისკვალიფიკაცია მისცეს და საბოლოოდ, კლუბი დატოვა.

ბოლომდე ვერ გაიხსნა **დაჩი ფოფხაძე, ნოდარ მაჭავარიანს** კი ტრავმის გამო ბევრი გაუცდა.

## ნახევარმცველები

ნახევარდაცვის ხაზში „ოლიმპს" საქმე ასარჩევად აქვს. ძალიან კარგ სეზონს ატარებს გუნდის კაპიტანი **შოთა ბაბუნაშვილი,** რომელსაც არც იმპროვიზაცია დაეწუნება და საკმაოდ დიდი შრომისუნარიანობითაც გამოირჩევა.

**დენის დობროვოლსკი** საყრდენის როლს თავს კარგად ართმევს. ბოლომდე ვერ გაიხსნა ზაზა ჭელიძე, რომელიც ცენტრშიც ათამაშეს და მარჯვენა ფლანგზეც. არადა, მას მეტი შეუძლია. მარჯვენაფლანგელი **ჯერონიმო** არასტაბილური იყო, ბოლოს კი ძალზე ინერტულიც გახდა.

დიდი შენაძენი აღმოჩნდა **დავით იმედაშვილი.** ის თავდაპირველად დაცვის მარცხენა ფლანგზე დააყენეს, მაგრამ **თემურ მახარაძემ** ჯერ ცენტრისკენ შესწია, ხოლო შემდეგ ნახევარდაცვაში გადაიყვანა და იმედაშვილმაც იმედები გაამართლა. და ერთიც - თუ ასე გააგრძელებს, შესაძლოა, ეროვნულ ნაკრებსაც მიუახლოვდეს. სათამაშო პრაქტიკა აკლია 17 წლის **დავით კაკულიას,** რომელსაც ტექნიკურ ილეთებზე ვარჯიშის დროს ბრაზილიელებმა რამდენჯერმე ტაშიც დაუკრეს. „ფეხბურთის ჯადოქართა" ქვეყნის შვილებს ეს რომ გაუკვირდებათ... მოკლედ, კაკულია უნდა მოლონიერდეს და ძალიან ბევრი იშრომოს - ასეთ შემთხვევაში მას დიდი მომავალი აქვს.

## თავდამსხმელები

გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალა **ანდერსონ აკინოა.** ბრაზილიელ შემტევ ნახევარმცველს თავისუფლება მისცეს და ისიც თავდასხმაში იწევს. შესაშურია მისი შედეგიანობა - 18 გოლი 16 ტურში. თუმცა ისიც აღვნიშნოთ, რომ აკინომ 8 გოლი 11-მეტრიანებით გაიტანა. სხვათა შორის, სტატისტიკაში არასწორადაა მითითებული, თითქოს მან 17 შეხვედრა ჩაატარა. მხრის ტრავმის გამო, აკინომ 2 ტური გამოტოვა.

მის მიერ შესრულებული საჯარიმოები და პენალტები იშვიათი სიზუსტისაა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ბრაზილიელი მოედანზე ყოველთვის ბოლომდე არ იხარჯება. არადა, თავიდან მონდომებული ჩანდა...

სასარგებლო შენაძენი აღმოჩნდა **გიორგი ჭედიაც.** ბოლო დროს ხომ ჩვენში სწრაფი ფორვარდების ნაკლებობაა. **ჟონატასმა** კი თავი ბევრი ვერაფრით გამოიჩინა, ისევე, როგორც **ჩოკომ** და **სალესმა.** კარგად დაიწყო **გია თოდუამ,** მაგრამ ძირითადში ვერ ხვდებოდა და ბოლოს აშკარად გულაცრუებული თამაშობდა...

**მერაბ მამულაშვილი**



ტოტენჰემს ლუკა მოდრიჩი უბრუნდება

ინგლისი. პრემიერლიგა. XIX ტური

# დიდი ბოქსინგის დღეები

| დღეს | |
|---|---|
| ბირმინგემი-ჩელსი | 16:45 |
| ფულჰემი-ტოტენჰემი | 17:00 |
| ვესტ ჰემი-პორტსმუთი | 17:00 |
| ბარნლი-ბოლტონი | 18:00 |
| მანჩესტერ სიტი-სტოკი | 19:00 |
| სანდერლენდი-ევერტონი | 19:00 |
| უიგანი-ბლექბერნი | 19:00 |
| ლივერპული-ვულვზი | 21:30 |
| **ხვალ** | |
| არსენალი-ასტონ ვილა | 17:30 |
| ჰალი-მანჩესტერ იუნ | 20:00 |

პრემიერლიგა დღესასწაულისთვის არსებობს, ჰოდა, შობაზე დიდი დღესასწაული რაღა უნდა იყოს - ინგლისში, შობის შემდგომ დღეებში ეგრეთ წოდებული „ბოქსინგ დეიზ" დატრიალდება. ლიდერი „ჩელსი" შაბათს, სტუმრად მიდის „ბირმინგემთან", ორშაბათს კი „ფულჰემს" უმასპინძლებს. ამ შეხვედრებში დასავლეთლონდონელებს არ ეყოლებათ ფრანგი თავდამსხმელი **ნიკოლა ანელკა,** რომელსაც ნატკენი კუნთი არ აძლევს თამაშის საშუალებას. „ფულჰემთან" შეხვედრაში „ლურჯებს" გამოაკლდება კიდევ ორი წამყვანი ფეხბურთელი, **დიდიე დროგბა** და **სალომონ კალუ,** რომლებიც შაბათის შეხვედრის შემდეგ თვითმფრინავში ჩასხდებიან და აფრიკას გაეშურებიან, სადაც მალე კონტინენტის თასის გათამაშება იწყება - „ჩელსის" კოტდივუარელებს სამშობლო ეძახის. **კარლო ანჩელოტის** შეგირდთაგან დიდი ხნით არიან დაშავებულნი **მიკაელ ესიენი,** რომელსაც ორთავა კუნთი აწუხებს და მუხლმტკივანი **ჟოზე ბოსინგვა.**

რაც შეეხება „ბირმინგემს", მის მწვრთნელს, **ალექს მაკლიშს** იმედი აქვს, რომ „ჩელსისთან" თამაშის წინ ექიმები მცველების, **როჯერ ჯონსონისა** და **ლაიამ რიჯუელის** გამოჯანმრთელების ამბავს შეატყობინებენ და ის ორივეს გამოიყენებს. საინტერესოა, რომ ცენტრალური მცველი ჯონსონი ბავშვობიდან „ჩელსის" ფანია. მას გასულ კვირას, „გუდისონ პარკზე", „ევერტონთან" შეხვედრის დროს მუხლი ეტკინა, მარცხენა მცველ რიჯუელს კი იმავე შეხვედრაში კოჭი დაუზიანდა. თუ ხსენებული წყვილი თამაშს შეძლებს, დიდი შანსია „ბირმინგემმა" მოედანზე ზედიზედ მეშვიდე შეხვედრაში გაიყვანოს უცვლელი შემადგენლობა. ორშაბათს კი „ბირმინგემი" „სტოკ სიტის" შეხვდება, თუმცა იმ თამაშზე აბა, როგორ გელაპარაკოთ, ჯერ დღევანდელისა არ ვიცით ზუსტად.

ძლიერთა დამწიოკებელი „ბარნლი" ხვდება „ბოლტონს", ოღონდ მასაც დაცვაში აქვს საქმე საჭოჭმანოდ: გუშინ, როდესაც ჩვენ ამ თამაშის ანონსს ვწერდით, არავინ იცოდა, ითამაშებდნენ თუ არა ცენტრალური მცველები **სტივენ კოლდუელი** და **კლარკ კერლისლი.** ამ წყვილსაც გასულ კვირას („ვულვზთან" შეხვედრაში) გაუხდა საექიმოდ საქმე. მეორეს პირველ ტაიმში, პირველს - მეორეში. იმ დღეს ეს ფეხბურთელები **მაიკლ დაფმა** და **ჯოი გუდიონსონმა** შეცვალეს, მაგრამ მწვრთნელს, **ოუენ კოილს** კიდევ ერთი ვარიანტი აქვს: ნახევარდაცვიდან **ანდრე ბიკეის** უკან დაწევა შეუძლია. იმავე შეხვედრაში თავი იტკინა **ტაირონ მირსმა,** მაგრამ მასზე ამბობენ, ითამაშებსო. ორშაბათს „ბარნლი" „ევერტონს" ესტუმრება. რაც შეეხება „ბოლტონს", მისი ნახევარმცველი **ფაბრის მუამბა,** ბოლოს და ბოლოს, გამოტოვებს იმ ერთ შეხვედრას, რომელიც ამ სეზონში მიღებული მეხუთე ყვითელი ბარათის გამო მიუსაჯეს, მაგრამ გასულ ორშაბათს ვერ გამოტოვა - „უიგანთან" თამაში ხომ გადაიდო. კვლავ ვერ ითამაშებს ნახევარმცველი **გევინ მაკკენი,** რომელმაც ვერა და ვერ მოირჩინა კოჭი. „ბოქსინგ დეის" შემდეგ შეხვედრას ბოლტონელები სამშაბათს შინ, „ჰალ სიტისთან" ჩაატარებენ.

„ფულჰემი" „ტოტენჰემს" მასპინძლობს და ძალიან უხარია, რომ თავდამსხმელი **ენდი ჯონსონი** დაუბრუნდება. ჯონსონმა ოქტომბერში საზარდული რომ იტკინა, მას მერე არ უთამაშია. ექიმის კაბინეტში დარჩნენ **საიმონ დევისი, სეოლ კი-ჰიეონი** და **დიომანსი კამარა.** მაგრამ თუ ვინმეს ტრავმირებული ფეხბურთელების დაბრუნება უხარია, ეს, უპირველეს ყოვლისა, „ტოტენჰემია", რომელსაც „ფულჰემთან" **ლედლი კინგი** და **ლუკა მოდრიჩი** დაუბრუნდებიან. კინგს „ბოქსინგ დეის" ორივე შეხვედრაში, ალბათ არ ათამაშებენ - ორშაბათს, „ვესტ ჰემთან" ზედმეტ დატვირთვას მაინც მოარიდებენ - მოდრიჩმა კი დიდი შანსია, დღესაც იბურთაოს და ზეგაც.

სამაგიეროდ, **ჰარი რედნაპს** არ ეყოლება **ჯონათან ვუდგეიტი,** რომელმაც საზარდული გაიმიზეზა და ფეხნატკენი **ალან ჰატონი. ვედრან ჩორლუკას** კი გრიპი აქვს და სიცხე როდის დაუწევს, ვერ გეტყვით.

„ლივერპული" „ვულვზს" მასპინძლობს. ეს მატჩი **ხავიერ მასკერანოსთვის** იმით იქნება ღირსშესანიშნავი, რომ ოთხი შეხვედრიდან, რომელიც დისკვალიფიკაციის გამო უნდა გამოტოვოს, პირველია. თუმცა, არგენტინელის შემთხვევაში ისე მოხდა, რომ დისკვალიფიკაციას მუხლის ტრავმაც დაემთხვა, ასე რომ, ამ თამაშებს მაინც გამოტოვებდა. სავარაუდოდ, პრემიერლიგაში პირველად ითამაშებს იტალიელი **ალბერტო აკვილანი.** თუმცა, დღევანდელზე მძიმე თამაში „ლივერპულს" სამშაბათს, „ასტონ ვილას" წინააღმდეგ ელის. რაც შეეხება „ვულვზს", მისი მწვრთნელი, **მიკ მაკარტი,** „ენფილდზე", ალბათ ისევ იმ შემადგენლობას ათამაშებს, რომლითაც ბოლო ტურში „ბარნლის" 2:0 მოუგო და გასავარდნთა ზონას ასცილდა. ორშაბათს კი მაკარტის „მანჩესტერ სიტისთან" ექნება ურთიერთობა გასარკვევი, თუმცა ამ შეხვედრისთვის მას საექიმოდან კიდევ რამდენიმე კაცი დაემატება და ამიტომაც ამბობს, იქ უკვე, შეიძლება, შემადგენლობა შევცვალოო.

„სიტი ვახსენეთ". ის „სტოკს" მასპინძლობს და ეს იქნება ახალი მწვრთნელის, იტალიიდან ჩამოყვანილი და უკვე წნეხის ქვეშ მოქცეული **რობერტო მანჩინის** დებიუტი. ერთთამაშიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა **ნაიჯელ დე იონგმა.** მანჩინის განკარგულებაში ნამდვილად არ იქნებიან **ნედუმ ონუოჰა** და **ჯოლეონ ლესკოტი.** საეჭვოა **ემანუელ ადებაიორის, შონ რაიტ-ფილიპსის** და **მაიკა რიჩარდსის** თამაში. „სტოკს", სავარაუდოდ, მცველი **რობერტ ჰუთი** დაუბრუნდება. იგი ერთი თამაშით იყო დისკვალიფიცირებული. საზარდულის გამო შეიძლება **რაიან შოუკროსმა** ვერ ითამაშოს.

„სანდერლენდი" „ევერტონს" მასპინძლობს. მასპინძლებს დისკვალიფიცირებული **მაიკლ ტერნერი** არ ეყოლებათ. აქ, კიდევ ერთხელ უნდა ვახსენოთ „მანჩესტერ სიტი". სწორედ ამ გუნდთან შეხვედრაში მიიღო ტერნერმა წითელი ბარათი და ახლა ოთხი თამაში აქვს გამოსატოვებელი. სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდა **ბოლო,** იგივე **ბუდევეინ ზენდენი.**

„ვესტ ჰემი" „პორტსმუთს" მცველის **დენი გებიდონის** გარეშე დახვდება. უელსელმა საზარდული დაიზიანა. სამაგიეროდ, **ჯანფრანკო ძოლას** განკარგულებაში დაბრუნდება შვეიცარიელი **ვალონ ბეჰრამი,** რომელმაც მთელი კვირა ივარჯიშა. თავდამსხმელები **კარლტონ კოული** და **კირონ დაიერი** დაშავებულნი არიან. „პორტსმუთს" კი გამოცდილი მეკარის, **დევიდ ჯეიმსის** დაბრუნება ახარებს. შეგახსენებთ: „ვესტ ჰემისა" და „პორტსმუთის" დაპირისპირებას ცხრილის ბოლოში ადგილების საახალწლო გადანაწილებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

„უიგანის" მწვრთნელს **რობერტო მარტინესს** ახალი დაშავებული არავინ ჰყავს, ასე რომ „ბლექბერნს" ძველი შემადგენლობით დახვდება. სტუმრებს არ ეყოლებათ **ვინს გრელა** და **დევიდ დანი.** გრიპი მოიხადა **კრისტოფერ სამბამ.**

კვირას კი ორი მატჩია: „არსენალი"-"ასტონ ვილა" და „ჰალი"-"მანჩესტერ იუნაიტედი". აქ, უპირველეს ყოვლისა ის უნდა ითქვას, რომ ბირმინგემელთა ჩინებულ გუნდს, „ასტონ ვილას" „ბოქსინდგ დეიზის" პროგრამაში მაინცდამაინც „არსენალი" და „ლივერპული" ერგოთ... აშკარა უიღბლობაა. მით უფრო, რომ „ვილას" **ემილ ჰესკი** დაუშავდა და ჯერ ვერ გეტყვით, შეძლებს თუ არა თამაშს. მის პოზიციაზე, შესაძლოა **იონ კარეუს** მოუხდეს ბრძოლა.

და ითამაშებს „არსენალის" შემადგენლობაში **სესკ ფაბრეგასი?** ეს, ჯერჯერობით ექიმებმაც არ იციან.

„მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში კი ბრაზილიელი ძმები, **ფაბიო** და **რაფაელ და სილვები** რომ აღმოაჩინოთ, არ გაგიკვირდეთ. სერ **ალექს ფერგიუსონი** „ჰალის" წინააღმდეგ თამაშს უპირებს. „ჰალს" კი, სავარაუდოდ, ვეტერანი **ნიკ ბარმბი** დაუბრუნდება. მას, ტრავმის გამო, გასულ კვირაში წამით არ უვარჯიშია, მაგრამ დაშავებული აღარ არისო, თქვეს ექიმებმა. თამაშის შემდეგ ქუდს დაიხურავს და მშობლიურ ნიგერიაში გაემგზავრება ნახევარმცველი **სეი ოლიფინჯანა.**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 18 | 13 | 2 | 3 | 43-15 | 41 |
| 2. მანჩესტერ იუნ | 18 | 12 | 1 | 5 | 37-17 | 37 |
| 3. არსენალი | 17 | 11 | 2 | 4 | 44-20 | 35 |
| 4. ასტონ ვილა | 18 | 10 | 5 | 3 | 29-14 | 35 |
| 5. ტოტენჰემი | 18 | 10 | 3 | 5 | 40-22 | 33 |
| 6. მან. სიტი | 17 | 7 | 8 | 2 | 33-27 | 29 |
| 7. ბირმინგემი | 18 | 8 | 4 | 6 | 19-18 | 28 |
| 8. ლივერპული | 18 | 8 | 3 | 7 | 34-25 | 27 |
| 9. ფულჰემი | 17 | 7 | 5 | 5 | 23-17 | 26 |
| 10. სანდერლენდი | 18 | 6 | 3 | 9 | 25-28 | 21 |
| 11. სტოკი | 17 | 5 | 6 | 6 | 15-20 | 21 |
| 12. ვულვზი | 18 | 5 | 4 | 9 | 17-31 | 19 |
| 13. ბლექბერნი | 18 | 5 | 4 | 9 | 17-32 | 19 |
| 14. ბარნლი | 18 | 5 | 4 | 9 | 21-37 | 19 |
| 15. ევერტონი | 17 | 4 | 6 | 7 | 23-31 | 18 |
| 16. უიგანი | 17 | 5 | 3 | 9 | 20-38 | 18 |
| 17. ჰალი | 18 | 4 | 5 | 9 | 17-37 | 17 |
| 18. ბოლტონი | 16 | 4 | 4 | 8 | 23-33 | 16 |
| 19. ვესტ ჰემი | 18 | 3 | 6 | 9 | 26-35 | 15 |
| 20. პორტსმუთი | 18 | 4 | 2 | 12 | 17-26 | 14 |

მოსაზრება

# საუკეთესო, ოღონდ უტიტულო...

უცნაური რამ თქვა „არსენალის" ფრანგმა თავკაცმა **არსენ ვენგერმა.** მას მიაჩნია, რომ ჩრდილოლონდონურ კლუბში მუშაობის საუკეთესო პერიოდი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ჰქონდა, არადა, დიდმა და პატარამ იცის, რომ სწორედ ამ წლებში ვერ მოიგეს „მეთოფეებმა" ვერანაირი ჯილდო. ის კი არა, გასულ ზაფხულს გაზეთები იმასაც კი წერდნენ, რომ ვენგერს ამ სეზონსაც აცლიან და თუ კვლავ ვერ მიაღწია წარმატებას, შეიძლება მოხსნანო.

გავიხსენოთ: ვენგერი „არსენალის" მწვრთნელად 1996 წელს დანიშნეს და მისი ხელმძღვანელობით გუნდმა ორჯერ, 1998 და 2002 წლებში დუბლი შეასრულა - ჩემპიონის ტიტული და ფეხბურთის ასოციაციის თასი ერთდროულად მოიგო. მესამედ „მეთოფეები" 2004 წელს გახდნენ ჩემპიონები, ხოლო ჩემპიონობის გარეშე, მარტო თასი, 2003 და 2005 წლებშიც მოიპოვეს. 2006 წელს „არსენალი" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა, სადაც „ბარსელონასთან" დამარცხდა. და კიდევ ერთი. ეს მართალია, ტიტული არ არის, მაგრამ საოცარი ფაქტია: 2003 წლის მაისიდან 2004 წლის ოქტომბრამდე ლონდონელთა ბრწყინვალე გუნდმა 49 შეხვედრა ისე ჩაატარა, რომ ერთხელაც არ დამარცხებულა.

როგორც ხედავთ, შორიდან ისე ჩანს, თითქოს სწორედ ბოლო ოთხ წელიწადში არ გაუკეთებია ვენგერს არაფერი, რითაც დაიტრაბახებდა, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, თავად პირიქით ფიქრობს. 60 წლის სპეციალისტის აზრით, ბოლო ოთხ წელიწადში „არსენალის" ისტორიაში ორი უდიდესი რამ მოხდა: გუნდი გადავიდა ახალ სტადიონზე, რომელსაც „ემირეიტ სთედიუმი" ეწოდება და თანამედროვედ მოეწყო საწვრთნელი ცენტრი.

*„ვფიქრობ, ჩემთვის ბოლო ოთხი წელიწადი იმიტომ იყო საუკეთესო, რომ ამ პერიოდში ახალ სტადიონზე გადავედით და თან, გუნდმა უძლიერესთა შორის შეინარჩუნა ადგილი. სამწუხაროდ, ეს, აგრეთვე, ის პერიოდია, როდესაც ჩვენ ვერანაირი ჯილდო ვერ მოვიგეთ, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ გუნდის თამაში მაინც სტაბილური იყო და თვალში საცემი ჩავარდნა არ მოგვსვლია".*

ვენგერის ექსპერიმენტი, - „ქარლინგის თასს" ყმაწვილთა გუნდით შეუტიოს, - ჯერ წარმატებით არ დაგვირგვინებულა. მართალია, გუნდი 2007 წელს შეჯიბრების ფინალში გავიდა, მაგრამ ჯილდო არ მოუგია და, როგორც ამბობენ, ბევრ გულშემატკივარს მოთმინების ფიალა ევსება. თავად ვენგერი დარწმუნებულია, რომ „არსენალი" ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთი მოწინავე გუნდის სტატუსს უკვე იბრუნებს და ცდილობს გულშემატკივარი დაარწმუნოს, რომ გასული რამდენიმე წელიწადის განმავლობაში მთავარი ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება იყო.

*„დიახ, ეს ურთულესი პერიოდი გახლდათ, მაგრამ, იმავდროულად, ეს იყო დროის მონაკვეთი, როდესაც მე უდიდესი და ძალიან შედეგიანი სამუშაო გავწიე, - ამბობს მწვრთნელი, - წარმოიდგინეთ, რა ძნელია გადახვიდე ახალ სტადიონზე, ყოველწლიურად გქონდეს ფინანსური მოგება და იმავდროულად, გუნდმა როგორც ჩემპიონთა, ასევე პრემიერლიგაში სტაბილურობა შეინარჩუნოს".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



არსენ ვენგერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა

# ინიესტამ ვარჯიში განაახლა

„ბარსელონას" ნახევარმცველმა **ანდრეს ინიესტამ** ინდივიდუალური ვარჯიშები განაახლა. ინიესტამ ტრავმის გამო საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი გამოტოვა, მას შემდეგ, რაც ნახევარფინალურ მატჩში მექსიკურ „ატლანტესთან" ფეხი იტკინა. „დიარიო სპორტის" მტკიცებით, ინიესტას საკმარისი დრო აქვს, რომ 2 იანვრისთვის, როცა „ბლაუგრანა" „ვიარეალს" ეთამაშება, მწყობრში იყოს. 2010 წელს „ბარსელონა" „კამპ ნოუზე" გახსნის, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ინიესტა გუნდის სასტარტო შემადგენლობაში იყოს, თუმცა ის თავის შანსს სათადარიგოთა სკამზე დაელოდება. ინიესტა 29 დეკემბრის ჩათვლით ინდივიდუალური წესით ივარჯიშებს, სრულ დატვირთვაზე კი ამის შემდეგ გადავა.



ინიესტა ტრავმებმა დატანჯეს

ლიონი

# პრეზიდენტი მწვრთნელს გამოესარჩლა



ჟან-მიშელ ოლა

*„კლოდი ჩემსავითაა, ის მაქსიმუმს აკეთებს გუნდისთვის. ის ძალზე კარგი მწვრთნელია და კარგად აქვს გათვითცნობიერებული საკუთარი პასუხისმგებლობა. ჩვენ ახლა 15 დღე გვაქვს გუნდის პრობლემების დეტალური ანალიზისა და გამოსავალის პოვნისათვის. ნათლად ვხედავ, რომ პრობლემა მწვრთნელში არაა, ასე რომ ყოფილიყო, ამის თქმა არ მომერიდებოდა და პირველად კლოდი შეიტყობდა ამას ჩემგან. მაგრამ მე კარგად ვხედავ სხვა პრობლემას, ფეხბურთელების ფიზიკური მომზადების დონე არადამაკმაყოფილებელია, ფეხბურთელებს ნიჭი არ დაუკარგავთ, მაგრამ ჯანი აღარ მოსდევთ მოედანზე მწვრთნელის დავალებების შესასრულებლად. ჯერჯერობით ბევრი გვიკლია იმ გუნდამდე, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში მადრიდის „რეალის" დამარცხება შეუძლია. თუმცა ჩვენი პრიორიტეტი საფრანგეთის ჩემპიონატია, ჩვენ კვლავ ჩემპიონობა გვსურს"*, - განაცხადა ოლამ.

საფრანგეთის ჩემპიონატში ბოლო დროს ძალზე ცუდად ასპარეზობს ჩემპიონობის კანდიდატი „ლიონი", რის გამოც ფრანგულ მედიაში გავრცელდა ხმები, რომ **კლოდ პუელს** მალე თანამდებობიდან გაუშვებენ. ხმებს საფუძველი „ლიონის" მორიგმა მარცხმა მისცა, ამჯერად შინ, „სტად ჟერლანზე" „მონპელიესთან" - 1:2. თუმცა მწვრთნელს კვლავ საჯაროდ გამოესარჩლა „ლიონის" პრეზიდენტი **ჟან-მიშელ ოლა.**

როგორც ჩანს, იგი წინასწარ შეგუებულია „რეალთან" ორრაუნდიან ბრძოლაში მარცხს, თუმცა გაუგებარია, რას ემყარება მისი ოპტიმიზმი შინაურ პირველობაში - „ლიონი" დღეისათვის 13 ქულით ჩამორჩება ჩემპიონსა და ერთპიროვნულ ლიდერ „ბორდოს".

ესპანეთის ნაკრები

# რაულის შანსი

ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვისენტე დელ ბოსკემ** მადრიდის „რეალის" ფორვარდ რაულს მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის იმედი მისცა. **მანუელ პელეგრინის** „სამეფო კლუბში" გადასვლის შემდეგ, რაულს სასტარტო შემადგენლობაში იშვიათად ვხედავთ. თითქოს, ამის შემდეგ რაულის ნაკრებში დაბრუნების შანსი აღარ ჰქონდა, მაგრამ დელ ბოსკემ „მარკას" მოულოდნელად განუცხადა: *„რაულს დიდად ვაფასებ და ამას მხოლოდ ლამაზი სიტყვებისთვის არ ვამბობ. ეს ის ფეხბურთელია, რომელსაც ნაკრებში აუცილებლად მოვიწვევდი, თუკი სათანადო ფორმაში იქნება"*. იმავე ინტერვიუში დელ ბოსკემ აღნიშნა, რომ რაულის უმთავრეს კონკურენტად ის „ბარსელონას" ახალგაზრდა ფორვარდ პედროს მიიჩნევს.



დელ ბოსკეს რაულზე გული მოუბრუნდა?

ამბები



გრანეროს რეალში ყველაფერი მოსწონს

## ერთი-ორი ტიტული რეალს

მადრიდის „რეალის" ფლანგის ნახევარმცველი **ესტებან გრანერო** ბედნიერია „რეალში" თამაშით და კლუბის გამოცვლას სულაც არ აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ სასტარტო შემადგენლობაში იშვიათად უწევს თამაში. გრანერო ამ ზაფხულს დაუბრუნდა „სამეფო კლუბს", მას შემდეგ, რაც ორი კარგი სეზონი გაატარა „ხეტაფეში".

*„ჩვენ კარგად ვთამაშობთ და გათამაშების ცხრილში მხოლოდ „ბარსელონას" ჩამოვრჩებით. სადღესასწაულო დღეების გასვლის შემდეგ, იმავე ტემპით ვაპირებთ ბრძოლას პირველობისთვის. „რეალში" თავს ყველანი მნიშვნელოვან ფიგურებად მივიჩნევთ. ვფიქრობდი, რომ გუნდის ძირითად შემადგენლობაში თამაში შემეძლო და ამის შანსი სეზონის პირველ ნახევარში რამდენჯერმე მომეცა. იმედია, ტრავმები გვერდს ამივლიან, მსურს გუნდს ერთი-ორი ტიტულის მოპოვებაში დავეხმარო"*, - განუცხადა „რეალის" ოფიციალურ საიტს 22 წლის ფეხბურთელმა.

## რატი რეალში?

სეზონის დასაწყისში „ბარსელონამ" დონეცკის „შახტარიდან" **დმიტრო ჩიგრინსკი** გადაიბირა. „ბლაუგრანას" არც „რეალი" ჩამორჩა, „სამეფო კლუბი" „შახტარის" კაპიტნის, **რაზვან რაცის** გადაბირებითაა დაინტერესებული - იუწყება „დიარიო ას-ი". **მანუელ პელეგრინის** რაცის თამაში ძალზე მოსწონს, ოღონდ ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია, თუკი რეალი რაცს შეიძენს, მას ჩემპიონთა ლიგაში ვერ ათამაშებს. სწორედ ამის გამო „რეალმა", შესაძლოა, ივნისამდე მოცდა გადაწყვიტოს.

## ემერის მაინც არ ენდობიან

„ვალენსია" არ ჩქარობს გუნდის თავკაც **უნაი ემერისთან** ახალი კონტრაქტის გაფორმებას. „ლოს ჩეს" ბოსმა **ფერნანდო გომესმა** განაცხადა: *„უნაი ემერის საქმიანობა მოგვწონს, თუმცა ჯერ არ ვართ მზად მას ხელშეკრულების გაგრძელებაზე დაველაპარაკოთ. ვფიქრობ, საჭიროა სეზონის დასრულებას დაველოდოთ და გადაწყვეტილება მერე მივიღოთ"*.

ამასობაში „ვალენსია" მზადაა ფორვარდი **მიკუ** იჯარით გაასხვისოს. სხვათა შორის, ვენესუელელი ფორვარდით ბევრი გუნდია დაინტერესებული მიუხედავად იმისა, რომ მას თითქმის არ უთამაშია ამ სეზონში. მიკუს დამატებით „სარაგოსა", „მალაგა", „რეალ სოსიედადი", „ბეტისი" და „ხერესი" არიან დაინტერესებულნი.

## სინამა იქა, ფანი აქა

მადრიდის „ატლეტიკო" საფრანგეთში ფორვარდ **ფლორენ სინამა-პონგოლეს** აბრუნებს. მადრიდული კლუბი „რენის" მცველით **როდ ფანითაა** დაინტერესებული. ესპანელებს სურთ სინამა-პონგოლე ფანიში გაცვალონ. თავად სინამა-პონგოლეც დაინტერესებულია „ატლეტიკოს" დატოვებით, რადგან ამ სეზონში სასტარტო შემადგენლობაში იშვიათად ხვდება.

სტატისტიკა

# ოტოს სასწაული აუწონეს

## არგენტინა VS ბრაზილია, ან ბოლოს ან არასოდეს

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე 166 დღე დარჩა, დღეს „კასტროლ ფუტბოლთან" ერთად B ჯგუფის ბინადართა პერსპექტივები განვიხილოთ. ვიმეორებთ, რომ „კასტროლ ფუტბოლი" ღრმა სტატისტიკური ბაზის (რომელშიც შესულია ნაკრების თითოეული ფეხბურთელის დეტალური სტატისტიკა) წყალობით აკეთებს პროგნოზებს. B ჯგუფში ითამაშებენ: არგენტინა, ნიგერია, კორეა და საბერძნეთი.

მიუხედავად იმისა, რომ **დიეგო არმანდო მარადონამ** „ალბისელესტე" საკვალიფიკაციო ეტაპზე ბევრ განსაცდელში გამოატარა და ფაქტობრივად ბეწვის ხიდზეც გაატარა, მისი გუნდი სამხრეთ აფრიკაში ჯგუფიდან გასვლის ფავორიტია. „კასტროლი" მიიჩნევს, რომ არგენტინის ნაკრებს ჯგუფური ეტაპის დაძლევის შანსია 79,1% (I ადგილი - 54,2%, II ადგილი - 24,8). ჯგუფიდან პირველი ადგილით გასვლის შემთხვევაში არგენტინელები სავარაუდოდ ფრანგებს შეხვდებიან, მეორე ადგილის შემთხვევაში კი - ურუგვაელებს. როგორ აფასებს „კასტროლი" იმის შანსს, რომ რომელიმე ეტაპზე არგენტინას ისტორიული მოქიშპე ბრაზილიის ნაკრები გადაეყაროს? პლეი ოფების საწყის ეტაპებზე ეს გამორიცხულია, სამაგიეროდ დიდია შანსი არგენტინა და ბრაზილია ნახევარფინალში ან ფინალში გადაეყარონ ერთმანეთს (18,5% და 23,2%), რა თქმა უნდა, თუ ეს ორი გუნდი იქამდე გააღწევს.

გახდის დიეგო „ალბისელესტეს" მსოფლიოს ჩემპიონ გუნდად? სპეციალისტები კი პესიმისტობენ, მაგრამ სტატისტიკა და „კასტროლი" ამას სულაც არ გამორიცხავენ - 49,7%-ია შანსი, რომ დიეგოს გუნდი მეოთხედფინალში გავა, 29,4% - ნახევარფინალში, 14,9% - ფინალში. მსოფლიოს ჩემპიონობის შანსი კი 7,5 პროცენტია.

ჯგუფში მეორე ნომრით ნიგერიელი „არწივები" განთესეს. ნიგერიელები ბოლო წამს გავიდნენ მსოფლიოს ჩემპიონატზე, მას შემდეგ, რაც ტუნისელებმა ყველასთვის მოულოდნელად წააგეს მოზამბიკში - 0:1. ასეა თუ ისე, ნიგერიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზეა და „კასტროლის" მიხედვით ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსიც აქვს - 47,3% (I ადგილი - 18,5%, II ადგილი - 28,9%). აი, შემდგომ პროგრესზე კი ბოდიში - ნიგერიის მეოთხედფინალისტობა 21,5% შანსით ფასდება, ნახევარფინალისტობა - 9%, ფინალისტობა - 3,1%. აფრიკული გუნდის გაჩემპიონება კი 1,1%-ით ფასდება.

სამხრეთკორეულ გუნდს აუტსაიდერთა შორის მიიჩნევენ, „კასტროლი" მიიჩნევს, რომ პირველ ადგილზე აზიური გუნდის გასვლას 8,8% შემთხვევაში უნდა ველოდოთ, ჯგუფის დაძლევის შანსი კი კორეელებს 27,6 პროცენტი აქვთ. მსოფლიოს ჩემპიონი სამხრეთი კორეა? ამის შანსი 0,2%-ია.

ჯგუფის მეოთხე ნომერი საბერძნეთია, „კასტროლი" **ოტო რეჰაგელის** გუნდს მე-2 ადგილისთვის ბრძოლაში ნიგერიელთა მთავარ კონკურენტად მიიჩნევს. ჯგუფიდან გასვლის ალბათობა ელინთა შემთხვევაში 46,1%-ია (I ადგილი - 18,5%, II ადგილი - 27,6%). ყველაზე დიდი შანსი, რომ ოტო რეჰაგელმა გუნდი მისი თანამემამულეების წინააღმდეგ გამოიყვანოს, მეოთხედფინალშია - 20,4%. თუმცა იმავე მეოთხედფინალში ბერძენთა გასვლა მხოლოდ 20,1 პროცენტით არის ნავარაუდევი. ერთხელ რეჰაგელმა შეძლო სასწაულის მოხდენა და საბერძნეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახადა, უფრო დიდი სასწაულის (მსოფლიოს ჩემპიონობა) შანსი კი გერმანელ სპეციალისტს 0,8% აქვს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**






7,5% რომ მარადონა გუნდს მსოფლიოს ჩემპიონად გახდის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ

მიხაელ ბალაკი

# ბავშვობაში სანტა კლაუსის მეშინოდა



**„ფრანკფურტერ ალგემაინე ცაითუნგისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გერმანიის ნაკრების კაპიტანი მიხაელ ბალაკი 2009 წელს აჯამებს და 2010 წლის გეგმებზე საუბრობს. განვლილი წლიდან „ჩელსის“ ნახევარმცველს, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, „ბარსელონასთან“ ჩატარებული ნახევარფინალი ახსენდება. მიხაელი დღესაც ვერ პატიობს მსაჯს იმ საქციელებს, რის გამოც ბალაკი უშუალოდ მატჩის დროსაც წარმოუდგენლად განრისხდა. ჩვენი გერმანელი კოლეგები მიხაელს ლონდონში ესტუმრნენ...**

**- ჰერ ბალაკ, პირველ რიგში, ერთი შეხედვით ბანალური, მაგრამ ყველასათვის საინტერესო კითხვა: სად გირჩევნიათ აქ, ინგლისში, თუ თქვენს მშობლიურ რაინლანდში?**

- სადაც მითამაშია, თავს ყველგან კარგად ვგრძნობდი. ისეთი ადამიანი ვარ, რომ ყველა ადგილს იოლად ვეგუები. მიყვარდა კაიზერსლაუტერნიც, ლევერკუზენიც და მიყვარს ლონდონიც.

**- რა არის განსაკუთრებული ლონდონში?**

- ეს არის ყველაზე მულტიკულტურული ქალაქი ყველა ქალაქს შორის, რაც კი ოდესმე მინახავს. ყველაფერთან ერთად, ლონდონი ძალიან ცოცხალი ქალაქია. ერთი დღის განმავლობაში აქ ყველაფერს მოახერხებ: მოინახულებ უნიკალურ მუზეუმს, მიხვალ კონცერტზე, ივახშმებ ბრწყინვალე რესტორანში, ეწვევი ღამის კლუბს, იცხოვრებ ფეხბურთით... ლონდონში ყველაფერია, რაც ადამიანს სჭირდება.

**- სად არის თქვენი სამშობლო?**

- ჩემი სამშობლო, რა თქმა უნდა, ხემნიტცშია - იქ დავიბადე და გავიზარდე. ჩემი ცხოვრების საუკეთესო პერიოდი სწორედ ხემნიტცში გავატარე.

**- დღეს რა გაკავშირებთ ხემნიტცთან?**

- მშობლები, ოჯახი, მეგობრები, საუკეთესო მოგონებები.

**- დრეზდენიდან საჩუქრებს გიგზავნიან ხოლმე?**

- დღეს უკვე ნაკლებად. დრეზდენში ჩემი ბაბუები და ბებიები ცხოვრობენ და ახლა ისეთ ასაკში არიან, რომ ბევრს ვერაფერს ახერხებენ. ბავშვობაში მათთან სტუმრობა ძალიან მიყვარდა, რადგან ჩემთვის ყოველთვის საუკეთესო საჩუქრები ჰქონდათ ხოლმე მომზადებული. დღეს კი მე ვუგზავნი მათ საჩუქრებს.

**- შობის დღესასწაულთან დაკავშირებით ბავშვობიდან რაიმე განსაკუთრებული მოგონება ხომ არ გაქვთ?**

- საინტერესო ის არის, რომ ბავშვობაში სანტა კლაუსის ცოტათი მეშინოდა. ახლა ვხვდები, რომ მისი ბოხი ხმა მაშინებდა. როდესაც მეუბნებოდნენ, სანტა კლაუსი უნდა მოვიდესო, ვიმალებოდი, მაგრამ მოუთმენლად ველოდი იმ მომენტს, როცა საჩუქრები უნდა გამეხსნა. ყველაზე მეტად კი პირველმა ველოსიპედმა გამახარა. რვა წლის გახლდით, როცა „სანტა კლაუსმა ველოსიპედი მომიტანა“.

**- გერმანელი ფეხბურთელისთვის შობა-ახალი წლის ინგლისში შეხვედრა, ცოტა არ იყოს, რთულია. ინგლისში შობის მეორე დღესაც კი ფეხბურთს თამაშობენ. აგერ, 26 იანვარს „ჩელსი“ „ბირმინგემს“ ეთამაშება...**

- ჰო, მაგრამ ეს არანაირად არ მიშლის ხელს, რომ შობის დღესასწაული ჩვეულად ვიზეიმო. თავიდან ცოტათი გამიჭირდა იმასთან შეგუება, რომ 25 დეკემბერსაც კი ვვარჯიშობდით, მაგრამ მივეჩვიე.

**- ოჯახის წევრებთან ერთად ნაძვის ხესთან მღერით ხოლმე?**

- რა თქმა უნდა. მართალია, სიმღერის განსაკუთრებული ნიჭით არ გამოვირჩევი, მაგრამ მინიმუმ ერთხელ აუცილებლად ვმღერით ხოლმე.

**- თქვენ სამი ვაჟი გყავთ: 8 წლის ლუისი, 7 წლის ემილიო და 4 წლის ხორდი. მკაცრი მამა ხართ?**

- ჩემი მეუღლე ამბობს, რომ არ ვარ მკაცრი მამა, მაგრამ ხანდახან საკმაოდ მკაცრი ვარ. მიმაჩნია, რომ ეს აუცილებელიც კია, როცა სამი ვაჟი გყავს, ასე არ არის? თუმცა ჩემს მეუღლეს რომ ჰკითხოთ, ბიჭებს ძალიან ვანებივრებ. ერთხელ ვეტყვი, არ დამიჯერებენ, მეორედ ვეტყვი, ისევ არ დამიჯერებენ და როცა მესამედ თვალებს ვუბრიალებ, მაშინვე დამჯერები ხდებიან.

**- ტელეეკრანზე ფეხბურთის საყურებლად თუ იცლით?**

- ხანდახან. ადრე უფრო ვიცლიდი. ნებისმიერ მატჩს ვუყურებდი, ახლა კი ეს შეუძლებელია. თუმცა ჩემპიონთა ლიგას, სანაკრებო თამაშებს და ბუნდესლიგას ყოველთვის ვუყურებ. ეს უბრალოდ აუცილებელია. ფაქტია, რომ როცა ტელეეკრანზე ფეხბურთს ვუყურებ, ისეთივე ფანი ვხდები, როგორც ნებისმიერი ჩვეულებრივი გულშემატკივარი და უდიდეს სიამოვნებას ვიღებ.

**- რა თქმა უნდა, ბავშვებთან ერთად, არა?**

- ჰო, ისინიც ჩემთან ერთად უყურებენ ხოლმე, მაგრამ თუ მატჩში, რომელსაც ვუყურებთ, გოლი დიდხანს არ გავიდა, ბიჭებისთვის სხვა რამეები ხდება მნიშვნელოვანი.

**- სპორტის სხვა სახეობები გაინტერესებთ?**

> **ის, რაც „ბარსელონასთან“ მსაჯმა გაგვიკეთა, არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. 2010 წელს კარიერის ყველაზე დრამატული ბრძოლები მელის**

- რა თქმა უნდა. სიამოვნებით ვთამაშობ გოლფს და ჩოგბურთს. მას მერე, რაც ინგლისში ვცხოვრობ, რაგბიც მაინტერესებს. სხვათა შორის, ჩემმა ერთ-ერთმა ვაჟმა ამას წინათ მომთხოვა, რაგბიზე შემიყვანეო. სწორედ ამიტომ, რაგბის ყურება ინტენსიურად დავიწყე და უნდა ვთქვა, რომ სპორტის ეს სახეობა ძალიან მომწონს.

**- თქვენც ითამაშებდით რაგბის?**

- არ ვიცი, არა მგონია. სიმართლე გითხრათ, ისეთი თამაშია, რომ მირჩევნია ვუყურო, ვიდრე თვითონ ვითამაშო, რადგან მგონია, რომ თუ ვითამაშებ, მასინვე ტრავმას მივიღებ.

**- „ჩელსისთან“ კონტრაქტი ზაფხულში გიმთავრდებათ. რას აპირებთ?**

- უახლოეს მომავალში კლუბის ხელმძღვანელებს უნდა შევხვდე და დაველაპარაკო. ფაქტია, რომ წნეხის ქვეშ არ ვარ, რადგან ორივე მხარემ იცის, რა სჭირდება.

**- რა შეცვალა „ჩელსიში“ კარლო ანჩელოტიმ?**

- ადრე სულ 4-3-3-ით ვთამაშობდით, ახლა კი 4-4-2-ით ვთამაშობთ. ტაქტიკური სქემა სწორედ ანჩელოტიმ შეცვალა. მე ეს ძალიან მომწონს, რადგან რაკი ნახევარდაცვაში ერთით მეტნი ვართ, უფრო კომპაქტურად ვდგავართ და უფრო დიდხანს ვფლობთ ბურთს. და მე, როგორც ნახევარმცველს, ეს ფაქტი ძალიან მახარებს. ზოგადად, „ჩელსის“ ნახევარდაცვა ძალიან მობილურია. როდესაც ერთი შუამარბი თავდასხმას მიეხმარება, მეორე ავტომატურად მას აზღვევს.

**- ეს კი თქვენთვის იდეალური ვარიანტია, რადგან ძალიან გიყვართ ცენტრფორვარდის პოზიციაზე აღმოჩენა...**

- ჰო, გერმანიაშიც სწორედ ასეთ სქემაზე ვიყავი მორგებული და მიხარია, რომ ანჩელოტიმ „ჩელსიში“ ეს სქემა დანერგა. ფაქტია, რომ ტაქტიკის შეცვლა ძალიან წაგვადგა - წელს უკვე ბევრი შესანიშნავი თამაში ჩავატარეთ.

**- როგორ ფიქრობთ, მოახერხებს თუ არა „ჩელსი“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლას?**

- ფინალში ორი წლის წინაც ვიყავით და წესით, მაისშიც ფინალში უნდა გვეთამაშა, რადგან „ბარსელონა“ ყველა ასპექტში დავჩაგრეთ. ახლაც იმ აზრზე ვარ, რომ მსაჯმა ამაზრზენი გადაწყვეტილებები მიიღო და მისი საქციელი არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. ამ ყველაფერს კი უიღბლობაც დაემატა, რადგან 93-ე წუთზე გავუშვით გოლი, რომელმაც ფინალს მიღმა დაგვტოვა. წინასწარ ვერასდროს იტყვი, რას მიაღწევ ჩემპიონთა ლიგაში, რადგან ეს ყველაზე არაპროგნოზირებადი საკლუბო ტურნირია. აი, პრემიერლიგაში კი ნამდვილად ყველაზე ძლიერები ვართ და მჯერა, რომ ინგლისის ჩემპიონები გავხდებით.

**- ინგლისის ჩემპიონობა კარგია, რომან აბრამოვიჩს ჩემპიონთა ლიგის მოგება უნდა...**

- ჰო, ჩემპიონთა ლიგის მოგება ჩვენი უმთავრესი მიზანია, მაგრამ ნომერ პირველი მაინც პრემიერლიგაა, რადგან ჩემპიონთა ლიგის მოგებას წინასწარ ვერასდროს დაგეგმავ, ინგლისის ჩემპიონობის მიზნად დასახვა კი შეიძლება. სეზონის განმავლობაში თითქმის ყველა კლუბს დაუდგება ხოლმე პერიოდი, როცა დატვირთვა ძალიან დიდია და გადაწყვეტილებაა მისაღები - რომელ ტურნირზე აკეთებ აქცენტს. მაგრამ ჩვენ იმდენად კარგად ვართ დაკომპლექტებულები, რომ შეგვიძლია, ორივე მიზნისთვის ვიბრძოლოთ.

**- რა უფრო დამაჯერებლად ჟღერს: „ჩელსი“ მოიგებს ჩემპიონთა ლიგას“, თუ „გერმანია მსოფლიოს ჩემპიონი გახდება?“**

- ვფიქრობ, იმის შანსი უფრო დიდია, რომ „ჩელსიმ“ ჩემპიონთა ლიგა მოიგოს, ვიდრე იმის, რომ გერმანია მსოფლიოს ჩემპიონი გახდეს, რადგან მუნდიალი სულ სხვა დონე და სულ სხვა კალიბრია. ჩვენ, გერმანელები, ერთ-ერთი ფავორიტები ვიქნებით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მუნდიალს მოვიგებთ.

**- გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა თეო ცვანციგერმა და ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა თქვეს, რომ გერმანიის მიზანი მხოლოდ პირველი ადგილი უნდა იყოს. თქვენი აზრით, ეს არარეალურია?**

- რა თქმა უნდა, რეალურია, მაგრამ იმისათვის, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გახდე, ყველაფერი უნდა დაემთხვეს, ყველაფერი იდეალურად უნდა იყოს. ამისათვის ყველაფერთან ერთად იღბალიც გჭირდება. დღესდღეობით არსებობენ გუნდები, რომლებიც ჩვენზე მეტად იმსახურებენ მსოფლიოს ჩემპიონობას...

**- ესპანეთი? ინგლისი?**

- დიახ. განსაკუთრებით ძლიერი ინგლისია, რადგან ძალიან მაგარი ფეხბურთელები და შესანიშნავი მწვრთნელი ჰყავს. ერთადერთი, რაც ინგლისის ნაკრებს აკლდა, ეს იყო მწვრთნელი და დამეთანხმებით, ფაბიო კაპელო მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია. ინგლისელებმა უკვე ისწავლეს, თუ როგორ უნდა მოიგონ თამაში, როცა საუკეთესო ფორმაში არ არიან და ეს სწორედ კაპელოს დამსახურებაა - იტალიელი მწვრთნელები ხომ ამის ოსტატები არიან. ვერ წარმოიდგენთ, როგორი თავდაჯერებულია მთელი საფეხბურთო ინგლისი! ამას გარდა, ბრაზილიის ნაკრებიც ძალიან ძლიერი და თავდაჯერებულია.

**- ინგლისი, ესპანეთი, ბრაზილია - კიდევ რომელი ნაკრები ჯობია გერმანიას?**

- არც ერთი სხვა ნაკრები გერმანიაზე ძლიერი არ არის. ცხადია, არიან ჩვენნაირები, ანუ, ისეთები, რომლებიც ასევე ფავორიტებად მიიჩნევიან, მაგალითად, იტალია ან საფრანგეთი. მართალია, ფრანგებს მუნდიალის საგზურის მოპოვება გაუჭირდათ, მაგრამ მჯერა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე უმაღლეს დონეზე თამაში შეუძლიათ. საყურადღებოა პორტუგალიის ნაკრებიც. კინალამ დამავიწყდა: არგენტინაც ერთ-ერთი ფავორიტია - როგორც ყოველთვის.

**- გერმანიის ნაკრები ჯგუფში განასთან ერთად მოხვდა. ამ გუნდის ლიდერი ესიენი კი „ჩელსიში“ თქვენი თანაგუნდელია...**

- ესიენს ვუთხარი, 2:0-ს მოგიგებთ-მეთქი, მაგრამ არ დამთანხმდა. იმედი აქვს, რომ ჩვენთან არ წააგებენ. ჩვენი ქვეჯგუფი საკმაოდ ძლიერია და ამას ყველა მეუბნება: ავსტრალია, სერბეთი, განა - სამივე გუნდი ფიზიკურად და მენტალურად ძალიან ძლიერია და სამივე გუნდი ჩვენს დამარცხებაზე ოცნებობს.

გოტფრიდ ლენცი

სერია A. შემოდგომის შეჯამება. ბოლო ნაწილი

# კალჩო ანტრაქტამდე

დასასრული.
დასაწყისი იხ. გუშინდელ ნომერში

**იტალიის** მიმდინარე ჩემპიონატს ეკვატორი ჯერ არ გადაუკვეთია, მაგრამ ზამთრის შესვენება სწორედ ახლა გამოცხადდა და ჩვენც მოგვეცა იმის საშუალება, რომ განვლილ ბატალიებს თვალი გადავავლოთ. პირველი წრის დასრულებამდე ორი ტური და კიდევ ოთხი შეხვედრაა დარჩენილი, მაგრამ ეს პაექრობები უკვე 2010 წელს გაიმართება. ამიტომ, უპრიანი იქნება თუ შევაჯამებთ ყველაფერ იმას, რაც სეზონის გახსნიდან მოყოლებული ვიხილეთ. მასალა ორ ნაწილად გავყავით, პირველი გუშინდელ ნომერში წარმოგიდგინეთ, დასკვნითს კი ქვემოთ შეგიძლიათ გაეცნოთ.

## ვიოლა იტალიას აერთიანებს

„ფიორენტინა", გუნდი, რომელიც იტალიაში ყველას ესიმპათიურება. **ჩეზარე პრანდელიმ** მართლაც უდიდესი სამუშაო გასწია და აი, შედეგიც: „ვიოლა" ზედიზედ ორჯერ მოხვდა ჩემპიონთა ლიგის ძირითად ბადეში, მიმდინარე სეზონში კი სულაც მერვედფინალურ ეტაპზე გაალწია.

პრანდელი ცნობილია თავისი ტაქტიკური განსწავლულობით, რაც წლეულს არაერთხელ დაამტკიცა. მიმდინარე სეზონში მან ერთი შეხედვით მოძველებულ ტაქტიკურ მოდელზე გააკეთა აქცენტი და არც წაუგია. „ვიოლა" ოთხი მცველით იცავს თავს, ორი ფეხბურთელი საყრდენის პოზიციაზე თამაშობს, მათ წინ კიდევ სამი ნახევარმცველია და ბოლოს, ერთი ცენტრფორვარდი. ანუ, ლაპარაკია 4-2-3-1 ტაქტიკურ მოდელზე. მართლაც საინტერესო სანახავია ასეთი სქემით მოასპარეზე „ფიორენტინა". შეტევის წინა ხაზზე, როგორც წესი, **ალბერტო ჯილარდინო** მოქმედებს, რომელსაც **სტევან იოვეტიჩის** სახით, შესანიშნავი დუბლიორი ჰყავს. რაც შეეხება ნახევარდაცვაში განლაგებულ შემტევ სამეულს, ამ პოზიციებზე, როგორც წესი, **ხუან მანუელ ვარგასი, რიკარდო მონტოლივო** და **მარკო მარკიონი** ირჯებიან. და სად არის **ადრიან მუტუს** ადგილი? - საქმეც მაგაშია, რომ ახალმა ტაქტიკამ მუტუს პოზიციები მკვეთრად შეარყია, ამად არის, რომ რუმინელი სულ უფრო და უფრო იშვიათად ხვდება ძირითად შემადგენლობაში. მეორე მხრივ, როდესაც თადარიგში ასეთი კლასის ფეხბურთელი გყავს, თამაშის გაძლიერება ნებისმიერ მომენტში შეგიძლია.

„ფიორენტინას" ჰქონდა ჩავარდნები და ეს სრულიად ბუნებრივია. გუნდი ორ ფრონტზე იბრძვის, ძალებს კი გადანაწილება სჭირდება. ვფიქრობთ, პრანდელიმ ამ შემთხვევაშიც კარგად იმუშავა, თითქოს სწორად გადაანაწილა მის ხელთ არსებული რესურსი და გუნდი კრიზისს ააცილა. ჩავარდნა კი ნებისმიერ გუნდს შეიძლება ჰქონდეს და ის მოუგებელი სერია, რომელიც მეშვიდე ტურიდან მეათეს ჩათვლით გაგრძელდა, დღევანდელი გადასახედიდან, კატასტროფულად სულაც არ მოჩანს. არადა, იმ პერიოდში პრესა გვარიანად აკრიტიკებდა პრანდელის, რამდენჯერმე მისი შესაძლო გათავისუფლების შესახებაც კი ჩამოაგდეს სიტყვა.

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ ეტაპზე ფლორენციელებს მიუნხენის „ბაიერნთან" მოუწევთ დაპირისპირება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სრულიად იტალია სერია A-ს ბინადრის მხარეს იქნება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ის გუნდია, რომელიც აპენინებზე ყველას ესიმპათიურება.



ფიორენტინამ კრიზისი თავიდან აიცილა

## არშემდგარი ლიდერი

ბევრი იძახა **ლუიჯი დელ ნერიმ** პოზიციებს არც სამომავლოდ დავთმობთო, მაგრამ რეალობა სულ სხვაგვარი აღმოჩნდა. „სამპდორიამ" სეზონი მართლაც შთამბეჭდავად დაიწყო და ერთი პერიოდი, სატურნირო ცხრილს სულაც სათავეში ედგა. პირველ ოთხ ტურში გენუელებმა ოთხივე შეხვედრა მოიგეს, შეგვიძლია ანგარიშებიც გავიხსენოთ: 2:1 „კატანიასთან", 3:1 „უდინეზესთან", 1:0 „ატალანტასთან" და 4:1 „სიენასთან". კულმინაცია „ინტერის" მინიმალური ანგარიშით ძლევა გახლდათ, რამაც ტიფოზერია ლამის ექსტაზში ჩააგდო. შესანიშნავად თამაშობდნენ **ანტონიო კასანო** და **ჯამპაოლო პაცინი**. სწორედ მაშინ დაიწყო ნამდვილი ისტერია კასანოს ეროვნულ ნაკრებში გამოძახებასთან დაკავშირებით. „სამპას" ყოველი თამაშის შემდეგ **მარჩელო ლიპის** წნეხის ახალი ტალღის გადაგორება უწევდა.

თუმცა სულ მალე ყველაფერი შეიცვალა, გენუური კლუბის წარუმატებლობები „იუვენტუსთან" წაგებული შეხვედრით დაიწყო და დღემდე გრძელდება. შედეგად, ჩვიდმეტი ტურის შემდეგ „სამპდორიას" სატურნირო ცხრილში მხოლოდ და მხოლოდ მერვე პოზიცია უკავია. რომ არა ბრწყინვალე სტარტი, გუნდი სულაც ცხრილის ქვედა ნაწილში იქნებოდა.

რამ განაპირობა გენუური კლუბის ასეთი დაღმასვლა? - ექსპერტების აზრით, მოკლე სათადარიგოთა სკამმა. დიახ, სენიორ ლუიჯი ფაქტობრივად თერთმეტი ფეხბურთელით გადიოდა ფონს და ცვლილებებს ძირითადად შეხვედრის უკანასკნელ წუთებზე, დროის გაყვანის მიზნით ახორციელებდა. ასეთი რესურსით თანამედროვე ფეხბურთში შორს ვერ გაფრინდები და დელ ნერის დარ გამოცდილ სპეციალისტს, წესით, ეს უნდა სცოდნოდა. ფეხბურთელები აშკარად გამოიფიტნენ და თუ სადამდე მიიყვანა ამან გუნდი, თავადაც ხედავთ. დელ ნერი დღეს უკვე ღიად აცხადებს, გაძლიერება გვესაჭიროებაო, მაგრამ კლუბის პრეზიდენტი **ჯუზეპე მაროტა** უარზე დგას: ტრანსფერებზე მხოლოდ ზაფხულში ვილაპარაკოთო.

ვერ გეტყვით, ვის შეიძენენ გენუელები ზაფხულში, მაგრამ იმის შანსი კი საკმაოდ დიდია, რომ გუნდი ანტონიო კასანომ დატოვოს. ჭირვეულმა ვარსკვლავმა ძნელბედობის ჟამს უხიაგი ხასიათი გამოავლინა და გულშემატკივრებს დაუპირისპირდა. არც ტიფოზები ინდობენ მას და საშინაო შეხვედრებისას სტვენით „აჯილდოებენ". ეს კიდევ ერთი მოტივაციაა ანტონიოსთვის, რომ სეზონის ბოლოს კლუბი გამოიცვალოს. ასე რომ, ამ ეტაპზე „სამპას" ტიფოზებს საიმედოს ვერაფერს ვეუბნებით.



ანტონიო კასანო და ჯამპაოლო პაცინი. სამპდორიას დამრტყმელი ძალა, რომელმაც ტემპს აშკარად უკლო

## რომაელები

„ლაციო" ერთადერთი იტალიური გუნდია, რომელმაც 2009 წელს ორი ტიტული მოიგო. დიახ, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ტროფეების რაოდენობით „ბიანკოჩელესტე" წლის გამარჯვებულია. ვისაც არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ რომაელებმა ჯერ იტალიის თასი მოიგეს, შემდეგ კი ქვეყნის სუპერთასსაც დაეუფლნენ. სწორედ „ინტერის" ძლევით დაიწყო „ლაციომ" მიმდინარე სეზონი, რამაც გულშემატკივრები იმედებით აავსო. ტროფეით დაიწყო თავისი რომაული მოღვაწეობა **დავიდე ბალარდინიმ** და თითქოს უკეთესს კაცი ვერც ინატრებდა, მაგრამ... „ბიანკოჩელესტე" ღრმა კრიზისში ჩაეფლო, საიდანაც დღესაც ვერ ამომძვრალა. თავად განსაჯეთ, სამი თვის განმავლობაში გუნდმა სერია A-ში ერთი შეხვედრის მოგებაც ვერ შეძლო. ამასთან, უსახელოდ დაემშვიდობა ევროპის ლიგის გათამაშებას. შავ დღეშია ბალარდინი, ვისზეც დედაქალაქელები საკმაოდ დიდ იმედებს ამყარებდნენ. მწვრთნელი თავისივე ტაქტიკურ სქემებში აიხლართა და რომაული დერბის თამაშობით, თითქმის ყველა პრინციპული შეხვედრა წააგო. დავიდემ 4-3-3-ზე უარი თქვა და გუნდი 4-4-2-ზე გადააწყო. **ტომაზო როკის მარიო სარატე** შეუწყვილა, რამაც აშკარად არ გაამართლა.

ექსპერტები ბალარდინის ძველი ტაქტიკის, 4-3-3-ის დაბრუნებას ურჩევენ, რადგან იგივე სარატე ფლანგიდან გაცილებით ეფექტურად უტევს. მწვრთნელი ჯერჯერობით თავისას არ იშლის, რაც შეიძლება ძვირად, ანუ პოსტის დატოვებად დაუჯდეს.

ჩვენ თუ გვკითხავთ, ბალარდინიმ აუცილებლად უნდა დააბრუნოს 4-3-2-1 და სარატე ფლანგზე გადასწიოს. თუ **გორან პანდევის** რეაბილიტირება არ მოხდა, მეორე გარემარბად თავისუფლად შეიძლება **პასკუალე ფოჯას** გამოყენება, რომელსაც დავიდე რატომლაც არ სწყალობს. რაც შეეხებათ პანდევსა და **ლედესმას**, ისინი კვლავ მოკვეთილნი არიან მთავარი გუნდიდან და როგორც ჩანს, მათი დაბრუნებით არც არავინ არის დაინტერესებული. ამიტომ, რაც მალე შეიცვლიან ნავსაყუდელს, მით უკეთესი მათთვის.

ბოლო წლებმა **კლაუდიო რანიერის** ავტორიტეტი გვარიანად შებლალა, მაგრამ **სენსებმა** არჩევანი მაინც მასზე შეაჩერეს. შესაძლოა იმიტომ, რომ იმ დროისთვის სპეციალისტების აბსოლუტური უმეტესობა უბრალოდ დაკავებული იყო. **ლუჩანო სპალეტი** უნდა წასულიყო, რადგან მის ხელში გუნდი ველარ ვითარდებოდა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ლუჩანომ „ჯალოროსიში" პატარა ეპოქა შექმნა - იტალიაში დღემდე მიიჩნევენ, რომ მისი ფორმაციის „რომა" ბოლო ათწლეულში სერია A-ს გუნდებს შორის ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობდა.

რანიერიმ სპალეტის უცნაურ ტაქტიკეურ სქემებზე უარი თქვა და გუნდი უმალ 4-4-2-ზე გადააწყო. „რომამ" სწორედ ამ სქემით მოიგო რამდენიმე პრინციპული პაექრობა და სატურნირო ცხრილში მდგომარეობა მკვეთრად გაიუმჯობესა. შედეგებმა ფეხბურთელების საბრძოლო სულისკვეთება ერთიორად აამაღლა, „ტრიგორიაზე" დღეს უკვე თამამად საუბრობენ სკუდეტოზე და ეს მიუხედავად იმისა, რომ „ინტერთან" ჩამორჩენა ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია. ბოლო პაექრობებში რანიერიმ 4-2-3-1 ტაქტიკა გამოიყენა, მიბაძა რა ჩეზარე პრანდელის. ან შეიძლება სულაც არ მიუბაძავს, ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. მთავარია, რომ ეს სქემა კიდევ ერთმა სპეციალისტმა გამოიყენა და არცთუ უშედეგოდ - „რომამ" სეზონის პირველი ნახევარი მაჟორულ ნოტზე დაასრულა: დერბიში გამარჯვებას „სამპდორიასთან" ფრე და „პარმასთან" აღებული მნიშვნელოვანი სამი ქულა მოჰყვა.

იტალიელი ჟურნალისტების მტკიცებით, „რომა" ზამთრის შესვენებისას სერიოზულად გაძლიერებას აპირებს. თითქმის გადაწყვეტილია, რომ დედაქალაქურ კლუბს **ლუკა ტონი** დაემატება, რომელიც სამშობლოში ახალი მოტივაციით და დიდი ენთუზიაზმით ბრუნდება. სკუდეტოსი რა გითხრათ, მაგრამ ფაქტია, რომ რანიერის გუნდი ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია. აქედანვე იკვეთება, რომ ოთხეულისთვის ბრძოლა მეტად მწვავე იქნება: „ინტერი", „მილანი", „იუვენტუსი", „რომა", „ფიორენტინა". ერთი ზედმეტია და თუ რომელი დარჩება განზილებული, ამას მაისში გავიგებთ. ან იქნებ სულაც „პარმამ" შეაბიჯოს ოთხეულში? - ძნელად წარმოსადგენი კია, მაგრამ სერია A-ში გამორიცხული არაფერია. ცნობისთვის, ლიგის ზონაში მოხვედრის ამბიცია აქვთ ნეაპოლელებსაც.

ერთი სიტყვით, სეზონის მეორე ნახევარი ბევრ საინტერესოს გვპირდება. ვნახოთ, რა იქნება ანტრაქტის შემდეგ...

**ლაშა წიკლაური**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან

შაბათის სტუმარი

# გზაზე ერთი კაცი მიდიოდა

...ნეტავ, სხვაგანაც თუ ხდება მსგავსი რამ? ან იქნებ მხოლოდ ჩვენთვის, ქართველებისთვის არის დამახასიათებელი ვითომ-გულმავიწყობა? ძნელია ამ კითხვებზე პასუხის გაცემა, მაგრამ მაინც გვგონია, რომ ამ მხრივ ქართველებს ბადალი არ გვეყოლება: ვინმეს უცებ გავაფეტიშებთ, რანაირი ეპითეტით არ შევამკობთ, ყოველდღე მის სიდიადესა თუ განსაკუთრებულობაზე ვისაუბრებთ (თან, მუდამ ალმატებულ ხარისხში)... მაგრამ, საკმარისია, რომ იმ გუშინდელ კერპს სადმე „ფეხი დაუცდეს", ვილას ახსოვს მისი დამსახურება; ჰოდა, მაშინვე ერთგვარი „შეჯიბრიც" იწყება - ვინც უფრო მწარედ გააქილიკებს და უფრო მეტ ბოლმიან სიტყვას იტყვის, აი, იმას უნდა, რომ „გამარჯვებულადაც" ალიარონ...

სამწუხაროდ, ყოველივე ზემოთქმული, მწარე და „ჭეშმარიტად ქართული" სინამდვილეა - ყოველდღიურ ცხოვრებაშიც და ყველა სფეროშიც რომ გვხვდება. აქედან გამომდინარე, ფეხბურთიც არ იქნება გამონაკლისი, უფრო ზუსტად, ფეხბურთში დასაქმებული ხალხი - ფეხბურთელი თუ მწვრთნელი; მაგრამ, ყველაზე ცუდი მაინც „გულმავიწყობა" და დაუნახაობაა: შენი თანამემამულე ჩემპიონთა ლიგას ორჯერ რომ მოიგებს - ვითომც არაფერიო; მეორე შენიანი რომ სამ სხვადასხვა ქვეყანაში საუკეთესო ბომბარდირი გახდება - ესეც ვითომ არაფერიო; მესამეს რომ კლუბის ასწლიან ისტორიაში ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებენ - რაღა თქმა უნდა, ესეც ჩვეულებრივ ამბად უნდა მივიჩნიოთ. კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება; აი, თუნდაც ლევან კობიაშვილის მიღწევები გავიხსენოთ - სულ მალე გერმანიაში თავის მეცამეტე სეზონს რომ დაიწყებს. მოდი, გულზე ხელი დავიდოთ და ისე ვთქვათ: სჯერა ვინმეს, კიდევ რომელიმე ქართველმა ფეხბურთელმა 12 წელიწადი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ლიგაში რომ გაატაროს? ისიც გვაინტერესებს, თუ ვინ იქნება მომდევნო ქართველი ფეხბურთელი, ბუნდესლიგაში სამასმატჩიან ნიშნულს რომ მიუახლოვდება; ან კიდევ, დებიუტის დღიდან მოყოლებული, 13 წლის განმავლობაში საქართველოს ნაკრების ძირითადი და შეუცვლელი ფეხბურთელი რომ იქნება.

...ინტერვიუზე უარი არ უთქვამს, და ჩვეული თავმდაბლობით პასუხობდა ჩვენს კითხვებს; ისე, ერთი მხრივ, არც გაგვკვირვებია: მეტ-ნაკლებად ვიცნობთ მის ხასიათს და დანამდვილებით შეგვიძლია იმის თქმა, რომ მედიდურობა თუ „ზემოდან გადმოხედვა" მისთვის ყოველთვის უცხო რამ იყო; ჟურნალისტების შრომასაც აფასებს და სამართლიან კრიტიკასაც ჩვეულებრივ ამბად აღიქვამს; „სამართლიანსა და საქმიანსო, და არა ჩასაფრებულის პოზიციიდან ან არაპროფესიონალის ნათქვამსო" - აი, ზუსტად ასე გვითხრა ჩვეული გულახდილობით...

**- ლევან, მოდი, სულ თავიდან დავიწყოთ; როგორც ვიცით, სპორტული ოჯახიდან ხართ.**

- საბჭოთა კავშირის დროს მამას გარკვეული წარმატებები ჰქონდა ველოსპორტში, თუმცა მე ბავშვობიდანვე ფეხბურთის გარდა არაფერზე ვფიქრობდი და ექვსი წლის ასაკში „ავაზაში" რომ მიმიყვანეს, დღემდე ამ საქმეს ვემსახურები.

**- პირველი მწვრთნელები თუ გახსოვთ?**

- თავდაპირველად თენგიზ მგელაძესთან ვვარჯიშობდი, როცა წამოვიზარდე, მალხაზ კოდანაშვილი იყო ჩვენი მწვრთნელი.

**- „ავაზას" იმ გუნდიდან თქვენ გარდა დიდი ფეხბურთი ვინმემ თუ ითამაშა?**

- სამწუხაროდ, არავინ; არადა, იმ გუნდში გამორჩეულად სულაც არ ვითვლებოდი. პირიქით - ჩემი სამი-ოთხი თანაგუნდელი იყო, მწვრთნელები თუ მშობლები უდიდეს მომავალს რომ უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ...

**- ანუ, გინდათ თქვათ, რომ ფეხბურთში მხოლოდ ნიჭი საკმარისი არ არის?**

- ამ ნიჭს გამოყენება სჭირდება; ხომ გეუბნებით, მე არასდროს ვითვლებოდი განსაკუთრებული ტალანტით დაჯილდოებულ ფეხბურთელად, მაგრამ ბავშვობიდანვე შრომა მიყვარდა. თუ დღეს რაიმეს წარმოვადგენ, მხოლოდ შრომით მივაღწიე - სადაც კი ვთამაშობდი, დაუღალავი ვარჯიში და საქმისადმი პროფესიული დამოკიდებულება იყო ჩემი მთავარი პრინციპები. რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ, ბავშვობის ოცნება რომ შევისრულე და ფეხბურთი მაღალ დონეზე ვითამაშე; ყოველ შემთხვევაში, მიმაჩნია,



რომ წლების განმავლობაში საქართველოს ნაკრების მაისურის ტარება და ბუნდესლიგაში გატარებული თორმეტი წელიწადი „რაღაც" დონეს, ალბათ, ნიშნავს...

**- გეთანხმებით, ოღონდ „რაღაცაზე" ბევრად მეტსაც ნიშნავს და გვინდა, ძალიან მალე მოგილოცოთ ორი სარეკორდო მაჩვენებელი: საქართველოს ნაკრებში ჩატარებული მეასე მატჩი და ბუნდესლიგაში მესამასე (!) შეხვედრა. თუმცა, ნაკრებსა და გერმანულ კარიერაზე ვიდრე ვისაუბრებდეთ, საქართველოს ჩემპიონატში თქვენი დებიუტი გავიხსენოთ.**

- ჯერ ისევ „ავაზაში" ვიყავი, რევაზ ძოძუაშვილი ჩემით რომ დაინტერესდა. ძოძუაშვილი იმ დროს „დინამოს" მთავარი მწვრთნელი იყო და გარკვეული პერიოდის განმავლობაში მეორე გუნდში მათამაშებდა. მერე, ისე მოხდა, რომ „დინამოდან" წასვლა მოუხდა და როგორც კი რუსთავის „მეტალურგი" ჩაიბარა, მაშინვე წამიყვანა.

**- 16 წლის ბიჭი ასე უპრობლემოდ თუ მოხვდებოდით ძირითად შემადგენლობაში, ვერავინ წარმოიდგენდა.**

- ძირითადში ასაკით ყველაზე უმცროსი მე ვიყავი - ძმები კილასონიები, თამაზ მეტრეველი, მამუკა ქორიძე, - გუნდში არაერთი გამოცდილი ფეხბურთელი თამაშობდა. მერე და მერე შემოგვემატნენ: გოგა გახოკიძე, დათო ჩალაძე, ზაზა ზამთარაძე. რა თქმა უნდა, „ავაზადან" პირდაპირ დიდ გუნდში მოხვედრა იოლი არ იყო, მით უფრო, მაშინ ეროვნული ჩემპიონატი საკმაოდ მაღალი დონის იყო.

**- მალე საქართველოს უძლიერეს კლუბში გადახვედით. ოღონდ, მანამდე სხვა რამეს გკითხავთ: ბავშვობაშიც მარცხენა მცველად თამაშობდით?**

- „ავაზაში" ძირითად საყრდენ ნახევარმცველად ვთამაშობდი, მაგრამ რუსთავში რომ გადავედი, ძოძუაშვილმა დაცვის მარცხენა ფლანგზე დამაყენა. ძლიერი მწვრთნელია, თავისი საქმის პროფესიონალი და დისციპლინაც უყვარს. ფსიქოლოგიურადაც ისე შემამზადა, რომ პატარა ბიჭს თამაში არ გამჭირვებოდა. თუმცა, მერე უკრაინაში წავიდა, ამასობაში ახალი სეზონი იწყებოდა და „დინამოს" ბაზაზე ახალგაზრდა ფეხბურთელების სინჯების შესახებ რომ გავიგე, მაშინვე მივაშურე.

**- ორი სეზონი უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის ძირითადი ფეხბურთელი იყავით და სინჯებზე წასვლა არ გეთაკილათ?**

- ამაში სათაკილოს ვერაფერს ვხედავდი, 50-მდე თანატოლი იყო ბაზაზე და პირველივე ვარჯიშის შემდეგ მაცნობეს, რომ მეორე დღეს „დინამოსთან" კონტრაქტი უნდა გამეფორმებინა.

**- მაშინდელ „დინამოში" უამრავი ნიჭიერი თქვენი თანატოლი და რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი თამაშობდა. თან „დინამოს", ფაქტობრივად, კონკურენტი არ ჰყავდა.**

- მართლაც ჩინებული გუნდი გვყავდა: კიკნაძე, ცქიტიშვილი, იაშვილი, დემეტრაძე, მერე მუჯირიც დაგვემატა; აღარაფერს ვამბობ გამოცდილებზე - გოგიჩაიშვილზე, ჯამარაულზე, კუდინოვზე, ზოიძეზე, ლობჟანიძეზე, ბერაძეზე. რაც შეეხება კონკურენტებს, მხოლოდ ბათუმში გვიჭირდა თამაში - იქაც ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავდათ, თან ერთიმეორეზე გამოცდილი ფეხბურთელები თამაშობდნენ მალხაზ მახარაძის „თამადობით". საერთოდაც, მაშინდელი ჩემპიონატისა და დღევანდელის შედარება, რბილად რომ ვთქვა, უხერხულიც არის; ეს ეხება ფინანსებსაც, ინფრასტრუქტურას, მაყურებლების რაოდენობასაც და რაც მთავარია, ფეხბურთელების დონეს. ვინმეს, შესაძლოა, ეწყინოს, მაგრამ თქვენც ხომ მეთანხმებით? აბა ჯამარაული რომ გუნდში ითამაშებდა, ეს უკვე რამხელა უპირატესობა იყო...

**- „დინამოსთან" ერთად იმ სეზონში საქართველოს ჩემპიონიც გახდით, თასიც მოიგეთ და სუპერთასიც. ანუ, ეს იყო ფეხბურთელ კობიაშვილის პირველი ტიტულები.**

- გამოცდილი ფეხბურთელები ჩამოვთვალე და გელა ინალიშვილი გამომრჩა; არადა, სწორედ მისი ერთადერთი გოლის წყალობით შევძელით თასის ფინალში ჩვენი უხერხული მეტოქის ბათუმის „დინამოს" დამარცხება. ის ტიტულები კი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა...

**- სამწუხაროდ, იმავე წლის ზაფხულში „დინამოსაც" და პირადად თქვენც დიდი იმედგაცრუება გელოდათ: უეფას თასზე ბულგარულ „ბოტევთან" განმეორებით დაპირისპირებას ვგულისხმობთ.**

- ამდენი დრო გავიდა და დღესაც არ ვიცი, იმ შეხვედრაში რა დამემართა; სიმართლე გითხრათ, არც მეგონა, მაგ მატჩის შესახებ რამეს თუ მკითხავდით... პირველი მატჩი 0:1 გვქონდა წაგებული, ჰოდა, თბილისშიც საკმაოდ შემტევი და, ცოტა არ იყოს, უცნაური ტაქტიკაც აირჩიეს ჩვენმა მწვრთნელებმა. კარგად მახსოვს, გივი დიდავა გამთამაშებლად დააყენეს, კახა კაჭარავაც ნახევარდაცვაში თამაშობდა, მაგრამ ყველაზე უცნაურობები მე დამემართა; მატჩის დაწყებიდან 15 წუთი იყო გასული და ბურთი რამდენჯერაც მივიღე, იმდენჯერ დავკარგე ან უზუსტო პასი გავაკეთე.

**- მოკლედ, „თქვენი დღე" არ იყო.**

- მსგავსი რამ შემდგომში არასდროს მომსვლია, მე თვითონ არ ვიცოდი, რა მჭირდა; მაშინვე სათადარიგოთა სკამისკენ გავაპარე მზერა და ვხედავ, მწვრთნელები ახალ ფეხბურთელს ამზადებენ - რა თქმა უნდა, ჩემს შესაცვლელად. თუმცა, ნელ-ნელა დავწყნარდი და აღარც შევუცვლივარ, მაგრამ მატჩის მიწურულს მსაჯმა წითელი ბარათი მიჩვენა. ეგ კიდევ არაფერი - რამდენიმე დღეში საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს თამაში ჰქონდა და იმ შეხვედრაშიც გამძევეს; მერე კიდევ რაღაც სხვა მატჩი იყო და ანალოგიური დამემართა. არადა, მე ხომ ვიცი და სხვებსაც უთქვამთ, რომ უხეში ფეხბურთელი არა ვარ...

**- უხეში ფეხბურთელი ნამდვილად რომ არა ხართ, სტატისტიკას მოვიშველიებთ: ბუნდესლიგაში ჩატარებულ 289 მატჩში მხოლოდ ერთხელ გაქვთ მიღებული წითელი ბარათი.**

- „ფრაიბურგში" ვთამაშობდი და მაშინაც ერთ შეხვედრაში ორი ყვითელი მივიღე, ეს იყო და ეს.

**- ისევ „დინამოსა" და ევროტურნირებს დავუბრუნდეთ; ოღონდ, ახლა უკვე 1996 წლის შემოდგომის მართლაც დაუვიწყარი მატჩები გავიხსენოთ.**

- „დინამოს" თითოეულმა ფეხბურთელმა კარგად ვიცოდით, თუ რას ნიშნავდა მოსკოვის „ტორპედოსთან" ორრაუნდიანი დაპირისპირება. მოსკოვში რომ ჩავედით, მასპინძლებს ვერაფრით წარმოედგინათ, თუ ჩვენ რაიმე წინააღმდეგობას გავუწევდით, მაგრამ იმ საშინელ თოვლ-ჭყაპში შევძელით და გავიმარჯვეთ.

**- ის წარმატება, მნიშვნელოვნად, ორი ფეხბურთელის შთამბეჭდავი თამაშით იყო განპირობებული - ლევან კობიაშვილი და გოჩა ჯამარაული ორივე გუნდის შემადგენლობაში უდავოდ, გამორჩეულნი იყვნენ.**

- ვიცი, რომ ბევრი აღნიშნავდა ჩემი და ჯამარაულის თამაშს; თუმცა, მთელმა გუნდმა კარგად ისპარეზა იმ შეხვედრაშიც და თბილისშიც, როცა ჯამარაულმა ძალიან მაგარი გოლი გაიტანა. სამწუხაროდ, კარგად დაწყებული საქმე ცუდად დავამთავრეთ - „ბოვიშტასთან" სტუმრად დიდი ანგარიშით წავაგეთ და უეფას თასიდან გამოვვარდით.

**- თქვენს მომდევნო გუნდზე ცალკე გვინდა შევჩერდეთ: საკუთარი აზრი გვაქვს იმასთან დაკავშირებით, რომ „ალანიაში" გატარებულმა ერთმა სეზონმა ფეხბურთელ-კობიაშვილის კარიერაზე უდიდესი გავლენა მოახდინა.**

- ალბათ, ასეც არის; უფრო ზუსტად, დანამდვილებით შემიძლია ამის თქმა; რაღა თქმა უნდა, უდიდესი განსხვავება იყო საქართველოსა და რუსეთის ჩემპიონატებს შორის; უპირველეს ყოვლისა, სეზონისწინა მომზადებას ვგულისხმობ: მართლაც არანორმალური დატვირთვები იყო და ვისთანაც კი მითამაშია, ერთადერთი, მხოლოდ ფელიქს მაგათის ვარჯიშებს თუ შევადარებდი. თუმცა, იმ დატვირთვებს სარგებელი უკვე სეზონის დროს მოჰქონდა - ვინც გაზაევის ვარჯიშებს გაუძლებდა, ჩემპიონატის დროს მოედანზე „დაფრინავდა"!

**- პირადად ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ ვალერი გაზაევი კობიაშვილის ნიჭს ყოველთვის აფასებდა...**

- ხომ გითხარით, განსაკუთრებული საფეხბურთო ნიჭით დაჯილდოებული არა ვარ-მეთქი; კიდევ ვიმეორებ: რაიმეს თუ მივაღწიე, ჩემი შრომისმოყვარეობით. გაზაევი კი მართლაც მენდობოდა და სანამ „ალანიაში" წამიყვანდა, თურმე სისტემატურად ადევნებდა თვალს ჩემს თამაშებს. მეც, შევეცადე და იმედები არ გავუცრუე - ის სეზონი ჩემს კარიერაში ერთ-ერთ წარმატებულად მიმაჩნია; არადა, მახსოვს, როგორი კოშმარი გადავიტანეთ შეკრებებზე: ჯერ ერთი კვირით დარბაზში გამოგვკეტეს და სირბილში გვავარჯიშებდნენ; შემდეგ - მაღალ მთიანეთში წავედით; მერე კიდევ - სხვაგან და ასე შემდეგ. იცით, ზოგიერთი ფეხბურთელი ასეთ დატვირთვებს ვერ უძლებდა და ცუდად ხდებოდა.

**- შეგიძლიათ თქვათ, რომ გაზაევი-მწვრთნელი ერთ-ერთი საუკეთესოა, ვისთანაც როდისმე გიმუშავიათ?**

- რა თქმა უნდა; დისციპლინაზე არც ვლაპარაკობ - საკმარისზე მეტადაც მკაცრია. მთავარი მაინც მისი განსწავლულობაა: თამაშის შემდეგ შეეძლო საათობით აეხსნა თითოეული ჩვენგანისთვის სულ უმნიშვნელო ნიუანსიც კი.

**- „ალანიაში" ერთი მატჩი თავდასხმაშიც ხომ ითამაშეთ?**

- კალინინგრადში „ბალტიკასთან" ვთამაშობდით და 0:1-ს ვაგებდით. 15 წუთი რჩებოდა მატჩის დამთავრებამდე, როცა გაზაევმა ჩვენი ცენტრფორვარდი შეცვალა და მის ნაცვლად... ცენტრალური ნახევარმცველი შემოიყვანა, მე კი... თავდასხმაში დამავალა თამაში. ისე მოხდა, რომ ბოლო წუთებში ზედიზედ ორი გოლი გავიტანე და თამაშიც მოვიგეთ. გაზაევმა ისეთი ემოციური სტრესი გადაიტანა ამის გამო, მიკროინფარქტი დაემართა და გარკვეული პერიოდი ექიმების ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა.

**- რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ლეგიონერი, საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი, საუკეთესო „საყრდენი" - ის სეზონი, მართლაც, წარმატებული იყო თქვენ კარიერაში.**

- მეც ასე მიმაჩნია. თან, თუ არ ვცდები, რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელებს შორის მეოთხე ადგილზე გავედი. სამწუხაროდ, ის სეზონი სხვა მხრივაც დამამახსოვრდა: ჯერ დასაწყისში დავშავდი, შემდეგ კი ბოლო ტურების გამოტოვებამ მომიწია ტრავმების გამო.

**- თქვენი და გაზაევის გზები იმ სეზონის შემდეგ გაიყარა; იმის შემდეგ კიდევ იყო შანსი, ერთად რომ გემუშავათ?**

- ჯერ იმას გეტყვით, რომ ჩემი გაშვება არ უნდოდა; აქ, თბილისში ჩამოვიდა და მე და მამაჩემს შეგვხვდა - თვითონ ცსკა-ში ინიშნებოდა და მოსკოვში უნდოდა ჩემი წაყვანა. მაგრამ მე უკვე გადაწყვეტილი მქონდა „ფრაიბურგში" გადასვლა. მეორედ კი გერმანიაში ჩამოვიდა ცსკა-ს პრეზიდენტ ევგენი გინერთან ერთად - ჩინებულ პირობებს მთავაზობდნენ, მაგრამ უარი ვუთხარი. ის პერიოდია, „შალკეში" რომ ვაპირებდი გადასვლას.

**- არადა, ცსკა-ში რუსეთის ჩემპიონიც გახდებოდით და უეფას თასსაც დაეუფლებოდით, პლუს მოსკოვში ბევრად უკეთესი ფინანსური პირობებიც გექნებოდათ...**

- მაგრამ მე მაინც გერმანიაში დარჩენა ვამჯობინე; შესაძლოა, ფინანსურად წავაგე, ჯილდოების მხრივაც არ გამიმართლა, მაგრამ არ ვნანობ ევროპაში რომ დავრჩი. საერთოდაც, ჩემი აზრით, ფეხბურთელი ახალ კლუბში მხოლოდ იმის გამო არ უნდა მიდიოდეს, იქ რომ კარგი გასამრჯელო ელოდება და სულაც არ ანალვლებს, ძირითადში იქნება თუ არა.

» გე-11 გვერდზე

## ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან

« მე-10 გვერდიდან

არ ვიცი, თქვენთვის ცნობილია თუ არა ის ფაქტი, როცა „ფრაიბურგში" ჩარიცხვამდე ორი მეტად სერიოზული ნინადადება მქონდა ინგლისიდან - „ტოტენჰემი" და „ნიუკასლი" მიწვევდნენ.

**- აი, ეს კი ნამდვილად არ ვიცოდით. მერე, უარი რატომ თქვით?**

- ჯერ ერთი, როგორც გითხარით, „ალანიადან" ტრავმირებული წამოვედი და ბოლომდე გამოჯანმრთელებული არ ვიყავი; თან, როგორც კი შევხვდი „ფრაიბურგის" მთავარ მწვრთნელ ფოლკერ ფინკეს, მაშინვე მივხვდი, რომ სწორ გადაწყვეტილებას ვიღებდი. დრომ დაამტკიცა ყველაფერი - „ფრაიბურგში" გატარებულ ხუთსეზონნახევარს ვერასდროს დავივიწყებ...

**- ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ფოლკერ ფინკეს დამსახურება იქნება.**

- იცით, ეს კაცი მხოლოდ მწვრთნელი არ იყო - ფაქტობრივად, თითოეული ჩვენგანისთვის უფროსი მეგობარი გახლდათ; ჯერ იმას ვერ დავივიწყებ, თავიდანვე როგორ გვერდში დამიდგა: მკურნალობა იქნებოდა თუ უშუალოდ გერმანულ გარემოსთან ადაპტაცია. ან, მხოლოდ მე? იმავეს ვიტყოდი იაშვილისა და ცქიტიშვილის შემთხვევებზეც - სამივე ჩვენგანთან ისეთი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა, უკვე სამჯერ იყო თბილისში ჩამოსული... სულ პირველად რომ მოდიოდა, იცით, რით ახსნა? თქვენი ქვეყანა მაინტერესებს, თქვენი წეს-ჩვეულებები, თქვენი ოჯახის წევრების გაცნობა მსურს, თქვენი მეგობრებისო და ასე შემდეგ...

**- ამჟამად ურთიერთობა კიდევ გაქვთ?**

- ძალიან ხშირად ვეკონტაქტებით ერთმანეთს; ახლახან დამირეკა და „შეპარვით" მითხრა: ხომ იცი, იაპონიაში ვმუშაობ და ჩემთან წამოდიო; უარი შევუთვალე - მიმაჩნია, რომ ჯერ კიდევ შემიძლია ბუნდესლიგის დონეზე თამაში.

**- „ფრაიბურგიდან" „შალკეში" გადასვლა აშკარად წინგადადგმული ნაბიჯი იყო; თან, თქვენ უკანასკნელ გუნდში უფრო მეტხანს - ექვსსეზონნახევარი დაყავით.**

- მოდი, ჯერ მწვრთნელებით დავიწყებ: ალბათ ამის მიზეზიც არის, ამ ხნის განმავლობაში გერმანიის ჩემპიონები რომ ვერ გავხდით. თუმცა, ხანდახან უიღბლობის ბრალიც იყო - ორჯერ სულ ცოტა დაგვაკლდა ჩემპიონობამდე, ერთხელ თასის ფინალში დავმარცხდით. არადა, ჩვენს რომელ მწვრთნელზე იტყვის ვინმე, თავისი საქმე არ იცოდაო? „შალკეში" რომ ჩავირიცხე, იუპ ჰაინკესი გვწვრთნიდა - თავის დროზე დიდი ფეხბურთელი იყო და მერე, არანაკლებ ჩინებული მწვრთნელი. ბოლო-ბოლო, ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა მადრიდის „რეალს".

**- ჰაინკესის სიმკაცრეზე ლეგენდები დადიოდა...**

- მკაცრი მართლაც იყო, მაგრამ როგორც ვიცი, ამჟამად „ლევერკუზენში" შედარებით „რბილი" გამხდარა. ჰაინკესის მერე რალფ რანგნიკი მუშაობდა, ნამდვილი ტაქტიკოსი, „პროფესორიც" ამიტომ შეარქვეს. რანგნიკის ხელმძღვანელობით „შალკე" საკმაოდ წარმატებით ასპარეზობდა - ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავედით, თასის ფინალშიც ვითამაშეთ, მერე გერმანიის ლიგის თასი მოვიგეთ და, რაც მთავარია, ჩემპიონთა ლიგაზეც არ შეგვირცხვენია თავი.

**- რანგნიკი სლომკამ ჩაანაცვლა, ეს უკანასკნელი - რუტენმა; ამდენი სამწვრთნელო ცვლილების მიუხედავად, „შალკეს" ძირითადში მოხვედრა თქვენთვის პრობლემა არასდროს გამხდარა. არადა, ამ ექვსსეზონნახევრის განმავლობაში გუნდში მუდამ არნახული კონკურენცია იყო.**

- მაგ მხრივ, პრობლემა მართლა არასდროს მქონია. უნივერსალიზმი ვახსენე წელან და, ალბათ, ესეც მეხმარებოდა: დაცვის მარცხენა ფლანგზე იქნებოდა თუ ნახევარდაცვაში, მუდამ ვცდილობდი, მწვრთნელის დავალებები შემესრულებინა. ფეხბურთელები კი ამ ხნის განმავლობაში მართლაც სოლიდური გვყავდა: ებე სანდი, კრისტიან პოულსენი, ფრანკ როსტი, ლინკოლნი...

**- „შალკე" და ჩემპიონთა ლიგა ახსენეთ. ჰოდა, რალა თქმა უნდა, 2005 წლის 23 ნოემბერი უნდა გაიხსენოთ: ამ პრესტიჟული ტურნირის ჯგუფური ეტაპის მატჩში ჰოლანდიურ პსვ-სთან „ჰეთ-ტრიკი" რომ შეასრულეთ.**

- როგორ შეიძლება, ადამიანს ასეთი მოვლენა დაავიწყდეს... არადა, ის დღე კურიოზით დაიწყო: დილა იყო, სახლში ვიყავი და ვისვენებდი (თამაშის წინა ღამეს ფეხბურთელებს შინ გვიშვებდნენ ხოლმე); მეუღლე ბავშვთან ერთად საქმეებზე წავიდა და რაღაც დროის მერე მირეკავს: მანქანაში საწვავი გამითავდა და შუა გზაში ვდგავართო; თამაშის დაწყებამდე ბევრი დრო არ რჩება, მაგრამ ცოლ-შვილს ასე ხომ ვერ დავტოვებდი. ჩავჯექი მეორე მანქანაში, მივედი უახლოეს ბენზინგასამართ სადგურთან, ჭურჭელში ბენზინს ვასხამ და ვგრძნობ, ყველა გაკვირვებული მომშტერებია; თან, უმრავლესობა მცნობს, იციან, რომ იმ დღეს ჩემპიონთა ლიგაზე თამაში მაქვს და ამ დროს მე ბენზინით სავსე ჭურჭლით დავრბივარ. შემდეგ, შუა გზაზე გაჩერებულ მეუღლის მანქანაში საწვავს რომ ვასხამდი, იქაც ვცდილობდი, გამვლელებისთვის როგორმე თვალი ამერიდებინა, მაგრამ...

**- ლევან, გვინდა თუ არა, ცოტა მტკივნეულ საკითხზეც უნდა გადავიდეთ; გულახდილად გვითხარით, თქვენსა და ფელიქს მაგათს შორის ისეთი რა მოხდა, „შალკეს" ბოლო მატჩებში საერთოდ რომ არ ჩნდებოდით?**

- ვიცი, რომ, შესაძლოა, ზოგიერთ ჟურნალისტს სკანდალის აგორება უყვარს, აქაოდა, მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის სერიოზული დაპირისპირებააო. არადა, მერწმუნეთ, მსგავსი არაფერი ყოფილა; უბრალოდ, მთავარი ის არის, რომ მე ნამდვილად ვიცი ჩემი უთამაშებლობის მიზეზი. თანაც, მინდა გითხრათ რომ ეს მიზეზი... არასაფეხბურთოა; ანუ, მწვრთნელი მაგათი ფეხბურთელ კობიაშვილს ფორმაში არყოფნის გამო არ ათამაშებდაო, საქმე მასე არ ყოფილა.

**- აბა, რა იყო მიზეზი?**

- სხვათა შორის, ჩემნაირ სიტუაციაში აღმოჩნდნენ ჯერალდ ასამოა და ჰალილ ალთინთოპიც, სწორედ ჩვენ სამნი (პლუს, ბრაზილიელი ბორდონი) ვითვლებოდით გუნდის ყველაზე სტაჟიან ფეხბურთელებად. მაგათის მოსვლის შემდეგ ყველა ამხანაგურ ტესტმატჩში ვითამაშე, პირველ ტურშიც ძირითადში დამაყენა, მერე ერთი გოლიც გავიტანე, მაგრამ აქ, კლუბში დიდი ცვლილებები დაიწყო. უფრო ზუსტად, კლუბის სტრატეგია იცვლება - მოგეხსენებათ, „შალკეს" სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს და ბიუჯეტის შემცირებაც უკვე იძულებითი ნაბიჯი იყო. პრეზიდენტი, მენეჯერი, ოფისის რიგითი თანამშრომლები - თითქმის ყველა შეიცვალა, ბევრი დაითხოვეს კიდეც და იმასაც შეგუებული ვიყავი, რომ კლუბში დაწყებული საკადრო ცვლილებები გუნდშიც გაგრძელდებოდა.

**- არადა, როგორც გაგვიგია, მწვრთნელ-მაგათზე, ყოველთვის საკმაოდ მაღალი აზრის იყავით.**

- ვიყავი და დღესაც ამ აზრზე ვრჩები - ჩემი კარიერის განმავლობაში ვისთანაც მიმუშავია, ალბათ, ყველაზე ძლიერი სპეციალისტია; ძალიან მიხარია, რომ ლევან ყენია ასეთ მწვრთნელთან იქნება - თვითონ ლევანისთვის იქნება ბევრად სასარგებლო. ისე, მაგათი რომ ორი ან სამი წლით ადრე მოეყვანათ გელზენკირხენში, უკვე რამდენჯერმე ვიქნებოდით გერმანიის ჩემპიონები - მართლაც მაღალი კლასის სპეციალისტია. და კიდევ ჩვენ შორის „დაპირისპირებაზე": „ბაიერნში" როგორც კი დანიშნეს, ჩემი შეძენა მოინდომა; მერე კიდევ გამოთქვა სურვილი, მაგრამ მე მაინც „შალკეში" დარჩენა ვამჯობინე.

**- „შალკეში" ყოფნის დროს მუდამ მაღალი მიზნებისთვის იბრძოდით - როგორც ქვეყნის ჩემპიონატში. ასევე - ევროტურნირებზე. თქვენ ახალ გუნდს კი ბევრად მოკრძალებული მიზანი აქვს - ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნება...**

- რა თქმა უნდა, „შალკეს" და „ჰერტას" შედარება, ამ მხრივ, ცოტა უხერხულიც არის; სამაგიეროდ, გარკვეული მოტივაციაც მაქვს: მინდა, რომ ჩემი გამოცდილებით „ჰერტას" დავეხმარო, თან, რამდენადაც ვიცი, ჩემ გარდა ორი-სამი ახალწვეულიც დაიმატეს.

**- ამჟამად „ჰერტას" მხოლოდ ექვსი (!) ქულა აქვს. როგორ ფიქრობთ, გადარჩენის შანსი არსებობს?**

- ცხრილში „ჰერტაზე" ზემოთ „ბოხუმი" და „ნიურნბერგი" არიან - აი, ამ ორ გუნდს „ჰერტა" ნამდვილად სჯობია, არ დაგავიწყდეთ - დედაქალაქის გუნდია, გულშემატკივრებიც მხარში დაგვიდგებიან და თუ ძალიან მოვინდომებთ - არარეალურს ვერაფერს ვხედავ.

**- თან, პირადად თქვენთვის, დამატებითი სტიმულიც უნდა იყოს - „ჰერტას" შემადგენლობაში ჩატარებული მეთერთმეტე მატჩი ხომ ბუნდესლიგაში... მესამასე იქნება!**

- იმედი მაქვს, რომ საიუბილეო მატჩს ამ სეზონში ჩავატარებ; ყოველთვის ვცდილობდი, ჩემს კარიერაში წინდაუხედავი ნაბიჯი არ გადამედგა - პირიქით, ვიდრე კარგად არ დავფიქრდებოდი, მანამდე არავის არაფერს შევპირდებოდი. ვინმეს, ალბათ, გაუკვირდება კიდეც: თავის დროზე ინგლისური გუნდებს და „ბაიერნს" უარი უთხრა და ახლა „ჰერტაში" მიდისო; კარგად გამიგეთ: ყოველთვის წმინდა პროფესიული თვალსაზრისით ვხელმძღვანელობდი და ფეხბურთის თამაშსაც მანამდე ვაპირებ, სანამდეც ამით სიამოვნებას მივიღებ...

**- გვჯერა, რომ თქვენი კარიერა კიდევ დიდხანს გაგრძელდება; ახლა კი ის გვითხარით, ბოლოს და ბოლოს, რომელი ამპლუაა ლევან კობიაშვილისთვის ყველაზე ოპტიმალური?**

- ყველაზე კომფორტულად თავს ნახევარდაცვაში ვგრძნობ: გნებავთ - ფლანგზე, გნებავთ - ცენტრში.

**- წელან ერთი თარიღი ვახსენეთ, ახლა მეორეც გავიხსენოთ; ისე როგორც 2005 წლის 23 ნოემბერი, 1996 წლის 1 სექტემბერიც თქვენთვის დაუვიწყარი უნდა იყოს - იმ დღეს ხომ საქართველოს ნაკრებში სადებიუტო შეხვედრა ჩაატარეთ...**

- ნორვეგიაში რომ წამიყვანეს, უკვე ის ფაქტი იყო ჩემთვის მოულოდნელი; მერე, უფრო დიდი მოულოდნელობა მელოდა - ალექსანდრე ჩივაძემ ძირითადში მანდო ადგილი! თამაშის მერე ყველამ მითხრა, რომ დებიუტის კვალობაზე კარგად მითამაშია; თუმცა, ისიც ხომ ფაქტია, რომ ერთადერთი გოლის გამო წავაგეთ, რომელიც ჩემი შეცდომის გამო დანიშნული პენალტიდან გაგვიტანეს მასპინძლებმა. კარგად მახსოვს - სოლსკიაერი და ფლო თამაშობდნენ მასპინძელთა გუნდში.

**- თამაშის შემდეგ თანაგუნდელებს ან მწვრთნელებს საყვედური არ უთქვამთ?**

- არც გასახდელში და არც სასტუმროში არავის უსაყვედურია; პირიქით - ყველანი გვერდში დამიდგნენ და გამამხნევეს. მერწმუნეთ, არ იყო პატარა ამბავი - კარგად გემახსოვრებათ, მაშინ რა ნაკრებიც გვყავდა. ამის შემდეგ უახლოესი მატჩი უკვე ოფიციალური გველოდა - სტუმრად, იტალიელთა წინააღმდეგ.

**- იქაც ძირითადში ითამაშეთ და საქართველოს ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა წევრმა მატჩის მეორე დღეს იტალიური სპორტული გაზეთებიდან ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შეფასებაც დაიმსახურეთ.**

- პერუჯაში რომ წამიყვანდნენ, გულის სიღრმეში ვგრძნობდი; თუმცა, ძირითადში თუ დამაყენებდნენ 19 წლის ბიჭს, ამას ვერ წარმოვიდგენდი. რომ გითხრათ, არ ვღელავდიო, დამიჯერებთ? ეგ კი არა, წესიერად ვერც „გავხურდი" - მონუსხულივით გავცქეროდი საპირისპირო მხარეს მოვარჯიშე მალდინის, ძოლას, კაზირაგის, რავანელის...

**- აი, 1996 წლის შემოდგომიდან მოყოლებული საქართველოს ნაკრებში თაობა თაობას ცვლიდა, მწვრთნელს - მწვრთნელი, შედეგი კი არსად ჩანდა...**

- მერე, მწვრთნელების ასეთმა გაუთავებელმა ცვლამაც არ მიგვიყვანა ასეთ შედეგამდე? როგორ ფიქრობთ, ჩვენ, ფეხბურთელებს არ გვწყდება გული, შედეგი რომ არ არის? მაგრამ, მოდი, გულახდილად ვთქვათ: ხანდახან მართლაც ზომაზე მეტს ხომ არ ვითხოვდით? გასაგებია, რომ ქართველი კაცი ბუნებით მაქსიმალისტია, მაგრამ რეალობის შეგრძნებაც ხომ არ უნდა დავკარგოთ?

**- რეალობის შეგრძნებაში რას გულისხმობთ?**

- აი, თუნდაც იმას, თებერვალში რომ 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრა ჩატარდება, არ უნდა ავტეხოთ ერთი ამბავი: გინდა თუ არა, ფინალურ ეტაპზე გავალთო! აბა, მითხარით: გვაქვს კი ამ ეტაპზე ამის წინაპირობა? კარგი, ვთქვათ, კალაძემ და კობიაშვილმა სანაკრებო კარიერა დაასრულეს, სამაგიეროდ, ლევან ყენიასა და ჯანო ანანიძის სახით პერსპექტიული ახალგაზრდები იზრდებიან, მაგრამ, მერწმუნეთ, 2-3 კაცით წარმატებას ვერ მივაღწევთ. კიდევ ვიმეორებ, დღეს თუ არა, ხვალ და ზეგ კვლავაც გამოჩნდებიან ნიჭიერი ბიჭები (აი, თუნდაც გიორგი ჭანტურია რომ არის „ბარსელონაში"), მაგრამ თანამედროვე ფეხბურთში ინდივიდები კი არა, გუნდური თამაში იმარჯვებს.

**- მერე, როდისღა უნდა ისწავლონ ჩვენმა ფეხბურთელებმა გუნდური თამაში? მაინცდამაინც, სანაკრებო მატჩების წინა შეკრებებზე? საკუთარი თვალით გვინახავს ექტორ კუპერი ნაკრებში გამოძახებულ ფეხბურთელს ელემენტარულ ილეთს რომ უხსნიდა...**

- აი, სწორედ მაგაშია ჩვენი უბედურება. კუპერი გიჟი კი არ იყო, „სამშაბათობეში" რომ დაიწყო: კაცმა კი დაინახა ნაკრებისათვის მეტ-ნაკლებად საჭირო ფეხბურთელი საქართველოს ჩემპიონატში, მაგრამ ის ვერ წარმოედგინა, როგორც თქვენ ბრძანეთ, ელემენტარულის ახსნა თუ დასჭირდებოდა. აბა შეიძლება, რომ სანაკრებო შეკრებაზე გამოძახებულ ფეხბურთელს ის ასწავლო, რომ „ერთი შეხებით" თამაშია აუცილებელი, რომ მეტოქეს თავისუფალი სივრცეები მაქსიმალურად უნდა შეუზღუდო და ასე შემდეგ?..

**- ამ ყველაფრის მიუხედავად, ჩვენთან ტალანტები მაინც იზრდებიან...**

- გეთანხმებით: ყენია, ანანიძე და ჭანტურია - აქ არ გაიზარდნენ? მაგრამ, წელანაც გითხარით, რომ მხოლოდ ორი-სამი მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალისტის იმედზე ყოფნა არ შეიძლება. ანუ, ისე არავინ უნდა იფიქროს, რომ რახან ყენია, ანანიძე და მჭედლიძე (ამ ბიჭს რა უბედურება სჭირს - ტრავმები არ სცილდება) გვყავს, ნაკრები წარმატებას მიაღწევსო. ვიდრე გუნდური პრინციპი არ ამოქმედდება, არაფერი გამოვა. ამას გარდა, ახალგაზრდა ფეხბურთელებს რჩევაც მინდა მივცე: მხოლოდ დღევანდელი დღით არ უნდა იცხოვრონ, ცოტა მომავალზეც უნდა იფიქრონ. თორემ, რა გამოდის - ხშირად, რაღაც ლოკალურ წარმატებას მიაღწევენ და ამით კმაყოფილდებიან. კარგი მანქანა, მეგობრები, დროს ტარება - ყველაფერი კარგია, მაგრამ თუ დიდ ფეხბურთზე ფიქრობ, „რაღაც-რაღაცები" დროებით უნდა დაივიწყო: მოკლედ, ყველაფერთან ერთად, ჩვენთან, პროფესიონალიზმის დეფიციტიც არის...

**- კიდევ ერთი კითხვა, ნაკრებს და უშუალოდ, თქვენ რომ გეხებათ. ქართველ გულშემატკივართა დიდი ნაწილი მიიჩნევს, ვერა და ვერ დადგა ის დრო, კობიაშვილი ნაკრების ლიდერობას რომ იტვირთებსო...**

- სიმართლე გითხრათ, ასეთი ხმები ჩემამდეც ხშირად მოსულა; არც ვიცი, ზუსტად როგორ გიპასუხოთ... ჯერ ერთი, ლიდერობა ყველას არ შეუძლია - ბუნებით უნდა იყო ასეთი; არის კიდევ ერთი ნიუანსი: შეიძლება გუნდში ყველაზე გამოცდილი იყო, მაგრამ ეს ლიდერობას არ ნიშნავს; ამას განსაკუთრებული ნიჭი სჭირდება. მე კიდევ, უკვე რამდენჯერმე გითხარით, რომ ასეთ კატეგორიას არ მივეკუთვნები. ჰო, მართლაც არაერთხელ მომისმენია: კობიაშვილმა თამაში რატომ ვერ მოიგოო, მერწმუნეთ: ვერც მე და ვერც კალაძე თამაშს მარტონი ვერ მოვიგებთ...

**- აბა, გუნდს ამ შემთხვევაში საქართველოს ნაკრებს, ლიდერი არ სჭირდება?**

- როგორ არ სჭირდება! ოღონდ მე, მაგალითად, მოედანს გარეთ, ან - გასახდელში შეიძლება ვიყო ლიდერი, უშუალოდ მოედანზე კი, ალბათ, სხვა ამპლუის ფეხბურთელს შეეფერება ეს სტატუსი.

**- კონკრეტულად?**

- მაგალითად, მალხაზ ასათიანს...

**- ლევან, ბულგარეთთან წაგებული მატჩის მერე საჯაროდ განაცხადეთ: არ გამოვრიცხავ, რომ ეს ჩემი ერთ-ერთი ბოლო სანაკრებო მატჩი იყოო...**

- გულახდილად გეტყვით: უფრო ადრე ვფიქრობდი სანაკრებო კარიერის დასრულებას - აი, მოლდოვასთან თბილისში ამხანაგურ მატჩში რომ დავმარცხდით. ვიფიქრე, პრესკონფერენციას მოვიწვევ და ყველაფერს ოფიციალურად გავაცხადებ-მეთქი; არ დაგიმალავთ, ძალიან გამიჭირდა ამ გადაწყვეტილების მიღება, მეგობრებსაც რჩევას ვეკითხებოდი; თუმცა, მეორე მხრივ, იმაზეც გული მწყდებოდა, ძალიან ცუდ დროს რომ მივდიოდი; როგორ ფიქრობთ, ნაკრების წარუმატებლობებში საკუთარ წილს ვერ ვგრძნობ?..

**- ანუ, ჩავთვალოთ, რომ ის განცხადება „ცხელ გულზე" ნათქვამს უფრო ჰგავდა?**

- ალბათ, უფრო მასეა; თან, სხვა ფაქტორმაც იმოქმედა - ჩვენს ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს, ვისთან ერთად წლების განმავლობაში მითამაშია კიდეც; თუმცა, თემურ ქეცბაიას სწორედ ნაკრების ვეტერანები უნდა დავუდგეთ მხარში - მეგობრობა ერთია, და საქმისადმი პროფესიული დამოკიდებულება - მეორე. სხვისი რა მოგახსენოთ და, ჩემი აზრით, დრომ გვიჩვენა, რომ ჩვენ ნაკრებს ქართველი მწვრთნელი უნდა ჰყოლოდა. თემურზე უკეთესი კანდიდატი კი სხვა ვინ უნდა ყოფილიყო - ამ კაცმა თავის ხანმოკლე სამწვრთნელო კარიერაში უკვე მოასწრო საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცება. ოღონდ, ახლა მთავარია, რომ არარეალური არაფერი მოვთხოვოთ და მუშაობაში ხელი არავინ შეუშალოს...

**გია ტუხაშვილი**






ეროვნული ბიბლიოთეკა

ანალიზი

# გოლეადორი მცველები

## გერმანიაში დაცვის ბურჯები ბომბარდირობენ

მცველის უპირველესი და უმთავრესი მოვალეობა საკუთარი გუნდის კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვაა, მაგრამ როდესაც უკანახაზელს შეტევაში სახიფათოდ ჩართვა და გოლის გატანა ეხერხება, ცხადია, ეს ყველას მოსწონს. აქ არ ვგულისხმობთ ფლანგის მცველებს, რადგან ბოლო წლებში ისეთი ტენდენცია წამოვიდა, რომ ფლანგის მცველებს შეტევაში ჩართვა და თავდამსხმელების პასებითა თუ ჩაწოდებებით მომარაგება ისედაც ევალებათ. თუ ფლანგის მცველი ამას ვერ ახერხებს, ის არავის მოსწონს და არავის სჭირდება. ლაპარაკია ცენტრალურ მცველებზე, რომლებიც უმეტესწილად საკუთარი საჯარიმოს მისადგომებთან დგანან და მეტოქის საჯარიმოში კუთხურების, ჯარიმების ან გამოუვალი მდგომარეობების დროს ჩადიან. იდეალურია შემთხვევა, როცა ცენტრალური მცველი თავის უშუალო მოვალეობას ძალიან კარგად ართმევს თავს და ამავდროულად, გოლების გატანაც შეუძლია.

გადავხედოთ ბუნდესლიგის ბომბარდირთა დავას: მოწინავე გოლეადორების ჩამონათვალში **როელ ბრაუერსი** (მიონხენგლადბახის „ბორუსია"), **მაიკ ფრანცი** (ფრანკფურტის „აინტრახტი") და **დანიელ ვან ბუიტენი** (მიუნხენის „ბაიერნი") არიან წარმოდგენილები. სამივე მათგანი ცენტრალური მცველია და მათ ისეთი ადგილები აქვთ დაკავებული, სადაც უმეტესად თავდამსხმელები და მაქსიმუმ ნახევარმცველები არიან ხოლმე.

ბრაუერსმა და ფრანცმა ბუნდესლიგის პირველ წრეში 5-5 გოლის გატანა შეძლეს, „ბაიერნის" ბელგიელმა მცველმა კი 4 გოლი გაიტანა, მაგრამ თუ გერმანიის თასზე და ჩემპიონთა ლიგაში გატანილ გოლებსაც მივამატებთ, დავინახავთ, რომ სეზონის პირველ ნახევარში ვან ბუიტენის ანგარიშზე 7 გოლია - ეს კი ისეთი შედეგია, რომელიც ნებისმიერ საშუალო დონის თავდამსხმელს შეშურდება.

წინა სეზონის დასრულების შემდეგ, ბუნდესლიგის ყველაზე სახიფათო მცველი **ნევენ სუბოტიჩი** (დორტმუნდის „ბორუსია") გახლდათ, რომელმაც მთელი სეზონის განმავლობაში 6 გოლის გატანა შეძლო. ახლა კი, ბრაუერსს და ფრანცს პირველი წრის შემდეგ აქვთ 5-5 გოლი. წინა სეზონში სუბოტიჩის შემდეგ ასევე დორტმუნდელი **ფელიპე სანტანა** და ბაიერნელი **მარტინ დემიკელისი** მოდიოდნენ 4-4 გოლით, ახლა კი 4 გოლი დანიელ ვან ბუიტენს პირველი წრის შემდეგ აქვს.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფრანცს ბომბარდირული ნიჭის გამოვლენაში პოზიციის შეცვლაც დაეხმარა: „აინტრახტში" ის მეტწილად მარჯვენა მცველის პოზიციაზე თამაშობს. თუმცა ხშირად ათამაშებენ ხოლმე დაცვის ცენტრშიც, საიდანაც 3 გოლი გაიტანა. მაიკ ფრანცს აქამდე სეზონში 2 გოლზე მეტი არასდროს გაუტანია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფრანცს მცველებიდან შანსების გამოყენების საუკეთესო მაჩვენებელი აქვს: 50 პროცენტი. და მისი დარტყმების 80 პროცენტი კარში მიდის. ამავდროულად, ფრანცი საუკეთესოა თავისი უშუალო მოვალეობის შესრულების დროსაც: მას ორთაბრძოლების 65 პროცენტი აქვს მოგებული და „აინტრახტში" ამ მხრივ ამაზე უკეთესი შედეგი არავის აქვს.

რაც შეეხება „გლადბახის" დაცვის ბურჯ როელ ბრაუერსს. ეს უკანასკნელი ყოველთვის სტანდარტული მდგომარეობების დროს ხეირობს. ბრაუერსმა ხუთივე გოლი კუთხურების დროს გაიტანა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: როელ ბრაუერსი პირველი წრის შემდეგ „გლადბახის" საუკეთესო ბომბარდირია. ეს იმ დროს, როცა გუნდში თამაშობენ **რაულ ბობადილია** (მასში 10 მილიონი გადაიხადეს და პირველ წრეში მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა), **რობ ფრენდი** და გამოცდილი **ოლივერ ნოივილი**. სხვათა შორის, დაცვის ცენტრში ბრაუერსის მეწყვილე **დანტემაც** შეძლო პირველ წრეში გოლების გატანა, მის ანგარიშზე 2 გოლია. დანტე და ბრაუერსი „გლადბახში" ყველაზე მეტ ორთაბრძოლას იგებენ.

ვან ბუიტენი კი აშკარად კარიერის საუკეთესო სეზონს ატარებს. ბელგიელზე მეტი გოლი „ბაიერნიდან" მხოლოდ 3 ფეხბურთელს აქვს გატანილი! ისე, ვან ბუიტენი ყოველთვის გამოირჩეოდა ბომბარდირული ნიჭით, რაშიც მას აშკარად ეხმარება ის, რომ ძალიან მაღალია. 2002/03 წლების სეზონში მან მარსელის „ოლიმპიკისთვის" 8 გოლის გატანა შეძლო, 2004/05 წლების სეზონში კი, „ჰამბურგის" მაისურით 5 გოლი გაიტანა. ამ ყველაფერთან ერთად, ბელგიელი დაცვაშიც ძალიან კარგად გამოიყურება: მას ორთაბრძოლების 68 პროცენტი მოგებული აქვს და ამ მხრივ საუკეთესო ბაიერნელია.

**გოტფრიდ ლენცი**




ბაიერნის დაცვის ბურჯი დანიელ ვან ბუიტენი მეტოქის საჯარიმოში ძალიან სახიფათოა

თანადგომა



სერ ალექს ფერგიუსონი და მარკ ჰიუზი

# სერ ალექსის სიამაყე

„მანჩესტერ სიტიდან" **მარკ ჰიუზის** გაგდების თემა გრძელდება. ამჯერად, მანჩესტერის მეორე (უფრო სწორად, პირველი) გუნდის, „იუნაიტედის" თავკაცის, ლეგენდარული სერ **ალექს ფერგიუსონის** რეაქცია გვინდა გაგაცნოთ. მოგეხსენებათ, ჰიუზი „იუნაიტედში" ფერგიუსონის ხელმძღვანელობით, წლობით თამაშობდა. სერ ალექსმა ბრძანა:

*„ასე მოქცევა არ შეიძლება. რა მნიშვნელობა აქვს, ოცი თამაში წააგე თუ ორი, ადამიანს ადამიანურად უნდა მოეპყრა. როგორც ჩანს, დირექტორები საშობაოდ ყველაზე ცუდი გადაწყვეტილების ხასიათზე დადგნენ. წინა შაბათს, დილიდან, საშინელი ჭორები დადიოდა და მარკი, ალბათ, ხვდებოდა, რომ იმ საღამოს ბოლოჯერ გაიყვანდა „სიტის" მოედანზე. წარმომიდგენია, რა საშინელ დღეში იყო".*

შეგახსენებთ, რომ იმ დღეს „მანჩესტერ სიტიმ" „სანდერლენდს" მოუგო 4:3, „სანდერლენდის" მწვრთნელი კი **სტივ ბრუსია**, „მანჩესტერ იუნაიტედის" კიდევ ერთი ყოფილი ფეხბურთელი. ბრუსმა ჰიუზი იმ საღამოს პრესკონფერენციაზევე დაიცვა.

ფერგიუსონი: *„ფეხბურთში მწვრთნელებს დროგამოშვებით ერთმანეთთან კამათი და დაპირისპირება უწევთ, მაგრამ სტივი დიდებულად მოიქცა, მან თავისი ყოფილი თანაგუნდელი დაიცვა. ისინი, ორივენი, 1994 წლის დიდებული „მანჩესტერ იუნაიტედის" მოთამაშეები იყვნენ და ერთმანეთის მხარში დგომა სისხლში აქვთ გამჯდარი. ამ ბიჭებმა საოცრად იცოდნენ ერთმანეთის გატანა, ერთად, თუ გინდა, ეშმაკს შეებრძოლებოდნენ. შაბათს პრესკონფერენციაზე, რაც სტივმა თქვა სინამდვილეში ეს იყო: ეს კაცი ჩემი თანაგუნდელია და გაფრთხილებთ, არავინ აწყენინოთ. ეს რომ მოვისმინე სიამაყის გრძნობამ შემიპყრო. ასე მარკს მხარში არც „სიტიდან" ამოდგომია ვინმე და არც მისი რომელიმე სხვა გუნდიდან".*

**ილია ბაბუნაშვილი**

დანაშაული და სასჯელი

# სად არის მეორე რობი?

„ტოტენჰემის" მწვრთნელმა **ჰარი რედნაპმა** განაცხადა, რომ **რობი კინის** გაყიდვის არანაირი სურვილი არ აქვს. რატომ უნდა გაეყიდა რედნაპს კინი? საიდან წამოვიდა ეს ჭორი? „ლელოს" მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ცოტა ხნის წინ ირლანდიელმა ფეხბურთელმა ლონდონელ თანაგუნდელებს თავის მშობლიურ დუბლინში საშობაო ლოთობა მოუწყო, რედნაპს კი ფეხბურთელების ღრეობები ძალიან არ უყვარს. ჰოდა, დაირხა კიდეც ჭორი, რომ მწვრთნელი კინს მისი პრინციპების აბუჩად აგდებას არ აპატიებდა, მაგრამ ჭორი ჭორადვე დარჩა.

*„რობის გაყიდვის არანაირი სურვილი არ მაქვს. მითხარით, განა დღევანდელ ფეხბურთში რობი კინის ბადალი ფეხბურთელი ბევრია? ის ენთუზიაზმით და იმავდროულად, ცოდნითა და გამოცდილებით სავსე ადამიანია. ის ნამდვილად არ არის მოთამაშე, რომელსაც გუნდი იოლად შეიძლება შეელიოს".*




რობი კინი

მას მერე, რაც გაირკვა, რომ რედნაპი კინის გუნდიდან გაგდებას არ აპირებს, მწვრთნელს ჰკითხეს, - ხომ არ დაუჯდება 29 წლის ფეხბურთელს დუბლინური ღრეობა „ტოტენჰემ ჰოთსპურის" კაპიტნის სამკლავურად. რედნაპმა მიუგო:

*„რობი ჩვენი გუნდის კაპიტანია და ეს არ შეიცვლება. გარწმუნებთ, ამის შანსი არ არსებობს და ასეთი რამ თავში აზრად ერთი წამითაც კი არ მომსვლია".*

შეგახსენებთ, რომ რობი კინი „სფურზში" წლეულს, 2009-ის დასაწყისში, დაბრუნდა. მანამდე, ის „უაით ჰარტ ლეინზე" 2002-08 წლებში გამოდიოდა, ასე რომ „სფურზში" იგი თავს შინ გრძნობს.

**ილია ბაბუნაშვილი**

ძიუდო

# შერიგების პიკნიკი და ნაყოფიერი შეკრება

**საქართველოს ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრები დღეს დაამთავრებს საბაზო შეკრებას ბაკურიანში და თბილისში დაბრუნდება.**

ადრეც ვწერდით, რომ ეს ფიზიკური მომზადებისთვის განკუთვნილი, ეგრეთ წოდებული, საბაზო შეკრება იყო, სადაც ყურადღებას სირბილზე, შტანგასა და სხვა სახის ძალისმიერ ვარჯიშებზე აკეთებდნენ, თუმცა ბოლომდე არც ტექნიკურ მხარეს ივიწყებდნენ და პარალელურად ლეიბზეც შედიოდნენ.

ნაკრების თავკაცი **ამირან ტოტიკაშვილი** კმაყოფილია ბაკურიანში გავლილი შეკრებით იმის მიუხედავად, რომ გრიპის ვირუსმა საწყის ეტაპზე რამდენიმე ფალავანს სრულყოფილად ვარჯიშის საშუალება არ მისცა. საბედნიეროდ, ყველაფერი შედარებით მალე მოგვარდა და სერიოზულად არავის უავადმყოფია. განგებამ სპორტსმენები ტრავმებისგანაც დაიფარა და არავინ დაშავებულა. პირიქით - პატარ-პატარა ტრავმები ვისაც აწუხებდა, იმათაც მოარჩინეს. ტოტიკაშვილის განკარგულებაში ქვეყნის ყველა წამყვანი ძიუდოისტი იყო და ძალიან კარგი, გუნდი სეზონისთვის მზადებას ნაყოფიერად თუ შეუდგა. რაც მთავარია, შეკრებაზე ძველი დაპირისპირების კვალიც არ ყოფილა და ყველაფერმა მშვიდად, მართლაც რომ მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა. იმდენად მშვიდად, თითქოს ადრე არაფერი მომხდარა. დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, მწვრთნელებმა მაინც გამონახეს თავისუფალი დრო და შეგირდები განტვირთვისთვის ბუნებაში პიკნიკზეც გაიყვანეს. არსებითად, ეს უფრო მეგობრული ატმოსფეროს ჩამოყალიბებას და ძველი წყენის დავიწყებას ემსახურებოდა, რამაც შედეგი გამოიღო. ძალიან კარგი - ამას მხოლოდ მივესალმებით, რადგან დაქსაქსული გუნდი ვერაფერს მიაღწევს.

ნაკრები საახალწლოდ მხოლოდ რამდენიმე დღე დაისვენებს და მერე დედაქალაქში გააგრძელებს მზადებას თბილისის მსოფლიოს თასისთვის - ჯერ ჩვეულებრივი ყოველდღიური გრაფიკით, 15 იანვრიდან კი შეკრებას დაიწყებს.

ცხადია, საგაისო სეზონის უმთავრესი სამიზნე 9-12 სექტემბერს ტოკიოში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატია, თუმცა მანამდე ევროპის პირველობაცაა და ჩვენებურთა პირველი სამიზნეც ეს შეჯიბრებაა. სწორედ ამ პირველობისთვის მზადებას და გუნდის შერჩევას ემსახურება ყველა ის ტურნირი, რომელშიც ჩვენები მომავალი სეზონის დასაწყისში იჭიდავებენ.

თბილისის ტურნირი 30-31 იანვარს სპორტის სასახლეში ჩატარდება, თუმცა მანამდე რამდენიმე ჩვენებური სამხრეთკორეულ სუვონში გამოვა „მასტერსის" სერიის ტურნირზე. იქ მხოლოდ მსოფლიო რეიტინგის 16 საუკეთესოს იწვევენ, ჩვენებურთაგან კი ეს უფლება **ამირან პაპინაშვილმა (60), ვალერი ლიპარტელიანმა** (90) და **ლომერ ჟორჟოლიანმა** (100) მოიპოვეს, ოღონდ ჟორჟოლიანი l ათადარიგოთა შორისაა. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ "მასტერსის" ტურნირი სეზონში მხოლოდ ერთი ტარდება და რეიტინგებშიც ყველაზე მეტ ქულას იძლევა ოლიმპიადისა და მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ.

მაგრამ "მასტერსის" ტურნირი მთელი ნაკრების სადარდელი არაა - გუნდისთვის უახლოესი სამიზნე მაინც თბილისის მსოფლიოს თასია. აქ ჩვენები წონაში ოთხ-ოთხი მონაწილით გამოვლენ და ის ბირთვი გაირკვევა, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად იბრძოლებს. ანუ შემადგენლობა გაიცხრილება, კიდევ უფრო შემჭიდროვდება, შემორჩენილებს კი ტოტიკაშვილი უახლოეს ტურნირებში გამოცდის. შინაურ შეჯიბრებას მოიმთავრებენ და მერე ნაკრები ერთთვიან ევროპულ ტურნეზე გაემგზავრება - 6-7 თებერვალს პარიზის „დიდი მუზარადია", 13-14 თებერვალს - ვენის მსოფლიოს თასი, 20-21 თებერვალს - დიუსელდორფის დიდი პრიზი, 27-28 თებერვალს კი პრაღის მსოფლიოს თასი. როგორც ვხედავთ, თებერვალი უაღრესად დატვირთულია შეჯიბრებებით და ჩვენები ყველა მათგანში გამოვლენ, თუმცა ისეც ნუ გავიგებთ, თითქოს ყველგან ერთი და იმავე შემადგენლობით გამოვალთ - ცხადია, მონაწილენი ყოველ ტურნირზე შეიცვლებიან იმის მიხედვით, ვის სჭირდება გამოცდა, შემოწმება, სატურნირო პრაქტიკის მიღება, დამატებითი დატვირთვა და ასე შემდეგ. ამ ტურნირებში გამოიკვეთება ის შემადგენლობა, რომელიც 22-25 აპრილს ვენაში ევროპის პირად-გუნდურ ჩემპიონატში იჭიდავებს, ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის მზადებას კი საშეკრებო ეტაპით გააგრძელებს და მარტი ძირითადად სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებს დაეთმობა. თუმცა ვენაში წასვლამდე ერთ ტურნირში მაინც გამოვლენ, მაგრამ ჯერ ბოლომდე არაა გარკვეული, რომელში. სავარაუდოდ, ეს 3-4 აპრილს ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში გასამართი ევროპის თასი (არ აგვერიოს მსოფლიოს თასში) იქნება. ოღონდ ამას ნამდვილად ვერ დავიჩემებთ, რადგან საბოლოო არჩევანი მაინც ტოტიკაშვილმა უნდა გააკეთოს. მას ვარშავაში სურდა წასვლა, მაგრამ იქ წლეულს ქალთა ტურნირი ტარდება და ეს ვარიანტი გამორიცხა, კალენდარში კი პრაღის მსოფლიოს თასიდან ევროპის პირველობამდე სარაევოს გარდა სხვა შეჯიბრება არაა ჩასმული. თუმცა ტოტიკაშვილმა ნაკრები იქნებ სხვა რომელიმე დაბალპრესტიჟულ ტურნირზე წაიყვანოს, რაც ნაკლებად სავარაუდოა. ეს ბოლო შეჯიბრება ევროპაზე წამსვლელი სპორტსმენებისთვის სასტარტო უნდა იყოს - იქ გაირკვევა, ვინ რამდენადაა მზად ვენაში საჭიდაოდ, ვის რაში სჭირდება მომატება და როგორი გრაფიკით უნდა მოემზადოს თითოეული სპორტსმენი, მთლიანად გუნდი. თუმცა არა არის გამორიცხული, ეს ტურნირი რომელიმე წონაში შესარჩევიც გამოდგეს.

ევროპის პირველობის შემდეგ ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის დაიწყებს მზადებას, მაგრამ ამაზე თავის დროზე ვილაპარაკოთ, მანამდე კი შეგახსენებთ, რომ გაისად ოლიმპიადის ლიცენზიების განაწილებაც იწყება.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# მაიას სკოლა მზად არის სამასპინძლოდ

გაისად 8 იანვრიდან ქუთაისში მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ჩემპიონატი გაიმართება. სხვადასხვა სინჯის მედლისთვის 12 მანდილოსანი წრიული სისტემით იასპარეზებს. შეჯიბრების მასპინძელთა შორის სახელდება ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონის **მაია ჩიბურდანიძის** სახელობის საჭადრაკო სკოლა, რომელსაც 7 წელიწადია, იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივანი **ალეკო არსენიძე** ხელმძღვანელობს. აქ წლების განმავლობაში წარმატებით ეწყობა მაია ჩიბურდანიძის თასის გათამაშება, საერთაშორისო ტურნირი „სავარდო და სამაისო", **დავით ჩირაძის** მემორიალი, სხვადასხვა ასაკში საქართველოს პირველობები, სხვა სახის შეჯიბრებები. ფაქტობრივად, იგი იმერეთის საჭადრაკო ცენტრს წარმოადგენს.



ალეკო არსენიძე თვალს ადევნებს მერი არაბიძისა და დავით ბენიძის შეხვედრას.

— ქუთაისის საკრებულოს და მერიის დახმარებით ჩვენი სკოლა წლეულს უფრო კეთილმოწყობილი გახდა, — გვითხრა ალეკო არსენიძემ. — შევიძინეთ 100 თანამედროვე ელექტრონული საათი, საშეჯიბროდ ამდენივე ჭადრაკის კომპლექტი, სადემონსტრაციო დაფები, მაგიდები და 100 სკამი, კომპიუტერები და საბეჭდი საშუალებანი. კეთილმოვაწყვეთ მაია ჩიბურდანიძის კუთხე-მუზეუმი. ორი საშეჯიბრო დარბაზიდან კომპიუტერების საშუალებით ფოიეში დამონტაჟებულ დიდ მონიტორზე შეგვიძლია ვაჩვენოთ პარტიების მსვლელობა. ასე რომ, მზად ვართ, უმაღლესი დონის ასპარეზობას ვუმასპინძლოთ...

აქვე შეგვიძლია დავძინოთ, რომ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ალეკო არსენიძე თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობას წარმატებით უთავსებს ერთმანეთს. მისი წიგნი „ჭადრაკი დამწყებთათვის" განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საჯარო სკოლებისთვის დამხმარე სახელმძღვანელოდ დაამტკიცა. საგულისხმოა ისიც, რომ არსენიძის შეგირდები წარმატებით გამოდიან სხვადასხვა შეჯიბრებაზე. **მერი არაბიძემ** წლეულს 16-წლიანთა მსოფლიოს და ევროპის პირველობებზე ვერცხლის მედლები დაიმსახურა, ხოლო საქართველოს მოჭადრაკეთა პირველი ლიგის შეჯიბრებაზე 5,5 ქულა მოაგროვა და ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის ერთ-ერთი კანდიდატია. **დავით ბენიძემ** იტალიაში 18-წლიანთა ევროპის პირველობაზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, ხოლო ვაჟთა პირველი ლიგა, შეიძლება ითქვას, ერთი ამოსუნთქვით მოიგო. იგი არსენიძის კიდევ ერთ შეგირდ, 16-წლამდელ ჭაბუკთა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსან **ზურაბ ჯავახაძესთან** ერთად 11 იანვრიდან თბილისში საქართველოს ვაჟთა ეროვნულ ჩემპიონატში მოსინჯავს ძალებს წრიული სისტემით 14 უძლიერეს მოჭადრაკეს შორის.

იმედია, მაია ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლის წარმომადგენლები ამ მნიშვნელოვან ტურნირებშიც ისახელებენ თავს.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

# ლიდერთა რაოდენობა განახევრდა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის თეიმურაზ ლომაიას მემორიალი, რომელშიც 8, 10, 12 და 16 წლის მოჭადრაკე გოგონები და ვაჟები მონაწილეობენ. გუშინ გაიმართა მეორე ტურის შეხვედრები, რომლებმაც დაწინაურებულთა რაოდენობა გაანახევრა. გაუწყებთ ასაკების მიხედვით ორ-ორქულიანთაგან მესამე ტურში დაპირისპირებულთა ვინაობას:

8-წლიანები. კესო მირიანაშვილი-კობა ბუკია, სალომე სანიკიძე-აჩიკო მეგრელიშვილი, გაგა გამეზარდაშვილი-ანტონ ნადირაძე, სანდრო ქაჩიბაია-სანდრო გორდაძე, ელშად სარიოღლი — დემეტრე ჯიბუტი, ლიზი კავილაძე-ანასტასია სიდამონიძე, გივი ლემონჯავა-მათე თოდაშვილი, ნოდარ ტატოშვილი-დათო ლობჟანიძე, ლაზარე ლომსაძე-სალომე წიგნაძე, გიორგი ვარაზაშვილი-ცოტნე მამულაიშვილი.

10-წლიანები. ლუკა ლიჩელი-საბა ამირიძე, მარი გოგიჩაიშვილი-ნატა ჯიბუტი, ვანო გამეზარდაშვილი-დათო ლობჟანიძე, თათია გოცირიძე-მიშიკო მუხიგული, ალექსანდრ მუტაფიანი-ვასილ გუდავაძე, ირაკლი ტულუში-კოკა ბუკია.

12-წლიანები. ქეთევან ხომერიკი-გიორგი ბოსიკაშვილი, ბესო ჯულელი-ნინო ხომერიკი, რატი ლაითაძე-ირაკლი კელაპტრიშვილი, გიორგი სიბაშვილი-გუგუნა ხიდეშელი, ლევან ხიზანიშვილი-ლევან ჯიბუტი, ალექსანდრე ბიბილაშვილი-მარი შუბითიძე.

16-წლიანები. დეა გოგიშვილი-ნიკა ვოლკოვი, თორნიკე გაბუნია-გიორგი ლომიძე, მარიამ სულამანიძე-ანა კუჭავა.

**ვაჟა დანელია**

# სანიკიძის დამატებითი მუხტი და სტიმული

**დიდოსტატი თორნიკე სანიკიძე 20 წლისაა. 12 წელიწადია, ჭადრაკს თამაშობს. თანატოლთა შორის ექვსჯერ საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა, 2003 წელს 14- წლიანებში ევროპის პირველობაზე ვერცხლის მედალი ხვდა. ახალგაზრდა მოჭადრაკეს სხვა შეჯიბრებებშიც არაერთხელ გამოუჩენია თავი, მაგრამ ყველაზე გამორჩეული მის სპორტულ ბიოგრაფიაში შარშანდელი სეზონი იყო — 19 წლის ჭაბუკი მოულოდნელად საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ოლიმპიური გუნდის მთავარ მწვრთნელად დანიშნეს, სწორედ იმ ნაკრებისა, რომელმაც დრეზდენში მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე პირველი ადგილი დაიკავა.**

— ყველაფერი იმით დაიწყო, რომ **სოფიო ხუხაშვილს** რამდენჯერმე დებიუტების დამუშავებაში დავეხმარე, — მითხრა **თორნიკე სანიკიძემ.** — მერე ჭადრაკის ფედერაციიდან მთხოვეს, ნანა ძაგნიძეს შევშველებოდი, რომელიც ჩინეთის საერთაშორისო ტურნირზე უნდა გამგზავრებულიყო. კვირაც არ გასულა და საქართველოს ქალთა გუნდის მწვრთნელობა შემომთავაზეს. მართალი გითხრათ, არ ვიცოდი, რა მეთქვა. გოგონების მხარდაჭერამ გამათამამა და ნაბიჯის გადადგმა გამაბედვინა. ბაკურიანში პირველი საწვრთნელი შეკრების შემდეგ პესიმისტური განწყობილება ყველას გაუქრა. ვიგრძენი, რომ ჩვენი დიდოსტატი ქალებისთვის სარგებლობის მოტანა შემეძლო. დრეზდენში ღამეები არ გვეძინა მე და ხვიჩა სუპატაშვილს, რომელიც ვაჟთა ნაკრებთან ერთად ქალბატონ მაია ჩიბურდანიძესაც ეხმარებოდა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, თორმეტწლიანი შესვენების შემდეგ ქართველმა ქალებმა ჩემპიონის ტიტული რომ დაიბრუნეს.

**- შენთვის წლევანდელი სეზონიც არ ყოფილა ურიგო...**

- გეთანხმებით. მიმდინარე წელი 2522 რეიტინგით დავიწყე, ახლა კი იგი 2615-ს აღემატება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ 2009 წლის ეროვნულ ჩემპიონატში 13 შესაძლებლიდან 8,5 ქულა მოვაგროვე და ოქროს მედალი დავიმსახურე. ხუთი წელიწადია, ამგვარ შეჯიბრებებში ვმონაწილეობ და ასეთ წარმატებას პირველად მივაღწიე, რამაც ეროვნული ნაკრებისკენ გამიკაფა გზა. გაზაფხულსა და ზაფხულში საპრიზო ადგილები დავიკავე რუმინეთის, იტალიისა და გერმანიის საერთაშორისო ტურნირებზე; თურქეთის ლიგის მეორე დაფაზე პირველ ადგილზე გავედი. შემოდგომით ბაქოს დიდ საერთაშორისო ტურნირში, სადაც უძლიერესი დიდოსტატები მონაწილეობდნენ, მეოთხე ვიყავი ბორის სავჩენკოს, გატა კამსკისა და ილია სმირინის შემდეგ. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ევროპის გუნდურ ჩემპიონატშიც ვიასპარეზე. მეოთხე დაფაზე 6 შესაძლებლიდან 3,5 ქულა მოვაგროვე. ვფიქრობ, დებიუტისთვის ურიგო შედეგი არ უნდა იყოს.

ახლა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატისთვის ვემზადები, რომელსაც 11 იანვრიდან თბილისის ჭადრაკის სასახლე უმასპინძლებს. ცხადია, ტიტულის შესანარჩუნებლად ვიბრძოლებ, თუმცა სამეულში მოხვედრაზეც არ ვიტყოდი უარს, რადგან ეს საქართველოს ნაკრებში ადგილის დასაბევებლად დამეხმარება.

**- ლუქსემბურგის ტურნირზე არაფერი გითქვამს.**

- შეჯიბრებაში 100-მდე მოჭადრაკე მონაწილეობდა. შედეგს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი, რადგან მას ჩემი საცოლე **მარია ბოიარდი** და მისი მშობლები ესწრებოდნენ... მარია შარშან თურქეთში ოცწლიანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიცანი. იმ დროიდან ხშირად ინტერნეტით ვეხმიანებოდით ერთმანეთს. იგი ლუქსემბურგის საუკეთესო



მოჭადრაკე ქალია. წლეულს ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა. 2006 წელს ტურინის საჭადრაკო ოლიმპიადაში მონაწილეობდა, გაისად ხანტი-მანსიისკში ითამაშებს...

ლუქსემბურგის ტურნირში 15-მდე დიდოსტატი ცდიდა ძალებს სწრაფ ჭადრაკში. თითოეული პარტიისთვის 20-20 წუთი გვეძლეოდა. 9 შესაძლებლიდან 8 ქულა მოვაგროვე და პირველი ადგილი დავიკავე. ამის შემდეგ მარიას მშობლები მენდნენ და ქალიშვილი საქართველოში გამომაყოლეს. სარძლო ჩემებმა გულთბილად მიიღეს. დაქორწინებას უახლოეს მომავალში ვაპირებთ, თუმცა როდის, ჯერ ვერ გეტყვით, რადგან ახლა მთელი ყურადღება ეროვნული ჩემპიონატისკენ მაქვს გადატანილი. მარიას მხარდაჭერა ამ შეჯიბრებაში ჩემთვის დამატებითი მუხტი და სტიმული იქნება.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

www.sport.gov.ge

კალათბურთი

ეროვნული ნაკრები 2003-2009

# BუნკერიდანAმომძვრალნი შეკრებიდან გაქცეულნი, ფინეთში ნაქცეულნი

ნაწილი მეოთხე, 2006 წელი

## ქვევრი

2004 წელს საქართველოს ნაკრებს **დრაჟენ ბრაიკოვიჩმა** გაწვრთნა, 2005 წელს - **გორდონ ჰერბერტმა**. თუ პირველი გაათავისუფლეს, მეორეს ერთწლიანი კონტრაქტი ჰქონდა და საქართველოდან ისე წავიდა, არ დაუბარებია, აპირებდა თუ არა ახალი ხელშეკრულების გაფორმებას.

ქვემოთ წაიკითხავთ, რომ საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ მესამე წელს მესამე მწვრთნელი დანიშნა. მის გვარს, ივლისს რომ მივადგებით, მაშინ გაიგებთ, მანამდე ფედერაციის პრეზიდენტ **ბესიკ ლიპარტელიანს** მოვუსმინოთ, რომელმაც 2006 წლის დადგომისთანავე აღნიშნა:

- გორდონ ჰერბერტთან მოლაპარაკებას ვაწარმოებთ. ჩვენთან თანამშრომლობით ისიცაა დაინტერესებული და ვიმედოვნებთ, რომ ამ საკითხს წერტილი მალე დაესმება.

...მაშ, ის ახალი ვინაა? - იკითხავთ. ხომ გითხარით, ივლისამდე მოვიცადოთ და ყველაფერს დაწვრილებით გეტყვით-მეთქი.

ვიდრე ამ სტატიის წერას შევუდგებოდი, ისტორიაში ვიქექებოდი, ამასობაში „პირველ არხზე" "ქვევრი" დაიწყო და ტელევიზორისკენ თვალი ხშირად მეპარებოდა. გამახსენდა, რომ 2005 წელს საახალწლოდ დაწერილ სტატიას „ქვევრი" დავარქვი და ასე დავასრულე: „გორდონ ჰერბერტი ნაკრების ხელახლა გაწვრთნაზე დათანხმდა. მან ოთხი ოფიციალური მატჩი უკვე ჩაატარა და ახლა უკვე იცის ჩვენი ქვევრის ზომა. მასზე და მის ნებოზე იქნება დამოკიდებული, გატეხილ ქვევრს როგორ აღადგენს..."

ჰერბერტს, ალბათ, ნანახი ჰქონდა ფილმი „ქვევრი" და ამიტომ ყველა ღონე იხმარა, რომ თავი როგორმე დაეღწია და შიგ არ გაჭედილიყო. ამ სიტყვების სიმართლეში ქვემოთ დარწმუნდებით.

## 2+2!

11 თებერვლის წილისყრამ მეტოქეებად ფინეთი, ავსტრია, ისლანდია და ლუქსემბურგი გვარგუნა. წინა შესარჩევში ფინეთზე მაღალი ადგილი დავიკავეთ და იმედი გაჩნდა...

თებერვალმა ისე გაიარა, რომ ნაკრების ახალ მწვრთნელთან კონტრაქტი არ გაფორმებულა. მარტის დასაწყისში ამოვისუნთქეთ: 4 მარტს ფედერაციიდან პარიზის „რასინგის" მწვრთნელ გორდონ ჰერბერტს ფაქსით ხელშეკრულება გაუგზავნეს, მეორე დღეს ხელმოწერილი დოკუმენტი თბილისში დაბრუნდა...

- გორდონთან 2+2 ტიპის კონტრაქტი გავაფორმეთ. გაგვიმართლა, რომ იგი შარშან ხელში ჩავიგდეთ. ევროკლასის მწვრთნელები რუსეთსა და სერბეთში სიამოვნებით მიდიან, საქართველოში ჩამოსვლისგან კი ბევრი თავს იკავებს, - აღნიშნა ბესიკ ლიპარტელიანმა.

- საქართველოს ნაკრებს სხვებთან შედარებით დიდი პლუსი აქვს და, შესაბამისად, პერსპექტივაც


გორდონ ჰერბერტი

დიდია, - გორდონ ჰერბერტმა პლუსში ვარსკვლავური შემადგენლობა იგულისხმა...

## ვიცე-პრეზიდენტობიდან დიჟონში

როგორც ყოველთვის, ახალი მწვრთნელის დანიშვნასთან დაკავშირებით საინტერესო კომენტარი გააკეთა **ვატო ნაცვლიშვილმა**, რომელიც მწვრთნელს „რასინგი"-"დიჟონის" მატჩის შემდეგ ელაპარაკა:

**- რა თქვა, ნაკრებში ბევრი სამუშაო მაქვსო?**

- ბევრი? საქართველოში ორი თვე უნდა იყოს, თანაც „რასინგზე" კარგი შემადგენლობაა, მეტოქეები სუსტი ჰყავს და ჩვენს ნაკრებთან მუშაობა ძნელი კი არა, სახალისო უნდა აქოს.

სხვათა შორის, ვატო 2005 წელს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა, თუმცა მოულოდნელად ფრანგულმა წყაროებმა ინფორმაცია გაავრცელეს - ნაცვლიშვილმა ტრავმა მოიშუშა და ორწლიანი შესვენების შემდეგ „დიჟონს" უბრუნდებაო. ფრანგები მართლები აღმოჩნდნენ, ვატომ ვიცე-პრეზიდენტობა „დიჟონის" მაისურაში გაცვალა.

12 მაისს გავიგეთ, რომ **კენ შილდსი** ჰერბერტის ნაცვლად იაპონიის ნაკრებს უნდა დახმარებოდა. მისი ადგილი (ასისტენტისა) ნაკრებში **კენ ატკინსონმა** დაიკავა. სხვათა შორის, ერთმა კალათბურთელმა მითხრა, ატკინსონს ისეთი ხედვა და საქმისადმი მიდგომა ჰქონდა, ნაკრების მთავარ მწვრთნელად რომ დაენიშნათ, შეიძლება, სხვებზე უკეთესი შედეგი ეჩვენებინაო.

## ივლისიც მოვიდა და ჯეიც

დაპირება არ დამვიწყებია: ივლისს მივადექით და ახალ მწვრთნელზე ვთქვათ. გგონიათ, ჰერბერტზე ვაპირებ წერას? ...არც ატკინსონზე. ...უფრო ძლიერ სპეციალისტზე, რომელიც ამჟამად „ტორონტო რეპტორსს" წვრთნის. მისი გვარი 11 ივლისს ინტერნეტსაიტებიდან გავიგე: ლეგიონერებზე ინფორმაციებს ვეძებდი. შემთხვევით „ტორონტო სტარში" ქართული გვარები აღმოვაჩინე: „კანადელი სპეციალისტი ჯეი ტრაიანო საქართველოს ნაკრების გასაწვრთნელად მზადაა. იგი ეცდება ფაჩულიათი და ცქიტიშვილით გაძლიერებული გუნდი A დივიზიონში გადაიყვანოს."

...აბა, ჰერბერტთან 2+2 კონტრაქტიო? სიტუაციაში გასარკვევად მაშინვე ფედერაციაში დავრეკე, მაგრამ მთხოვეს, ხვალ ვრცლად ვისაუბროთ და ყველაფერში გაგარკვევთო. ცხადია, ასეთი სერიოზული მასალის ერთი დღით გადადება წარმოუდგენელი იყო და ტრაიანოს ამბავი კომენტარის გარეშე გამოვაქვეყნეთ.

ორიოდე დღეში უფრო კონკრეტული სტატია ვიხილეთ. „კანადიან პრესმა" დაწერა: „ჯეი ტრაიანო საქართველოს ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა.

- თავიდან დარწმუნებული არ ვიყავი, რომ „ტორონტოს" ხელმძღვანელობა ჩემს გადაწყვეტილებას დადებითად შეხვდებოდა, მაგრამ პირიქით, ხელშეწყობას დამპირდა. ვეცდები, ქართველებთან ერთად დიდ მიზნებს მივაღწიო."

ბატონი ჯეი ნიკა ცქიტიშვილს ლას-ვეგასის საზაფხულო კემპზე შეხვდა...

- ნაკრების მწვრთნელად გამეცნო. სერიოზული მიზნები გვაქვს და შეკრებისთვის მზად იყავიო, მითხრა ჯეი ტრაიანომ, - იხსენებს ნიკა.

## სად გაქრა ტრაიანო?

...დადგა ნანატრი 6 აგვისტო. ამ დღეს უნდა გაგვეცნო ეროვნული გუნდის მესამე მწვრთნელი ბოლო სამი წლის განმავლობაში. ფოტოებზე ტრაიანო სათვალით იყო, 6 აგვისტოს შეკრებაზე კი სათვალიანი არავინ გვინახავს. საპრესკონფერენციო მაგიდასთან სიურპრიზი გველოდა: გორდონ ჰერბერტი და ამერიკელი, რომელსაც ხელზე სვირინგად კალათბურთის ცეცხლოვანი ბურთი ჰქონდა.

სიტუაციაში ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ლაშა ძიძავამ** გაგვარკვია:

- ჯეი ტრაიანოსთან შეთანხმება მართლაც მიღწეული გვქონდა. თუმცა ბოლო მომენტში მასზე უარი ვთქვით.

უარის მიზეზი მოგვიანებით გავიგეთ. ფედერაცია თურმე ტრაიანოს უმოქმედობას შეუშფოთებია. ნაკრების ამბებით ახლა რომ არ ინტერესდება, მისგან რა შედეგს უნდა ველოდეთო...

გაირკვა ისიც, რომ გორდონ ჰერბერტს „პორტეზში" დანიშვნის შემდეგ საქართველოში მუშაობის შეწყვეტა განეზრახა და მასვე შეუთავაზებია ტრაიანოს კანდიდატურა.

საბოლოოდ, ჯეი ისევ გორდონმა რომ ჩაანაცვლა, უკვე გითხარით. ჰერბერტმა 6 აგვისტოს პრესკონფერენციაზე დაკისრებულ პასუხისმგებლობაზეც ილაპარაკა და სვირინგიანი ახალგაზრდაც გაგვაცნო:

- ტაირონ ელისთან გერმანულ „სკაილაინერსში" ვმუშაობდი. იგი ძლიერი კალათბურთელი და კარგი პიროვნებაა. გაგვიმართლა, რომ ასეთი მოთამაშე ჩამოვიყვანეთ.

„წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო"... მას შემდეგ ეროვნულიდან არაერთი მწვრთნელი წავიდა, ტაირონ ელისი კი მართლაც საქართველოს ნაკრების ღირსი აღმოჩნდა და დღეს ისიც ისევე უყვარს გულშემატკივარს, როგორც ნაღდი ქართველები.

- ჰერბერტმა იმიტომ ჩამომიყვანა, რომ გუნდის ინტერესებს მუდამ პირადულზე წინ ვაყენებ, - ამით დაიწყო ელისმა და სამქულიანებით განაგრძო.

## სომბათჰეი

თბილისში შეკრების შემდეგ გორდონ ჰერბერტის გაწვრთნილი ნაკრები უნგრეთის ქალაქ სომბათჰეიში გაფრინდა, სადაც ოთხგუნდიანი ტურნირი ითამაშა. სამივე შეხვედრის სტატისტიკას შემოგთავაზებთ და დასკვნები თავად გამოიტანეთ.

**18 აგვისტო**

**საქართველო-ესტონეთი 74:78**

17:19, 18:25, 16:20, 16:21

საქართველო: ელისი (7ქ), ა. ბოისა (2ქ), ცინცაძე (8ქ), სანიკიძე (11ქ), ფაჩულია (24ქ), ვ. ბოისა (9ქ), გამყრელიძე, მ. მარკოიშვილი (11ქ), ნაცვლიშვილი (2ქ), უგრეხელიძე

**19 აგვისტო**

**საქართველო-მაკედონია 74:57**

15:19, 15:15, 23:9, 21:14

საქართველო: ელისი (30 წთ, 19ქ, 3მ, 3პ, 2ჩ), ა. ბოისა (7 წთ), მ. მარკოიშვილი (28წთ, 3ქ, 5მ, 3ჩ, 3პ, 1დ), ვ. ბოისა (27წთ, 10ქ, 3მ, 2პ, 2ჩ), ფაჩულია (25წთ, 15ქ, 9მ, 3პ, 2ჩ, 3დ), ცინცაძე (19წთ, 8ქ, 1მ, 1პ, 1ჩ), სანიკიძე (22წთ, 5ქ, 7მ, 1ჩ), გამყრელიძე (18წთ, 1ქ, 3მ, 2პ), ნაცვლიშვილი (17წთ, 13ქ, 7მ, 1ჩ), ტულუში (3წთ), უგრეხელიძე (3წთ)

**20 აგვისტო**

**უნგრეთი-საქართველო 79:73**

24:10, 21:16, 10:27, 24:20

საქართველო: ელისი (30 წთ, 17ქ, 3მ, 2პ, 2ჩ), ა. ბოისა (10 წთ, 1მ), ცინცაძე (17წთ, 3მ, 1პ), სანიკიძე (18წთ, 4ქ, 3მ, 1ჩ), ფაჩულია (35წთ, 32ქ, 3მ), ვ. ბოისა (34წთ, 13ქ, 7მ, 1პ), გამყრელიძე (12წთ, 2მ, 1პ, 1ჩ), მ. მარკოიშვილი (24წთ, 7ქ, 3მ, 2ჩ, 2პ), ნაცვლიშვილი (4წთ, 2მ), ტულუში (10წთ, 2მ), უგრეხელიძე (5წთ, 1მ, 1ჩ)

## წავიდნენ

23 აგვისტოს ქართველები რუმინეთში გადაფრინდნენ და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ყველაზე უფერული გასვლითი ტურნე ნაკრების უახლეს ისტორიაში.

**24 აგვისტო**

**რუმინეთი-საქართველო 65:75**

15:17, 16:16, 13:18, 21:24

საქართველო: ელისი (30 წთ, 17ქ, 3მ, 2პ, 2ჩ), ა. ბოისა (20 წთ, 8ქ, 6მ, 2ჩ), ცინცაძე (15წთ, 2ქ, 1მ, 1პ), სანიკიძე (26წთ, 4ქ, 4მ, 1პ, 1ჩ), ფაჩულია (33წთ, 21ქ, 12მ, 6პ, 1ჩ, 3დ), ვ. ბოისა (33წთ, 15ქ, 7მ, 1პ), გამყრელიძე (9წთ, 1პ), მ. მარკოიშვილი (33წთ, 17ქ, 5მ, 2ჩ, 2პ), ნაცვლიშვილი (4წთ, 2მ), ტულუში (24წთ, 6ქ, 1მ, 1პ), უგრეხელიძე (7წთ, 2ქ, 4მ)

**25 აგვისტო**

**საქართ.-ერგონომი (სერ. II ლიგა) 64:68**

(ოქმი ვერ მოვიპოვეთ).

რუმინეთთან მატჩის განაცხადში მთავარი მწვრთნელის გრაფაში კენ ატკინსონი ეწერა.

რუმინეთში ვატო ნაცვლიშვილს დავურეკე. მან მითხრა:

>> მე-15 გვერდზე


ტაირონ ელისი



ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი — ნაკრები 2003-2009

# შეკრებიდან გაქცეულნი, ფინეთში ნაქცეულნი



« მე-14 გვერდიდან

- გორდონ ჰერბერტი შეკრებიდან „პოორტეზში“ წავიდა. იგი ნაკრებს საქართველოში შემოუერთდება.

შეკრებიდან მთავარი მწვრთნელის წასვლა მაშინ პირველად გავიგეთ... თუმცა ყველაფერი ამით არ დამთავრებულა: რუმინეთში გუნდი ზაზა ფაჩულიამაც დატოვა და გერმნიაში, „ადიდასის“ კემპში მიიღო მონაწილეობა.

## მუშტი-კრივი

უნგრეთში გამგზავრებამდე ორიოდე დღით ადრე, „დინამოს“ ბაზაზე სიცხისგან დახუთულმა **ზაზა ფაჩულიამ** მითხრა: სექტემბრიდან ყველა მატჩი ფინალიაო.

არც სექტემბრის დასაწყისმა მოგვცა დამშვიდების საშუალება:

| 3 სექტემბერი | |
|---|---|
| საქართველო-ლუქსემბ. | 86:44 |

25:15, 27:11, 17:13, 22:5

საქართველო: **ელისი (27ნთ. 12ქ. 4მ. 5პ. 1ჩ), მ. მარკოიშვილი (25ნთ. 11ქ. 4მ. 1პ. 2ჩ. 1დ), ა. ბოისა (15ნთ. 2ქ. 3მ. 2პ), ვ. ბოისა (17ნთ. 11ქ. 3მ. 2პ. 1ჩ), ფაჩულია (26ნთ. 7ქ. 5მ. 1პ. 3ჩ), გამყრელიძე (13ნთ. 2ქ. 6პ. 4ჩ. 1დ), ცინცაძე (22ნთ. 15ქ. 4მ. 3პ. 1ჩ.), ცქიტიშვილი (13ნთ. 7ქ. 4მ.), შერმადინი (4ნთ. 2ქ. 3მ), სანიკიძე (21ნთ. 6ქ. 5მ. 1პ. 3ჩ.), ნაცვლიშვილი (11ნთ. 7ქ. 5მ. 1პ), უგრეხელიძე (6ნთ. 4ქ)**

ლუქსემბურგს 86:44 მოვუგეთ, რას ნიშნავს ფრაზა „დამშვიდების საშუალება არ მოგვცა“? - იკითხავთ. საქმე ისაა, რომ საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე ზაზა ფაჩულიამ მოედნიდან გასვლისას მეტოქე **ელვინ ჯონსს** თავზე ხელი მოუთათუნა. ნატურალიზებულმა ლუქსემბურგელმა ზაზას იდაყვი უთავაზა, ჩხუბში მთელი საქართველოს ნაკრები ჩაერთო...

მეორე დღეს გორდონ ჰერბერტმა თქვა:

- ავსტრიასთან მატჩის წინ ფაჩულია დიდი ძალაა, მაგრამ მისი შემცვლელებიც გვყავს.

როგორც წესი, მოჩხუბრებს მომდევნო მატჩებს ატოვებინებენ, თუმცა მატჩის კომისარმა დაგვინდო და 5 სექტემბერს ფიბა-დან სასიხარულო ამბავი მივიღეთ: ფაჩულია ითამაშებსო.

ვიდრე ავსტრიაში გავფრინდებოდეთ, გეტყვით, რომ ლუქსემბურგთან მატჩი **ვიქტორ სანიკიძისა და გიორგი შერმადინისთვის** სადებიუტო იყო.

## კინაღამ ავსტრიალდით

ავსტრიაში მე-17 წუთისთვის 36:19 ჩამოვრჩით... გამოჩნდა, რომ ჰერბერტი ვერც სანიკიძეს ენდობოდა, ვერც **ცინცაძეს**, ნაკრები კი გუნდურ თამაშს ვერ უჩვენებდა. რადგან ხმებში ვერ იმღერეს, ზაზა ფაჩულია გაბრაზდა და სოლოს შესრულებას შეუდგა. მას სამქულიანებით ელისიც შეეშველა და ავსტრიაში 19-ქულიანი ჩამორჩენა 5-ქულიან უპირატესობად ვაქციეთ - 68:63.

ავსტრიიდან დაბრუნებულმა ფაჩულიამ სასტუმრო „სიმპათიაში“ პრესკონფერენციაზე თქვა:

- გუნდში სწორედ იმიტომაა საჭირო ლიდერი, რომ კრიტიკულ მომენტში სიტუაცია შეცვალოს. გუშინ თამაში რომ არ წამსვლოდა, ლიდერობა სხვას უნდა ეკისრა. ჩვენს ნაკრებში ხომ არაერთი კალათბურთელია, ეს რომ შეუძლია.

| 6 სექტემბერი | |
|---|---|
| ავსტრია-საქართველო | 63:68 |

19:13, 22:13, 15:24, 7:18

საქართველო: **ელისი (37ნთ. 20ქ. 5მ. 5პ. 1ჩ. 1დ), მ. მარკოიშვილი (27ნთ. 9ქ. 2მ. 1ჩ), ა. ბოისა (10ნთ. 3მ), ვ. ბოისა (33ნთ. 5ქ. 2მ), ფაჩულია (35ნთ. 24ქ. 7მ. 2ჩ. 2დ), გამყრელიძე (19ნთ. 2ქ. 4პ. 1მ.), ცინცაძე (7ნთ), ცქიტიშვილი (11ნთ. 3ქ. 2მ. 1ჩ), სანიკიძე (21ნთ. 5ქ. 6მ), ნაცვლიშვილი (1ნთ)**

## ცხვარი ისლანდია

ფინეთთან მატჩის წინ ისლანდიასთან თბილისში წავივარჯიშეთ:

| 9 სექტემბერი | |
|---|---|
| საქართველო-ისლანდია | 80:65 |

19:13, 19:14, 20:19, 22:19

საქართველო: **ელისი (26ნთ. 3ქ. 5მ. 2პ. 2ჩ. 1დ), მ. მარკოიშვილი (10ნთ. 3ქ. 2მ. 1პ.), ა. ბოისა (12ნთ. 2ქ. 3ჩ), ვ. ბოისა (26ნთ. 16ქ. 7მ. 1პ. 1ჩ.), ფაჩულია (27ნთ. 21ქ. 12მ. 2პ. 1დ.), გამყრელიძე (24ნთ. 3ქ. 3პ. 3მ. 1ჩ.), ცინცაძე (18ნთ. 2ქ. 2მ. 2პ. 1ჩ), ცქიტიშვილი (22ნთ. 15ქ. 9მ. 1პ. 1ჩ. 1დ), სანიკიძე (25ნთ. 6ქ. 7მ. 2პ. 1ჩ), ნაცვლიშვილი (6ნთ. 4ქ. 1მ. 1პ), უგრეხელიძე (2ნთ. 2ქ. 1მ), შერმადინი (2ნთ. 3ქ. 1მ)**

## ვირტანენის წიხლი

„როცა ვირტანენის წიხლიც საწყენია“ - ასე დავარქვი ფინეთში 81:91 წაგებულ მატჩს.

**პეტრი ვირტანენმა** 8-დან 7 სამქულიანი ჩაგვიგდო...

ეჰ, ამ მატჩში კიდევ ერთხელ გაშიშვლდა გუნდური თამაშის იდეა. ისევ ზაზა ფაჩულიამ იყოჩაღა და საქართველოს ნაკრების ისტორიული რეკორდი დააფიქსირა - 36 ქულა ჩააგდო.

სანიკიძეს და ცინცაძეს თითქმის არც უთამაშიათ... არადა, ვერც იმას ვიტყვით, რომ პატარები იყვნენ. ცინცაძემ ორი წლის წინათ, 2004 წელს რუსეთთან 25 ქულა ჩააგდო, ხოლო სანიკიძემ იტალიასთან ორმაგი დუბლი შეასრულა.

წავაგებდით, აბა, რა იქნებოდა, **ჰენრიკ დეტმანმა** ვირტანენი ბოლომდე გამოიყენა, ხოლო ჰერბერტმა სანიკიძე-ცინცაძე - ვერა. ვატო ნაცვლიშვილზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

| 13 სექტემბერი | |
|---|---|
| ფინეთი-საქართველო | 91:81 |

29:15, 25:21, 14:18, 23:27

საქართველო: ელისი (32ნთ, 13ქ, 2მ), მ. მარკოიშვილი (34ნთ. 16ქ. 6მ. 1პ), ა. ბოისა (9ნთ), ვ. ბოისა (33ნთ. 12ქ. 7მ. 1პ), ფაჩულია (32ნთ. 36ქ. 13მ. 1ჩ.), გამყრელიძე (27ნთ. 3პ. 2მ), ცინცაძე (4ნთ.), ცქიტიშვილი (20ნთ. 4ქ. 6მ. 1პ.), სანიკიძე (9ნთ. 1მ.), ნაცვლიშვილი (1ნთ)

- ცინცაძე და ნაცვლიშვილი მეტ სათამაშო დროს იმსახურებდნენ. მთლიანობაში გუნდის თავკაცობამ გამარჯვებისთვის საჭირო სტრატეგია ვერ შეიმუშავა. გულდაწყვეტილი ვარ, - თქვა ვიქტორ სანიკიძემ ფინური ფიასკოს შემდეგ.

„ჰერბერტ, ჩვენ ველურები არ ვართ!“ - ასეთი სათაურით გამოქვეყნდა სტატია გაზეთ „სპორტში“ 2006 წლის 16 სექტემბერს. მასში ქართველი მწვრთნელების მოსაზრებანი დავაფიქსირეთ.

თუმცა ყველაფერი გორდონ ჰერბერტის ბრალი ნამდვილად არ ყოფილა. მას 2+2 სისტემის კონტრაქტი ჰქონდა და კალათბურთის ფედერაცია 2007 წელს მშვიდად შეხვდა - ახალი მწვრთნელი საძიებელი არ ჰყავდა. თუმცა...

**ვაჟა სიმონიშვილი**

რაგბი — ლეგიონერები

# ვილკინსონის, მინონისა და ემანუელის დარად

ქართული რაგბის, უფრო ზუსტად, საქართველოს ეროვნული ნაკრების წარმატებულ ასპარეზობას მნიშვნელოვნად განაპირობებენ საფრანგეთში მოთამაშე ქართველი ლეგიონერები. იქაურ კლუბებში ოვალური ბურთით თამაშის ჩვენებური ოსტატები საკმაოდ უხვად არიან. ყველაზე მაღალი რანგის, ელიტური პირველი დივიზიონის ექვს გუნდში რვა ქართველი თამაშობს.

ორი „ქართული გუნდის“, **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრისა“ და **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონის შესახებ უკვე გიამბეთ. რაგბის ქომაგისთვის, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება დანარჩენი კლუბების ავან-ჩავანიც.

**დავით ქუბრიაშვილის** „ტულონით“ დავიწყოთ, რადგან „ფელიქს მაიოს“ (ამ კაცის სახელს ატარებს ტულონელთა სასპარეზო არენა) ბინადარს ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან „კასტრისა“ და „კლერმონის“ შემდეგ საუკეთესო შედეგი აქვს.

რაგბის კლუბი ტულონში 1908 წელს დაარსდა. თავისი ასწლიანი ისტორიის განმავლობაში „ტულონი“ ქვეყნის ჩემპიონი სამჯერ გახდა -1931, 1987 და 991 წლებში, ხუთჯერ კი ფინალში დამარცხდა. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში „ტულონს“ კრიზისი დაეწყო და გუნდი მეორე დივიზიონში დაქვეითდა. სწორედ იმხანად კლუბის შემადგენლობაში ოთხი ქართველი ირიცხებოდა: **გია ლაბაძე, აქვსენტი გიორგაძე, ილია ზედგინიძე და ბესიკ ხამაშურიძე.** სამმა მათგანმა გუნდი მალევე დატოვა. გია ლაბაძემ კი ამ კლუბში 10 წელი გაატარა.

„ტულონის“ ამჟამინდელი აღმასვლა მთლიანად გუნდის პრეზიდენტის, საგამომცემლო სფეროში მოღვაწე მილიარდერის **მურად ბურჯელალის** დამსახურებაა. მან კლუბში უზარმაზარი ინვესტიცია განახორციელა, ტულონელები ჯერ ელიტას დაუბრუნა, იქ ფეხი მყარად მოაკიდებინა და ახლა მედლებზე აცხადებს სერიოზულ პრეტენზიას.

ბურჯელალის მოსვლის შემდეგ „ტულონი“ მსოფლიო ვარსკვლავთა თავშეყრის ადგილად გადაიქცა. ამ გუნდში თამაშობდნენ **ჯორჯ გრეგანი, ენდრიუ მერთენსი, ვიქტორ მეთფილდი, კრის როსუ, მარტინ იაგრი, ტანა უმაგა, ფილიპე კონტეპომი** და სხვები. დღესდღეობით „ტულონის“ ღირსებას იცავენ **ჯონი ვილკინსონი, ჯო ფანიკერკი, ლორან ემანუელი, პიერ მინონი, ესტებან ლოსადა და ფილ ფიცჯერალდი.**

„ტულონი“ ამჟამად 15 ტურის შემდეგ 38 ქულით სატურნირო ცხრილში მე-6 ადგილზეა. ლიდერი, „კასტრი“ ქუბრიაშვილსა და კომპანიას 9 ქულით უსწრებს. რეგულარული გათამაშების დასრულებამდე წინ კიდევ 11 ტურია და ჩვენებურის გუნდს კარგი შანსი აქვს, პლეი ოფში ითამაშოს.

„დუდუ“ ყოველივე ამაში მთავარი როლის შემსრულებელია. მეორე სეზონია „ტულონში“ თამაშობს და შერკინების ძირითად ბურჯად წლევანდელ სეზონში იქცა. მეტიც, ახლახან კლუბმა მას ახალი, ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზა და გაუმჯობესებულ პირობებს ჩვენებური უყოყმანოდ დათანხმდა.

დავით ქუბრიაშვილი გუნდისთვის რამდენად მნიშვნელოვანი ფიგურაა, ამაზე სარაგბო გაზეთ „მიდი ოლიმპიკში“ მურად ბურჯელალის მიერ ერთ-ერთ ინტერვიუში ნათქვამიც ცხადყოფს.

*„მოკლე დროში - ამბობს ბურჯელალი - საკმაოდ კარგი, ძლიერი გუნდის შექმნა შევძელით, მაგრამ ბოლომდე კმაყოფილი მაინც არ ვარ. რაღაც გვაკლია. როცა შემადგენლობაში ვილკინსონი, მინონი, ემანუელი და ქუბრიაშვილი არ არიან, გუნდის თამაშს მარილი აკლია, ყველაფერი რიგზე ვერაა.“*

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია.

**მამუკა გორგოძის** გარეშე „მონპელიეს“ წარმოდგენა შეუძლებელია. ასე მხოლოდ გუნდის ქომაგები როდი ფიქრობენ. არადა, წლევანდელი სეზონის წინ „მონპელიემ“ გორგოძე კინაღამ დაკარგა. „გულივერას“ გუნდის დატოვება გადაწყვეტილი ჰქონდა. წინასწარი შეთანხმება კონტრაქტის გაფორმების განზრახულობის თაობაზე „ბრივთან“ მიღწეული იყო, მაგრამ „მონპელიეს“ პრეზიდენტმა **ტიერი პერესმა** ყველა ღონე იხმარა „ქართველი კინგ-კონგის“ დასაბრუნებლად. ბრიველებს კომპენსაცია გადაუხადა და გორგოძე მონპელიეს დაუბრუნა.

წლეულს მონპელიელთა რიგებს კიდევ ერთი ქართველი, საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი **გიორგი ჩხაიძე** დაემატა. „ბინგომ“ სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო. ძირითადში ადგილი უმალვე დაიმკვიდრა, მაგრამ ერთ-ერთ შეხვედრაში ხელი იტკინა, რის გამოც ორი თვე უქმად ყოფნამ მოუწია. ტრავმამოშუშებული კი ისევ ძირითადის მოთამაშე გახდა. გასულ უქმეებზე ჩხაიძემ „ჩელენჯ კაპის“ გათამაშებაში, სტუმრად მადრიდში „ოლიმპუსს“ ორი ლელო გაუტანა.

„მონპელიე“ ფრანგულ ელიტაში ყველაზე ახალგაზრდა კლუბია. ის 1986 წელს დაარსდა ორი მცირე მონპელიური კლუბის გაერთიანების შედეგად. ცხადია, ამ მოკლე დროში გუნდი ტიტულებით ვერ დაიკვეხნის. მეტიც, ელიტურ, პირველ დივიზიონში „მონპელიე“ მხოლოდ მეექვსე სეზონს ატარებს.

დღეისთვის „მონპელიემ“ 15 ტურის შემდეგ 29 ქულა მოაგროვა და სატურნირო ცხრილში მე-11 ადგილზეა. არადა, გუნდს ბევრად მეტი პოტენციალი და ამბიცია გააჩნია, ვიდრე დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლაა.

**ბესიკ ჯანგავაძე**



დავით ქუბრიაშვილი

ჩოგბურთი

# სამი ქართველით ავსტრალიაში

australian open
The Grand Slam of Asia/Pacific

2009 წლის საჩოგბურთო სეზონი დასრულებულია, თუმცა ახალი სეზონი მალე, 4 იანვრიდან იწყება. სულ რაღაც 20 დღეში კი „დიდი სლემის“ წლის პირველი ტურნირი, ავსტრალიის ღია პირველობა გაიხსნება. „მწვანე კონტინენტზე“ პირველად ვიხილავთ ერთდროულად სამ ქართველ ჩოგბურთელს. რეიტინგის წყალობით ავსტრალიის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ბადეში თამაში გაინაღდეს: **ანა ტატიშვილმა** (177), **ოქსანა კალაშნიკოვამ** (180) და **მაკა ჩახნაშვილმა** (206). ამ სამეულს წყვილთა თანრიგის საკვალიფიკაციო ბადეშიც გარანტირებული აქვს თამაში. რიგით 98-ე ავსტრალიის ღია პირველობაზე „მელბურნ პარკის“ კორტებზე 18-31 იანვარს გაიმართება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

## სპორტის სახეობათა ისტორია


კორტ-ტენისი. პარიზი, XV საუკუნე.

### ჩოგბურთი

ტენეზ - ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს აიღე, დაიჭირე. ჩოგბურთის მსგავსი თამაშის კვალი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია აღმოჩენილი. განსაკუთრებით იყო გავრცელებული ძველ ეგვიპტესა და ჩინეთში, საბერძნეთსა და რომში, იაპონიაში, აცტეკების ქვეყანაში. ჩოგბურთმა ევოლუცია განიცადა. პარიზის ჩოგბურთის მუზეუმში ნახავთ ჯავშნიან ხელთათმანს ლითონფირფიტის სამაგრით, ტყვიისგან დამზადებულ და მატყლით დატენილ ბურთებს, ფარშევანგის ბუმბულით გაწყობილ ჩოგნებს. ძველი ინვენტარის გვერდით მუზეუმში წარმოდგენილია უახლესი ტექნოლოგიით დამზადებული საჩოგბურთო ინვენტარი.

ჩოგბურთი წარჩინებულთა თამაში იყო. „კორტ-ტენისი" — მეფეთა თამაში" — ასეთი წარწერა ამშვენებს ჰენრიხ VIII-ის პორტრეტს.

დღევანდელ ჩოგბურთს სწორედ „კორტ-ტენისის" უშუალო მემკვიდრედ მიიჩნევენ. ბურთის ბადეზე გადაგდება დიდად პოპულარული იყო XV-XVI საუკუნეების ინგლისში, საფრანგეთსა და იტალიაში. იმ პერიოდში საფრანგეთში 100-ზე მეტი ჩოგბურთის სათამაშო სახლი და ჩოგნების დამამზადებელი რამდენიმე საწარმო იყო.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩოგბურთი ყველა კონტინენტზე და თითქმის ყველა ქვეყანაში გავრცელდა.

განვითარდა საჩოგბურთო ინდუსტრია, შეიქმნა სკოლები და კლუბები, მომრავლდა ტურნირები. ჩოგბურთი დღეს ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი სპორტის სახეობაა როგორც მენეჯერებისთვის, ისე სპორტსმენებისთვის.

## იყო ასეთი შემთხვევა

მონრეალში, XXI ოლიმპიურ თამაშებში 92 ქვეყნის 6084 სპორტსმენი მონაწილეობდა. ახალი ზელანდიის მონაწილეობის გამო, ოლიმპიადას ბოიკოტი გამოუცხადეს აფრიკულმა ქვეყნებმა. მიზეზი ის იყო, რომ თამაშებამდე ცოტა ხნით ადრე ახალი ზელანდიის მორაგბეთა ნაკრებმა ტურნე გამართა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, რომელსაც აპარტეიდის პოლიტიკის გამო სხვა აფრიკული ქვეყნები არ სცნობდნენ.




## სპორტული კრიალოსანი

**დიდი** ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი სპორტითაც იყო გატაცებული, ვარჯიშობდა, ოლიმპიურ თამაშებშიც მონაწილეობდა. ცნობილია, რომ ამ ფილოსოფოსმა ორჯერ დაიდგა ოლიმპიონიკის (ოლიმპიური ჩემპიონი) გვირგვინი — გაიმარჯვა პანკრატიონში.

**ავსტრალიაში** ყველაზე პოპულარულია ავსტრალიური ფეხბურთი. შემდეგ მოდის რაგბი და მესამე ადგილზეა ცხენოსნობა. დოლებს ქვეყნის მასშტაბით 2 მილიონზე მეტი მაყურებელი ესწრება ყოველწლიურად. ჯირითი კი წელიწადში 379-ჯერ ტარდება.

## ვიქტორინა

**1. რომელ წელს ჩამოართვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მუჰამედ ალის ლეონ სპინკსმა?**

ა – 1977 წელს
ბ – 1978 წელს
გ – 1982 წელს

**2. ფორმულა 1-ში რომელ წელს გახდა პირველად მსოფლიოს ჩემპიონი ნიკი ლაუდა?**

ა – 1975 წელს
ბ – 1978 წელს
გ – 1979 წელს

**3. დენვერმა (აშშ) უარი განაცხადა 1976 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე. სად გადაიტანეს ეს ოლიმპიადა?**

ა – კალგარიში
ბ – შამონში
გ – ინსბრუკში

**4. სად ჩატარდა ფეხბურთში მსოფლიოს X ჩემპიონატი?**

ა – ჩილეში
ბ – გფრ-ში
გ – საფრანგეთში

**5. ვინ მოიგო პირველმა მეხუთედ ვაჟ ჩოგბურთელთაგან უიმბლდონის ტურნირი?**

ა – ბორის ბეკერმა
ბ – ანდრე აგასიმ
გ – ბიორნ ბორგმა

გასული შაბათის ნომერში გამოქვეყნებულ ვიქტორინას ინტერესით გაეცნო ჩვენი მკითხველი და ბევრმა მათგანმა პასუხების თავისი ვარიანტი გამოგვიგზავნა. სამწუხაროდ, ყველა შეკითხვაზე ზუსტი პასუხი ვერავინ გასცა. ნაწილმა 4 შეკითხვას უპასუხა სწორად, დანარჩენმა - სამს, ორს... მკითხველთა ერთი ნაწილი გვთხოვს, პასუხები გაზეთის იმავე ან მომდევნო ნომერში გამოვაქვეყნოთ, რასაც ალბათ, ახალი წლიდან გავითვალისწინებთ.

*სწორი პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ა, 4-გ, 5-ბ.*

## ოლიმპიური ფილატელია







გაგრძელებთ თხრობას ოლიმპიურ ფილატელიაზე. პირველი მასალა ამ თემაზე გასულ შაბათს შემოგთავაზეთ და ოლიმპიური მარკების წარმოშობის ისტორიას შევეხეთ. საბერძნეთის შემდეგ, სადაც 1896 წელს ჩატარდა აღორძინებული ოლიმპიადების პირველი თამაშები, ოლიმპიური საფოსტო მარკების გამოშვების ტრადიცია განაგრძეს ოლიმპიადების მასპინძელმა სხვა ქვეყნებმა. ერთხელ ეს ტრადიცია გარკვეულწილად დაირღვა. მაგალითად, 1924 წელს ურუგვაიმ და კოსტა-რიკამ დაბეჭდეს ოლიმპიური საფოსტო მარკები, თამაშები კი საფრანგეთში, პარიზში გაიმართა. დღეს თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყანა, მათ შორის საქართველოც, ბეჭდავს და მიმოქცევაში უშვებს ოლიმპიურ მარკებს.

ფილატელიაში აისახა თითქმის ყველა ზაფხულის და ზამთრის ოლიმპიადა. სხვათა შორის, შემორჩენილია 1940 და 1944 წლების ოლიმპიადების მარკებიც. არადა, ეს თამაშები არ ჩატარებულა. ოლიმპიურ თემატიკაზე მარკების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. იზრდება კოლექციონერთა რიცხვიც და მხოლოდ ყველაზე თავგამოდებულ ქომაგებს თუ შესწევთ უნარი, დაიკმაყოფილონ ყველა მარკის შეგროვების სურვილი.

ოლიმპიურ თემაზე, გარდა მარკებისა, გვხვდება მხატვრული კონვერტები, საფოსტო ბარათები, შტემპელები და ა.შ.

საბჭოთა კავშირში პირველად ოლიმპიური მარკები დაიბეჭდა 1957 წელს და მიძღვნილი იყო... 1956 წლის მელბურნის ზაფხულის ოლიმპიადისადმი.



## ოლიმპიური მონეტა



ნაგანოს XVII ზამთრის ოლიმპიური თამაშების მონეტა



სიდნეის XXVII ზამთრის ოლიმპიური თამაშების მონეტა

ოლიმპიური მონეტა ფულის სამახსოვრო ნიშანია. პირველი მონეტა — ტეტრადრაჰმა ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჯერ კიდევ 480 წელს სიცილიის მმართველის ანაქსილოქსის ოლიმპიურ თამაშებში ეტლებით რბოლაში გამარჯვების აღსანიშნავად გამოუშვეს. არსებობს უტყუარი წყარო, რომ ფილიპე II მაკედონელის 105-ე ოლიმპიადაში (356 წ) გამარჯვების უკვდავსაყოფად ოლიმპიური მონეტა მოუჭრიათ. სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებში ინახება სხვა მონეტებიც, რომლებზეც სპორტული თემატიკაა ასახული. აღორძინებული ოლიმპიური თამაშების ისტორიაში პირველი ოლიმპიური მონეტა გამოუშვეს XV ოლიმპიურ თამაშებთან (1952) დაკავშირებით. თანამედროვე ოლიმპიადების 100 წლის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა საბერძნეთის ეროვნული ბანკის და ზარაფხანის მიერ 1996 წელს გამოშვებული ოლიმპიური მონეტების კოლექცია, რომლებზეც გამოსახულია როგორც ანტიკური, ისე თანამედროვე ათლეტები და სტადიონები. ოლიმპიური მონეტების კოლექციის გამოშვებით განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი კანადამ (1992), ავსტრალიამ (1993) და ავსტრიამ (1995).

ოლიმპიური მონეტების სერიული გამოშვებით ქვეყნები იღებენ დამატებით შემოსავალს ოლიმპიური მოძრაობის განსამტკიცებლად.

## კროსვორდი

**ჰორიზონტალურად:** 1.საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მეორე პრეზიდენტი; 5.იტალიის ფეხბურთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი; 10."მილანის" მეკარე; 11.გერმანელი ავტომრბოლი; 13. გერმანული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო და სკანდალური ფეხბურთელი; 16. ასაკით უმცროს სპორტსმენთა ზოგადი სახელწოდება; 17.ქალაქი შვეიცარიაში და ამავე სახელწოდების საფეხბურთო გუნდი; 20.ბურთის მიწოდება; 21.სპორტის სახეობა; 22.სიდნეის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი თილისმა "..."; 26.სპორტული ცურვის სახეობა; 30.ქართველი მოჭადრაკე ქალი, რომელიც ამჟამად შოტლანდიის სახელით გამოდის; 31.მოლდოვას საფეხბურთო გუნდი; 33.ბრაზილიელი ფეხბურთელი, რომელიც "ნაპოლიში" მარადონასთან ერთად თამაშობდა; 34. სპორტის ზამთრის სახეობა; 35.ტრაგიკულად დაღუპული ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი; 36.საფრანგეთის ფეხბურთის ნაკრების მწვრთნელი 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე.

**ვერტიკალურად:** 2.საფეხბურთო მწვრთნელი, რომელმაც საფრანგეთის ნაკრებში ჟაკე შეცვალა; 3.ეტაპებად დაყოფილი გუნდური შეჯიბრება ცურვაში, მძლეოსნობაში, ნიჩბოსნობაში... 4.ჰოლივუდის მსახიობი, რომელსაც იტალიელი გულშემატკივრები ლიპის ძალიან ამსგავსებენ; 6.პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე ... კასილასი; 7.ვეტერანი თბილისელი ფეხბურთელი, ეროვნებით ბერძენი; 8.სპორტულ შეჯიბრებაში შედარებით სუსტი მონაწილისათვის მიცემული უპირატესობა; 9.1988 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი; 12.კურნიკოვას სახელი; 14.ქალაქი, რომლის ფეხბურთის გუნდია "ჩერნომორეცი"; 15.თბილისის "დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი... ცვეიბა; 18.მსაჯთა გაერთიანება; 19.პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ქართველ სპორტსმენთა შორის; 22.ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აბრევიატურა; 24.ბრაზილიის უდიდესი სტადიონი; 25."ბაჭიას" მეტსახელით ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი; 27.ფეხბურთელი, რომლის ნამდვილი სახელი და გვარია რიკარდო იზექსონ დოს სანტოს ლეიტე; 28.პოპულარული სპორტული გამოცემა" ... დელო სპორტი"; 29.ძალოსნობის სპორტული იარაღი; 32.პაველ ნედვედის ეროვნება.



*პასუხები იხილეთ ლელოს მომდევნო ნომერში*

*შეადგინა ლალი ჭიჭინაძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვა

ოლიმპიზმი. ვანკუვერი 2010

## რუსებში 14 ოკეანისგაღმელია

გუშინ ვანკუვერში გასამგზავრებელი შემადგენლობა გამოაქვეყნა რუსეთის ნაკრებმა. გუნდის დამრიგებელმა **ვიაჩესლავ ბიკოვმა** ამ სიას ნინასწარი უწოდა, მაგრამ თითქმის ყველა დარწმუნებულია იმაში, რომ საბოლოო განაცხადი სწორედ ასეთ სახეს მიიღებს.

რუსების შემადგენლობაში 23 ჰოკეისტია. აქედან 14 მოთამაშე (3 მეკარე, 5 მცველი და 6 თავდამსხმელი) ჰოკეის ეროვნულ ლიგას წარმოადგენს, 9 სპორტსმენი (3 მცველი და 6 თავდამსხმელი) კი ჰოკეის კონტინენტური ლიგიდანაა.

**მეკარეები:** ევგენი ნაბოკოვი („სან ხოსე", NHL), ილია ბრიზგალოვი („ფინიქსი", NHL), სემიონ ვარლამოვი („ვაშინგტონი", NHL);

**მცველები:** ანდრეი მარკოვი („მონრეალი", NHL), ილია ნიკულინი („აკ ბარსი"), დმიტრი კალინინი („სალავატ იულიაევი"), კონსტანტინ კორნეევი (ცსკა), დენის გრებეშკოვი („ედმონტონი", NHL), ფიოდორ ტიუტინი („კოლამბუსი", NHL), სერგეი გონჩარი („პიტსბურგი", NHL), ანტონ ვოლჩენკოვი („ოტავა", NHL);

**თავდამსხმელები:** პაველ დაციუკი („დეტროიტი", NHL), ევგენი მალკინი („პიტსბურგი", NHL), სერგეი ფიოდოროვი („მეტალურგი" მ), ილია კოვალჩუკი („ატლანტა", NHL), მაქსიმ აფინოგენოვი („ატლანტა", NHL), დენის ზარიპოვი („აკ ბარსი"), ალექსანდრ სიომინი („ვაშინგტონი", NHL), სერგეი ზინოვიევი („სალავატ იულიაევი"), ალექსანდრ რადულოვი („სალავატ იულიაევი"), ვიქტორ კოზლოვი („სალავატ იულიაევი"), ალექსანდრ ოვეჩკინი („ვაშინგტონი", NHL), ალექსეი მოროზოვი („აკ ბარსი").

ჰოკეი. NHL

## ათწლეულის სიმბოლური

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ გასული ათწლეულის საუკეთესო მოთამაშეები გამოავლინა. NHL-ის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ორი სიმბოლური ნაკრების შემადგენლობა. 2000-2009 წლებში საუკეთესო ჰოკეისტების სია ასე გამოიყურება:

**პირველი სიმბოლური ნაკრები:** მარტინ ბროდო („ნიუ ჯერსი") - ნიკლას ლიდსტრიომი („დეტროიტი"), სკოტ ნიდერმაიერი („ნიუ ჯერსი" - 2000-04, „ანაჰაიმი" - 2005-დან) - ალექსანდრ ოვეჩკინი („ვაშინგტონი"), ჯო საკიკი („კოლორადო"), ჯერომ იგინლა („კალგარი").

**მეორე სიმბოლური ნაკრები:** კრის ოსგუდი („დეტროიტი" - 2000-01, 2005-დან, „აილენდერსი" - 2001-03, „სენტ ლუისი" - 2003-04) - კრის პრონგერი („სენტ ლუისი" - 2000-04, „ედმონტონი" - 2005-06, „ანაჰაიმი" - 2006-09, „ფილადელფია" - 2009-დან), ზდენო ხარა („აილენდერსი" - 2000-01, „ოტავა" - 2001-06, „ბოსტონი" - 2006-დან) - იარომირ იაგრი („პიტსბურგი" - 2000-01, „ვაშინგტონი" - 2001-04, „რეინჯერსი" - 2004-08), სიდნი კროსბი („პიტსბურგი"), ილია კოვალჩუკი („ატლანტა").

კალათბურთი

## პრჟიბილამ სეზონი დაასრულა

რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი". ამ გუნდმა მიმდინარე სეზონის მსვლელობისას უკვე მეორე ცენტრი დაკარგა. როგორც გახსოვთ, სამი დღის წინ „ბლეიზერსის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა **ჯოელ პრჟიბილამ** „დალასთან" მატჩის პირველ მეოთხედში მუხლი დაიზიანა და პარტნიორების დახმარებით დატოვა მოედანი. ექიმების თავდაპირველი შეფასებით, პორტლენდელს დაახლოებით ორ კვირის გამოტოვება მოუწევდა, მაგრამ პრჟიბილას დაზიანება გაცილებით სერიოზული აღმოჩნდა. მას უკვე გაუკეთეს ოპერაცია, რის გამოც სეზონის დარჩენილი ნაწილის გამოტოვება მოუწევს.

უფრო ადრე სეზონს დაემშვიდობა **გრეგ ოდენი**. ამ კალათბურთელების გარდა, „პორტლენდის" ლაზარეთში იმყოფებიან - **რუდი ფერნანდესი, ტრევის აუთლო, ნიკოლა ბატუმი, პატრიკ მილსი** და **ბრენდონ როი**.

ამ სეზონში პრჟიბილას საშუალო მონაგარი 4.1 ქულასა და 7.9 მოხსნას შეადგენდა.

## სპანულისი ბალკანეთის რჩეულია

„პანათინაიკოსისა" და საბერძნეთის ნაკრების მცველი **ვასილის სპანულისი** 2009 წელს ბალკანეთის ქვეყნების საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს. სპანულისი წლევანდელი ევროლიგის ფინალური მატჩის ერთ-ერთი გმირი იყო, გარდა ამისა, ბერძენი კალათბურთელი ამ ტურნირის „ოთხთა ფინალის" საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. შემოდგომაზე სპანულისმა ევროპის ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა და ეროვნულ ნაკრებთან ერთად ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

გამოკითხვაში მეორე ადგილი დაიკავა სპორტულ ტანვარჯიშში მსოფლიოს 2009 წლის ჩემპიონმა, რუმინელმა **მარიან დრაგულესკუმ**. მესამე იყო ბულგარელი მოკრივე **დეტელინ დალაკლიევი**, რომელმაც თავის ქვეყანას 14-წლიანი შესვენების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალი მოუტანა.

## ბუტაუტასი ჟალგირისს გაწვრთნის

**რამუნას ბუტაუტასი** ოფიციალურად დანიშნეს კაუნასის „ჟალგირისის" მთავარ მწვრთნელად. 45 წლის სპეციალისტთან კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლომდეა გაფორმებული.

ლიტვის ნაკრების ყოფილმა დამრიგებელმა წლევანდელი სეზონი უკრაინის „დონეცკის" დამრიგებლის რანგში დაიწყო, მაგრამ გასულ კვირას დაითხოვეს პოსტიდან.

ბუტაუტასს 28 დეკემბერს ოფიციალურად წარადგენენ ჟურნალისტების წინაშე.

ჩოგბურთი

## საუკეთესო იუნიორები

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ წლის საუკეთესო იუნიორებად შვედი **დანიელ ბერტა** და ფრანგი **კრისტინა მლადენოვიჩი** დაასახელა.

ბერტა 1991 წლის შემდეგ პირველი შვედი ჩოგბურთელი ვაჟი გახდა, ვინც ITF-ის პრიზი დაიმსახურა. მან **ტომას ენკვისტის** მიღწევა გაიმეორა. სკანდინაველმა წელს იუნიორთა როლან გაროსი მოიგო და აგრეთვე დევისის თასზე ისრაელის წინააღმდეგ შვედეთის ნაკრების შემადგენლობაში მოხვდა.

2009 წელს კრისტინა მლადენოვიჩმაც მოიგო საფრანგეთის ღია პირველობა და ამას გარდა, უიმბლდონის ფინალში ითამაშა.

ოლიმპიზმი. ვანკუვერი 2010



# ამერიკა მშვიდადაა, კანადა საგიჟეთს დაემსგავსა

ვანკუვერის ოლიმპიადაზე განსაკუთრებული ყურადღება ჰოკეის ტურნირისადმი იქნება მიპყრობილი. სპორტის ამ სახეობის მოყვარულები მოუთმენლად ელიან პირველ მატჩებს, მაგრამ არანაკლებ ინტერესს იწვევს გუნდების შემადგენლობების გამოცხადება, პირველ რიგში საინტერესოა კანადისა და ამერიკის საბოლოო განაცხადები. დღეს სწორედ ამ თემაზე გვექნება ლაპარაკი.

თუ ზოგიერთმა ევროპულმა გუნდმა ვანკუვერში გასამგზავრებელი შემადგენლობა უკვე დაასახელა, კანადელები და ამერიკელები ამის გაკეთებას 30 დეკემბრისთვის აპირებენ. ისინი ამ მოვლენისგანაც შორს დგამენ. საერთოდ 31 დეკემბერს (ახალი მილენიუმის პირველი ათწლეულის ბოლო დღე - კარგად ჟღერს!) უნდოდათ საბოლოო განაცხადების გამოქვეყნება, მაგრამ ამ დღეს მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ამერიკისა და კანადის ნაკრებები თამაშობენ და ეს ორი მოვლენა აშკარად დაჩრდილავდა ერთმანეთს.

ამერიკული გუნდის ძალასა და შეთამაშების ხარისხს ვანკუვერში გამართული პირველი მატჩის შემდეგ გავიგებთ. მაგრამ დღეს ბევრია დარწმუნებული იმაში, რომ 2010 წლის ფორმაციის გუნდი, ალბათ, არაფრით ნაკლები არ იქნება 1996 წელს მსოფლიოს თასზე ან 2002 წლის ოლიმპიადაზე მოთამაშე ნაკრებებზე. საერთოდ, ჰოკეის წრეებში მიღებულია იმაზე ლაპარაკი, რომ ამ გუნდების წარმატება შემთხვევითობა იყო და ასეთი სასწაული არასოდეს განმეორდება. მაგრამ ეს მცდარი აზრია, რადგან ამერიკის დღევანდელი ნაკრები სწორედ ახალგაზრდა მოთამაშეებით არის ძლიერი - **პატრიკ კეინი, ფილ კესელი, პოლ შჩასტნი** უკვე ჰოკეის ეროვნული ლიგის ვარსკვლავებად ითვლებიან. და მაინც, მათ ფონზე მაინც აშკარად გამოირჩევა NHL-ის ამომავალი ვარსკვლავი, „ბაფალო სეიბრზის" მეკარე **რაიან მილერი**, რომელიც ვანკუვერში ამერიკელთა მთავარი იმედი უნდა გახდეს. თუ ვინმეს შეუძლია **დომინიკ ჰაშეკის** გმირობის (1998 წელს, ნაგანოს ოლიპიადა) გამეორება, ეს პირველ რიგში მილერზე ითქმის, რომელიც ამ სეზონში NHL-ის საუკეთესო მეკარის პრიზის მთავარი პრეტენდენტია.

■ ■ ■

მაგრამ ამერიკელები მაინც მეორეხარისხოვანი მსახიობები არიან, კანადაში კი შემადგენლობის გამოცხადება - განხილვის მთავარი თემაა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კანადელი გულშემატკივრების უმრავლესობა ბუნებით პესიმისტია, ადვილი წარმოსადგენია, რაც ახლა ჰოკეის სამშობლოში ხდება - ეს ძალიან ჰგავს „ეროვნულ სიგიჟეს". ამ დღეებში ნაკრების გენერალური მენეჯერის **სტივ აიზერმანის** მუშაობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ქვეყნის პრემიერ-მინისტრის საქმეები. მაინც ვისზე შეჩერდება სტივის არჩევანი?

დავიწყოთ მეკარის პოზიციით, რადგან აქ აზრთა სხვადასხვაობის საფუძველი არ არსებობს. გულშემატკივარს კამათის საშუალებას გენიალური **მარტინ ბროდო** არ აძლევს, რომელმაც NHL-ის ყველა რეკორდი (მეკარეებისთვის) მოხსნა და ამ სეზონშიც ბევრ სათამაშო კომპონენტშია ლიდერთა შორის. „ნიუ ჯერსი დევილზის" 37 წლის გოლკიპერი პირველ ადგილზეა ლიგაში გამარჯვებების რაოდენობით, საუკეთესო ხუთეულშია საიმედოობის კოეფიციენტით და პირველ ათეულში (კანადელებს შორის პირველია) იკავებს ადგილს მოგერიებული შაიბების რაოდენობით. ამ კვირას ბროდო (მან უკვე დაამხო **პატრიკ რუას** რეკორდი NHL-ში გამარჯვებების საერთო რიცხვით) კიდევ ერთი რეკორდის ავტორი გახდა - ასმეოთხედ არ გაუშვა საკუთარ კარში შაიბა.

ასეთი შედეგების გამო, „ვანკუვერ კენაქსის" ბრწყინვალე მეკარე **რობერტო ლუონგოს**, სავარაუდოდ, სათადარიგოს როლით მოუწევს დაკმაყოფილება. მესამე მეკარე, ალბათ, პიტსბურგელი **მარკ-ანდრე ფლერი** იქნება. მოკლედ, კანადას საიმედო სამეული უმაგრებს ზურგს, რომლის ერთადერთი მინუსი ლუონგოს ჭირვეული ხასიათია - „ვანკუვერის" მეკარეს არ მოეწონება სათადარიგოთა სკამზე ჯდომა.

თუ კანადელ მეკარეთა მთავარი ღირსება გამოცდილებაა, დაცვის ხაზში ახალგაზრდული მოძრაობა შეინიშნება. მაგალითად, არ არსებობს დღეს ჰოკეის ეროვნულ ლიგაში **დენ ბოილზე** („სან ხოსე") უკეთესი შემტევი მცველი. ეს ჰოკეისტი პრაქტიკულად არც ერთ მატჩს არ ტოვებს ქულის გარეშე. სავარაუდოდ, ვანკუვერში კარგი შთაბეჭდილება უნდა დატოვოს ნეშვილურმა დუეტმა: **უებერი-ჰამჰუისი**. თუმცა ამ უკანასკნელის საბოლოო შემადგენლობაში მოხვედრის შანსი არც ისე დიდია. სამაგიეროდ, კანადის სამწვრთნელო შტაბი უარს ვერ იტყვის „ჩიკაგოს" მცველებზე - **დანკან კეიტსა** და **ბრენტ სიბრუკზე**. რაც შეეხება იმედისმომცემ **დრიუ დაუტის** („ლოს ანჯელესი"), ის ბოლო პერიოდში არც ისე საიმედოდ თამაშობს და შეიძლება ამოვარდეს კანდიდატთა სიიდან. ძალიან უკლო ამ სეზონში **დიონ ფანოფმა** („კალგარი"): მისი ყველა დადებითი თვისებიდან მხოლოდ ძალისმიერი ილეთების შესრულება დარჩა. ვაშინგტონელი **მაიკ გრინი** და ჩიკაგოელი **ბრაიან კემპბელი** ბოლო დროს ნაკლებად იპყრობენ ყურადღებას დადებითი კუთხით (სისწრაფე, ტექნიკა და გოლები) და თავს უფრო მეტად ნეგატივით გვამახსოვრებენ.

მაგრამ წელს არავის აქციები ისე არ დაცემულა, როგორც წარსულში ხელშეუხებელი ვეტერანების - **სკოტ ნიდერმეიერისა** და **კრის პრონგერის**. ორივენი კომმარულად მოთამაშე კლუბების რიგითი წევრები არიან და არა გამოცდილი წინამძღოლები, როგორც ეს ადრე იყო. ნიდერმაიერის **„მინუს 12"** საერთოდ რთული ასახსნელია და როგორც ჩანს, ვანკუვერში მას მხოლოდ რეპუტაციის გამო თუ წაიყვანენ.

თავდასხმაში კანადას საქმე ბრწყინვალედ აქვს და ახლა კამათი მხოლოდ იმაზეა, ღირს თუ არა ვანკუვერის საგზურის მიცემა ბრწყინვალედ მოთამაშე **მაიკ ფიშერისთვის** („ოტავა"), თუ ეს ნაბიჯი მეტისმეტი იქნება.

ისეთი ლიდერების წყალობით, როგორებიც არიან **სიდნი კროსბი, ჯო ტორნტონი** და **ერიკ სტაალი**, ტურნირის მასპინძლებს შეუძლიათ არ ინერვიულონ თავდასხმის ცენტრის გამო. პრობლემა მხოლოდ შეთამაშებაშია. ცნობილი ფაქტია, რომ ევროპული ნაკრებების ლიდერებს ერთად უფრო მეტი დრო აქვთ გატარებული, ვიდრე, მაგალითად, კროსბისა და **ჯერომ იგინლას**. კანადელებმა ეს იციან და ამის გამო შეშფოთებას გამოთქვამენ. სწორედ ამიტომაც, ცნობილი ტელეკომენტატორი **დონ ჩერი** დიდი ხანია ითხოვს ნაკრებში „სან ხოსეს" ტრიოს - **ჰიტლი-ტორნტონი-მარლოს** შეყვანას. ეს ბიჭები შიშის ზარს სცემენ ყველას დასავლეთ კონფერენციაში. ჰიტლი და ტორნტონი ვანკუვერში ასი პროცენტით მიდიან და თუ მათ მარლოსაც (მას უკვე 23 გოლი დაუგროვდა და ლიგის სნაიპერთა შორის მხოლოდ ნიუიორკელ **მარიან გაბორიკს** ჩამორჩება) დაუმატებენ, ეს სავსებით ლოგიკური ნაბიჯი იქნება.

შედარებით ნაკლები იმედი უნდა ჰქონდეს „ტამპა ბეის" წყვილს: **სენტ ლუისი-ლეკავალიე**. ბოლო დროს ორივემ მოუმატა თამაშს, მაგრამ შეიძლება ეს გააქტიურება დაგვიანებული იყოს. აუცილებლად მოხვდება შემადგენლობაში **ჯონათან ტეუვზი** („ჩიკაგო") - ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი ბულიტებში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ოლიმპიადაზე. თანაც ის კარგად არის შეთამაშებული ჩიკაგოელ მცველებთან - სიბრუკთან და კეიტთან. ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

საერთო ჯამში, კანადელებს ძალიან თანაბარი და საკმაოდ ელეგანტური შემადგენლობა ჰყავთ. დაცვაში არის ძალა, სისწრაფე და შემოქმედებითი თამაში. თავდასხმაში - საერთაშორისო გამოცდილება (ჰიტლი), ლიდერის თვისებები (**დოუნი**), სუპერვარსკვლავობა (კროსბი), თავდადება (იგინლა), ასისტირება (ტორნტონი), გოლები (მარლო), ალმაფრენა (ტეუვზი) და ძალა (**გეტცლაფი**). აქ ფრჩხილებში თითო გვარია მითითებული, მაგრამ ეს თვისებები ბევრ ჰოკეისტზე ვრცელდება.

მიუხედავად ამისა, კანადელი ფანები მაინც პანიკაში არიან და კატასტროფის მოლოდინში განგაშის ზარებს რეკავენ, და ეს იმ დროს, როცა ისინი მაინც ვერ პოულობენ თავიანთ გუნდში სუსტ წერტილს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# რალფის ბრუნდება?



2010 წლის სეზონის წინ ფორმულა 1-ის სამყაროში ბევრი საინტერესო ამბავი ხდება. რად ღირს თუნდაც მსოფლიოს მოქმედი თუ ყოფილი ჩემპიონების გადაადგილებები - **ჯენსონ ბატონი** „მაკლარენში", **მიხაელ შუმახერი** - „მერსედეს გრან-პრიში" და **კიმი რაიკონენი** - რალიში. ამ სენსაციური ტრანსფერების შემდეგ, პოლონურ პრესაში გავრცელებული ახალი ამბავი დაუჯერებელი სულაც არ ჩანს.

როგორც ცნობილი გახდა, „რენომ" მომავალი სეზონისთვის ფორმულა 1-ში დაბრუნება შესთავაზა **რალფ შუმახერს**. უმცროსმა შუმახერმა მსოფლიოს ჩემპიონატი ორი წლის წინ დატოვა და ბოლო ორი სეზონი DTM-ის სერიაში გაატარა, სადაც ჯამში მხოლოდ 12 ქულას მოუყარა თავი.

პოლონელი ჟურნალისტების ინფორმაციით, ფრანგული საჯინიბოს წინადადება იმდენად სერიოზულია, რომ საბოლოო სიტყვა რალფ შუმახერზეა.



როგორც ჩანს, არ შედგება ბრძოლა ფილიპინელ **მენი პაკიაოსა** და ამერიკელ **ფლოიდ მეივეზერს** შორის. მოკრივეების მენეჯერებმა კვლავ ვერ მიაღწიეს შეთანხმებას დოპინგ-ტესტებთან დაკავშირებით და ამის გამო შეხვედრა ჩაშლის პირას არის. ფილიპინელი ჩემპიონის პრომოუტერმა **ბობ არუმმა** კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მისი კლიენტი არ გაივლის დოპინგშემოწმებებს ამერიკის ანტისადოპინგო სააგენტოს წესებით. თავის მხრივ, მეივეზერის გუნდი არ ცვლის თავის მოთხოვნას, რის გამოც სიტუაცია ჩიხში შევიდა.

კრივი

# მაინც ჩაიშალა

## ჰატონი დაბრუნდა და მეტოქეს ეძებს

ახლა არუმი აცხადებს, რომ 2010 წლის 13 მაისს პაკიაო რინგზე მაინც გავა. სავარაუდოდ, მისი მეტოქე მეორე ამერიკელი - **პოლ მალინიაჯი** იქნება.

■ ■ ■

მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა **რიკი ჰატონმა** რინგზე დაბრუნება გადაწყვიტა. ბრიტანელმა მოკრივემ მოლაპარაკებები დაიწყო ორ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთან, მექსიკელ **ხუან მანუელ მარკესთან**.

ჰატონი 2009 წლის მაისის შემდეგ არ გასულა რინგზე, როცა ნოკაუტით წააგო ბრძოლა მენი პაკიაოსთან. არადა, საკრივო სამყარო მოუთმენლად ელის რიკის რინგზე დაბრუნებას, მასთან ბრძოლის სურვილს კი ძალიან ბევრი მოკრივე გამოთქვამს.

ჩოგბურთი

# დიდი მწვრთნელის აზრები

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ საკუთარ ვებგვერდზე ცნობილ მწვრთნელ **ნიკ ბოლეტიერიზე** საინტერესო სტატია გამოაქვეყნა. მასში ლეგენდარული საჩოგბურთო აკადემიის დამაარსებელი თავისი ცხოვრების ისტორიას ჰყვება და თან კომენტარს აკეთებს თანამედროვე ჩოგბურთში შექმნილ სიტუაციაზე.

ნიკ ბოლეტიერი 78 წლისაა. ის ადრეული ასაკიდან მიდიოდა დასახული მიზნისკენ და ოცნების ას ასრულებლად უკან არ დაუხევია.

*„ახლაც ცხადად მახსოვს ის დღე, როცა მამაჩემს ვუთხარი - მინდა საუკეთესო საჩოგბურთო მწვრთნელი გავხდე მსოფლიოში, - უყვება თავისი აკადემიის სტუდენტებს ნიკი. - მას ეს ძალიან გაუკვირდა, მაგრამ მიპასუხა, რომ რა საქმესაც არ უნდა მოვკიდო ხელი, მას სრული პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდო. მისმა სიტყვებმა უფრო მეტი სითამამე შემძინა".*

ხანდაზმული ასაკის მიუხედავად, ბოლეტიერი ძველებურად ენერგიულია და სამომავლოდ დიდი გეგმები აქვს.

*„ყოველთვის მარტივი ფილოსოფია მქონდა და ის გამარჯვებაზე იყო დაფუძნებული. გამარჯვებულები ყოველთვის მომგებიან პოზიციაში არიან - ისინი კორტზე მოსაგებად გადიან, სხვები - წასაგებად არიან განწირულნი. უნდა შეგეძლოს თამაშისადმი სწორი მიდგომის მონახვა. ეს საკმაოდ მარტივია და ეს სწორედ ის არის, რასაც ჩემი სტუნდენტებისგან ვითხოვ".*

ასეთი ფილოსოფიით ცხადი ხდება, რატომ დგამდნენ პირველ ნაბიჯებს ბოლეტიერის აკადემიაში ნიკის ცნობილი მოსწავლეები - დები **უილიამსები, მარია შარაპოვა, მარტინა ჰინგისი, მონიკა სელეში, ანდრე აგასი** და **ჯიმ კურიე**... ვარჯიშების გარდა, ნიკი განსაკუთრებულ ყურადღებას მოტივაციას ანიჭებს.

ბოლეტიერიმ კომენტარი გაუკეთა მსოფლიოს ჩოგბურთში არსებულ სიტუაციას. მან ხაზი გაუსვა 2009 წლის ამერიკის ღია პირველობაზე **კიმ კლაისტერსისა** და **ხუან მარტინ დელ პოტროს** მოულოდნელ გამარჯვებებს.

*„დელ პოტრო ამერიკის ღია პირველობაზე ბრწყინვალედ გამოიყურებოდა, - ამბობს ბოლეტიერი. - ის შესანიშნავად უტევდა, კარგად იყენებდა ორი ხელით შესრულებულ ბექჰენდებს... რაფაელ ნადალს ნახევარფინალში არ უნდა აერჩია მარჯვნივ დარტყმები, რადგან დელ პოტრო მარცხნიდან ძალიან სახიფათოა. ის შესანიშნავად გადაადგილდება კორტზე და კარგი მონოდება აქვს. რაც მთავარია, ის მხოლოდ 20 წლისაა".*



ცნობილმა მწვრთნელმა კლაისტერსის ტრიუმფზეც დააფიქსირა თავისი აზრი:

*„მისი დაბრუნება ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ამან მღელვარება და ინტრიგა შემატა ქალთა ტურს. კიმი სიცოცხლით სავსეა და ის ძალიან სჭირდება დიდ სპორტს. მიუხედავად იმისა, რომ სერენა უილიამსის გულშემატკივარი ვარ, ძალიან მინდოდა, რომ კიმს გაემარჯვა. ჩოგბურთისთვის ასე უფრო უკეთესი იყო".*

ბოლეტიერიმ ისიც აღნიშნა, რომ ამერიკა სულაც არ არის უძლიერესი საჩოგბურთო ერი.

*„დღეს ბევრ ისეთ ქვეყანას ვხედავთ, რომელსაც ბრწყინვალე ჩოგბურთელები ჰყავს: სერბეთი, ხორვატია, ჩეხეთი, რუსეთი, ესპანეთი... - ამბობს ბოლეტიერი. - ძალიან მაინტერესებს, როგორ ითამაშებდა დღეს მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი როჯერ ფედერერი სამპრასისა და აგასის ზეობის ხანაში. დარწმუნებული ვარ, რომ შვეიცარიელი უკანა პლანზე არ დარჩებოდა და წარმატებას მიაღწევდა. სამივეს განსხვავებული სათამაშო სტილი აქვს და მათი დაპირისპირება ძალიან საინტერესო იქნებოდა. რა თქმა უნდა, დღეს რთულია ამ ჩოგბურთელების თამაშის შედარება. პირადად მე მიმაჩნია, რომ ფედერერი ყველა დროის ორ საუკეთესო მოთამაშეს შორის აუცილებლად უნდა იყოს. შეიძლება ის საუკეთესოც კი არის. ყოველ შემთხვევაში, ფედერერი და სამპრასი სრულად იმსახურებენ ასეთ ტიტულს"*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **კალათბურთი** | |
| **NBA** | |
| ნიუ იორკი-მაიამი | 87:93 |
| ორლანდო-ბოსტონი | 77:86 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-სკა | 2:4 |
| ბარისი-ატლანტი | 4:4 |
| ს. იულიაევი-სევერსტალი | 2:3 |
| დინამო (რ)-დინამო (მ) | 4:5 |
| ლადა-ამური | 4:2 |
| აკ ბარსი-მეტალურგი (ნ) | 4:0 |
| ლოკომოტივი-ტრაქტორი | 5:1 |
| ნეფტეხიმიკი-სიბირი | 3:1 |
| სპარტაკი-ავტომობილისტი | 2:2 |
| მვდ-მეტალურგი (მ) | 2:0 |
| ცსკა-ტორპედო | 0:5 |

TV პროგრამა

**26 დეკემბერი. შაბათი**

**I არხი**

14:00 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

16:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-ჩელსი (LIVE).
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-სტოკი (LIVE).
21:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ვულვზი (LIVE).
04:05 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-კოლამბუსი (LIVE).

**SPORT 2 (უკრაინა)**

17:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-ტოტენჰემი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

16:55 ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-ტოტენჰემი (LIVE).
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-ევერტონი (LIVE).
21:25 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ვულვზი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

02:55 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი (ახალგაზრდული). რუსეთი-ავსტრია (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

18:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-სტოკი (LIVE).
22:55 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი (ახალგაზრდული). ჩეხეთი-შვედეთი (LIVE).
04:00 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი- კოლამბუსი (LIVE).

**EUROSPORT-2**

18:00 ჰოკეი. შპენგლერის თასი. დინამო (ბელარუსი)-დავოსი (შვეიცარია) (LIVE).
23:15 ჰოკეი. შპენგლერის თასი. კანადა-კარლოვი ვარი (ჩეხეთი) (LIVE).
01:30 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი (ახალგაზრდული). ლატვია-კანადა (LIVE).

**27 დეკემბერი. კვირა**

**SPORT 1 (უკრაინა)**

17:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ასტონ ვილა (LIVE).
19:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჰალი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
02:05 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. აილენდერსი-ფილადელფია (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

17:25 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ასტონ ვილა (LIVE).
19:55 ინგლისის ჩემპიონატი. ჰალი-მანჩესტერ იუნ (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

22:00 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის რეგულარული ჩემპიონატი (LIVE).
02:00 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. აილენდერსი-ფილადელფია (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

17:55 ჰოკეი. კჰლ-ის ჩემპიონატი. ლოკომოტივი-მეტალურგი (მ) (LIVE).

**EUROSPORT-2**

18:00 ჰოკეი. შპენგლერის თასი. კარლოვი ვარი (ჩეხეთი)-დავოსი (შვეიცარია) (LIVE).
23:15 ჰოკეი. შპენგლერის თასი. დინამო (ბელარუსი)-მანჰაიმი (გერმანია) (LIVE).

თხილამურებით რბოლა

# პარაოლიმპიელი ვანკუვერს უმიზნებს

თხილამურებით სირბილში ოთხგზის პარაოლიმპიელი ჩემპიონი **ბრაიან მაკივერი**, შესაძლოა, ვანკუვერის ოლიმპიური თამაშების მონაწილე გახდეს. ინვალიდმა სპორტსმენმა კანადის კურორტ კენმორში ოლიმპიადაზე მონაწილეობისთვის ნორმატივი ჩააბარა - კანადელმა მოთხილამურემ 50-კილომეტრიანი რბოლა მოიგო.

30 წლის მაკივერმა დისტანცია ორ საათში, 21 წუთსა და 8.5 წამში დაფარა. ამ გამარჯვების მიუხედავად, კანადის ოლიმპიურმა კომიტეტმა ჯერ ვერ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება პარაოლიმპიელთან დაკავშირებით, რადგან განსაზღვრული არ არის, რამდენ მოთხილამურეს წარადგენს მასპინძელი ქვეყანა თეთრ ოლიმპიადაზე.

მაკივერს შტარგარდტის ავადმყოფობა აქვს - ეს არის თვალის ყვითელი გარსის თანდაყოლილი დეგენერაცია. ამის გამო კანადელს ცენტრალური მხედველობა აქვს დარღვეული. პარაოლიმპიურ ტურნირებზე მაკივერი ტრასაზე გამყოლს უდგას კვალში - ამ როლს მისი ძმა - **რობინი** ასრულებს.

მაკივერი 2002 და 2006 წლებში გამოდიოდა პარაოლიმპიურ თამაშებზე. ის ორ დისციპლინაში - სათხილამურო რბოლასა და ბიატლონში ცდიდა ძალებს. თხილამურებით სირბილში ბრაიანმა ჯამში ოთხი ოქრო და ოთხი ვერცხლი მოიპოვა, ბიატლონში - ერთი ბრინჯაო.

სულ სპორტის ისტორიას ხუთი პარაოლიმპიელი სპორტსმენი ახსოვს, რომელმაც არა მხოლოდ პარაოლიმპიადა, არამედ ოლიმპიური თამაშებიც მოიგო. ყველა ეს სპორტსმენი ზაფხულის სახეობებს წარმოადგენდა.




FM 107.9
საქართველოს ხმა
ყოველ შაბათ-კვირას 15:00-22:00
რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107.9) პირდაპირ ეთერში ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები და ანალიზი, სტუდიის სტუმარი, სატელეფონო ზარები, ვიქტორინა და პრიზები - გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.
გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერია სპორტული გაზეთი „ლელო"



# ლეო მესი 2010

**იანვარი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 4 | 11 | 18 | 25 |
| სამშაბათი | | 5 | 12 | 19 | 26 |
| ოთხშაბათი | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ხუთშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| პარასკევი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| შაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| კვირა | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |

**თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 |
| სამშაბათი | 2 | 9 | 16 | 23 |
| ოთხშაბათი | 3 | 10 | 17 | 24 |
| ხუთშაბათი | 4 | 11 | 18 | 25 |
| პარასკევი | 5 | 12 | 19 | 26 |
| შაბათი | 6 | 13 | 20 | 27 |
| კვირა | 7 | 14 | 21 | 28 |

**მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| სამშაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ოთხშაბათი | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| ხუთშაბათი | 4 | 11 | 18 | 25 | |
| პარასკევი | 5 | 12 | 19 | 26 | |
| შაბათი | 6 | 13 | 20 | 27 | |
| კვირა | 7 | 14 | 21 | 28 | |

**აპრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 5 | 12 | 19 | 26 |
| სამშაბათი | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ოთხშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ხუთშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| პარასკევი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| შაბათი | 3 | 10 | 17 | 24 | |
| კვირა | 4 | 11 | 18 | 25 | |

**მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| სამშაბათი | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ოთხშაბათი | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| ხუთშაბათი | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| პარასკევი | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| შაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |
| კვირა | 2 | 9 | 16 | 23 | 30 | |

**ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| სამშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ოთხშაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ხუთშაბათი | 3 | 10 | 17 | 24 | |
| პარასკევი | 4 | 11 | 18 | 25 | |
| შაბათი | 5 | 12 | 19 | 26 | |
| კვირა | 6 | 13 | 20 | 27 | |

**ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 5 | 12 | 19 | 26 |
| სამშაბათი | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ოთხშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ხუთშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| პარასკევი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| შაბათი | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| კვირა | 4 | 11 | 18 | 25 | |

**აგვისტო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| სამშაბათი | | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| ოთხშაბათი | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ხუთშაბათი | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| პარასკევი | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| შაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| კვირა | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |

**სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 6 | 13 | 20 | 27 |
| სამშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ოთხშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ხუთშაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| პარასკევი | 3 | 10 | 17 | 24 | |
| შაბათი | 4 | 11 | 18 | 25 | |
| კვირა | 5 | 12 | 19 | 26 | |

**ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 4 | 11 | 18 | 25 |
| სამშაბათი | | 5 | 12 | 19 | 26 |
| ოთხშაბათი | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ხუთშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| პარასკევი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| შაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| კვირა | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |

**ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| სამშაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ოთხშაბათი | 3 | 10 | 17 | 24 | |
| ხუთშაბათი | 4 | 11 | 18 | 25 | |
| პარასკევი | 5 | 12 | 19 | 26 | |
| შაბათი | 6 | 13 | 20 | 27 | |
| კვირა | 7 | 14 | 21 | 28 | |

**დეკემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 6 | 13 | 20 | 27 |
| სამშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ოთხშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ხუთშაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| პარასკევი | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| შაბათი | 4 | 11 | 18 | 25 | |
| კვირა | 5 | 12 | 19 | 26 | |

ჩოგბურთი

# ივანოვიჩი ზოოპარკში



**სერბი ანა ივანოვიჩი** ავსტრალიაში ემზადება ახალი სეზონისთვის. მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს საკმაოდ დატვირთული გრაფიკი აქვს, მაგრამ მაინც გამონახა დრო და ზოოპარკ Sunshine Coast-ს ესტუმრა. ჩოგბურთელი ყველაზე მეტად 210-კილოგრამიან ზღვის კატასთან ურთიერთობით გაერთო, ბოლოს ცხოველმა ჩოგბურთელი კოცნითაც კი დააჯილდოვა.

სანამ ანა ივანოვიჩი ახალი სეზონისთვის ემზადება, ინტერნეტპორტალმა Sportsnet-მა გასული წლის ათი ყველაზე ლამაზი სპორტსმენი ქალის სია შეადგინა. გამოკითხვა გულშემატკივრებს შორის ჩატარდა და პირველ ადგილზე სწორედ სერბი ჩოგბურთელი აღმოჩნდა.

ივანოვიჩის გარდა, ყველაზე ლამაზი სპორტსმენის სამეულში მოხვდნენ პარაგვაელი შუბის მტყორცნელი **ლერინ ფრანკო** და ავსტრალიელი **ნიკი გუდექსი**, რომელიც მაუნტინბაიკში გამოდის.

**სრული სია ასე გამოიყურება**

1. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)
2. ლერინ ფრანკო (პარაგვაი)
3. ნიკი გუდექსი (ავსტრალია)
4. მარია კირილენკო (რუსეთი, ჩოგბურთი)
5. ანა როუსონი (ავსტრალია, გოლფი)
6. მარია შარაპოვა (რუსეთი, ჩოგბურთი)
7. ჰიზერ მიტსი (აშშ, ამერიკული ფეხბურთი)
8. მარია ვერჩენოვა (რუსეთი, გოლფი)
9. კიმიკო ზაკრესკი (კანადა, სნოუბორდი)
10. ტანიტ ბელბინი (აშშ, ფიგურული სრიალი)

# ნოვაკი მეფეს ითამაშებს



**სერბმა ჩოგბურთელმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა** მსახიობობას მიჰყო ხელი. ახალ პროფესიაში მსოფლიოს მესამე ჩოგნის შესაძლებლობებს წელიწად-ნახევრის შემდეგ შევაფასებთ.

ჯოკოვიჩი სერიალში ითამაშებს. იქ მისთვის იუგოსლავიის მეფის **ალექსანდრ კარაჯორჯევიჩის** როლი აქვთ მომზადებული. სატელევიზიო ფილმი სწორედ მეფის ცხოვრებაზეა, რომელიც იუგოსლავიის პირველი მმართველი გახდა 1921-34 წლებში.

ფილმის ეკრანებზე გამოსვლა 2011 წლისთვის არის ნავარაუდევი. სულ ათ სერიას გადაიღებენ, სერიალის მთლიანი ბიუჯეტი კი დაახლოებით 2.8 მილიონი ევრო იქნება.

პროდიუსერებსა და რეჟისორს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ჯოკოვიჩი კარგად გაართმევს თავს ამოცანას, რადგან მას აშკარა სამსახიობო ნიჭი გააჩნია, რაც კორტზე კოლეგების გაჯავრებით არაერთხელ დაუმტკიცებია.

სერიალში ნოვაკის ძმა - **ჯორჯეც** იქნება დაკავებული. ისიც მეფეს ითამაშებს, ოღონდ ადრეულ ასაკში.

# ენდიმ ფერარი იყიდა

**მსოფლიოს მეოთხე ჩოგანმა, ბრიტანელმა ენდი მიურეიმ** „ფერარის" მეორადი ავტომობილი შეიძინა. ჩოგბურთელს F430-ის მოდელზე 50 ათასი ფუნტი დაუკლეს.



მაგრამ იმის გამო, რომ მიურეის ჯერ არ მიუღწევია 25 წლის ასაკამდე, მართვის მოწმობა ხუთი თვის წინ აიღო და თან ცნობილი სახე გახლავთ, მას ავტომობილის დაზღვევა უფრო ძვირი დაუჯდება, ვიდრე ჩვეულებრივ მძღოლს. ასე რომ, დაზღვევაში მიურეის წელიწადში 100 ათასი ფუნტის გადახდა მოუწევს. დაახლოებით ასეთი თანხა გადაიხადა ენდიმ მანქანაში, - წერს „დეილი მეილი".

კალათბურთი

# იარაღი ვაშინგტონის გასახდელში



„ვაშინგტონ ვიზარდის" ხელმძღვანელობამ ოფიციალურ ხელისუფლებასა და ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას აცნობა, რომ გუნდის გამთამაშებელი **გილბერტ არენასი** გასახდელში, თავის უჯრაში ცეცხლსასროლ იარაღს ინახავდა. თავად კალათბურთელმა გაზეთ Washington Post-სთვის მიცემულ ინტერვიუში არ უარყო ეს ფაქტი, მიზეზად კი გოგონას დაბადება დაასახელა. მისი სიტყვებით, ბავშვის გაჩენის შემდეგ, არ სურდა საკუთარი სახლში იარაღის შენახვა. გილბერტმა ისიც დაამატა, რომ პისტოლეტი გასახდელში ერთი კვირა ინახებოდა, რის შემდეგაც კალათბურთელმა ის კლუბის უსაფრთხოების სამსახურს გადასცა.

*„მას შემდეგ, რაც ჩემი ქალიშვილი დაიბადა, მივხვდი, რომ ეს ნივთი აღარ მჭირდებოდა",* - ამბობს არენასი.

პოლიციის წარმომადგენელმა **კვენტინ პეტერსონმა** სააგენტო AP-ის განუცხადა, რომ ამჟამად არენასთან დაკავშირებით გამოძიება არ მიმდინარეობს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია არ უკრძალავს კალათბურთელებს იარაღის ტარებას, მაგრამ მოთამაშეებს არ შეუძლიათ შეიარაღებული გამოცხადდნენ ნებისმიერ შენობაში, რომელიც ლიგას უკავშირდება.

# ოლ სტარს კობი ლიდერობს



**კობი ბრაიანტი** და **კარმელო ენტონი** დასავლეთიდან და **ლებრონ ჯეიმსი** და **დუეინ უეიდი** აღმოსავლეთიდან ლიდერობენ იმ მოთამაშეთა რეიტინგს, რომელთა ხილვაც მაყურებელს „ყველა ვარსკვლავის მატჩში" სურს.

გულშემატკივართა გამოკითხვაში საუკეთესო შედეგი „ლეიკერსის" ლიდერს აქვს - მას უკვე 1 380 292-მა ადამიანმა მისცა ხმა. შემდეგ მოდის კლივლენდელი ლებრონ ჯეიმსი, რომელსაც 1 351 292 ხმა აქვს.

თავად „ოლ სტარის" შეხვედრა 14 თებერვალს გაიმართება და ის კალათბურთის ისტორიაში შევა. როგორც უკვე ვწერდით, მატჩს დალასის Cowboys Stadium უმასპინძლებს, რომელიც 100 ათას მაყურებელს იტევს. NBA-ის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, უკვე გაყიდულია 80 ათასი ბილეთი, თუმცა ორგანიზატორებს მიაჩნიათ, რომ ეს რიცხვი, შესაძლოა, 100 ათასამდე გაიზარდოს. ასეთი აუდიტორია კალათბურთის მატჩს არასოდეს ჰყოლია.

■ ■ ■

ამასობაში, „ლეიკერსი" ბრაიანტის შენარჩუნებაზე ზრუნავს. ორი დღის წინ კალიფორნიულმა კლუბმა სამი წლით გააგრძელა კონტრაქტი ესპანელ **პაუ გასოლთან** და ახლა, მსგავსი ხელშეკრულების გაფორმებას აპირებს თავის ლიდერთან.

რა თქმა უნდა, ბრაიანტს უფრო მეტ თანხას სთავაზობენ, ვიდრე გასოლს. სამწლიანი თანამშრომლობის სანაცვლოდ კობი დაახლოებით 91 მილიონ დოლარს მიიღებს. შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში კობის ხელფასი 23 მილიონს უდრის, მომავალ წელს მცველი 24,8 მილიონს გამოიმუშავებს.

*„ვაგრძელებთ მოლაპარაკებებს ბრაიანტთან და მის წარმომადგენელთან. იმედი გვაქვს, რომ მალე მივაღწევთ შეთანხმებას",* - ამბობს „ლეიკერსის" გენერალური მენეჯერი **მიტჩ კუპჩაკი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


# ხომ გიყვართ კითხვა?

ჩაერთეთ აქციაში 31 დეკემბრამდე

„ჩვენ გჩუქნით წიგნებს!"

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო" და მედია სახლ „პალიტრის" კიდევ 1 გამოცემა, აირჩიეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L"-ის 3 ბესტსელერიდან ერთ-ერთი:

„დედამიწა"

„ცხოველები"

„მსოფლიოს დიდი ატლასი"




ავტომატურად თქვენ ხდებით „დიდი მხატვრების" სერიის ხელმომწერი




**მედია სახლ „პალიტრის" გამოცემები:**

| დასახელება | 1 ეგზ. ფასი | ეგზ. რაოდენობა 1 წლის მანძილზე | ფასი 1 წლით |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1.00 | 52 | 52.00 |
| სიტყვა და საქმე | 1.00 | 260 | 260.00 |
| სიტყვა და საქმე (კატალოგი) | 2.00 | 52 | 104.00 |
| ყველა სიახლე | 1.00 | 52 | 52.00 |
| გზა | 1.00 | 52 | 52.00 |
| რეიტინგი | 1.00 | 52 | 52.00 |
| არსენალი | 1.50 | 26 | 39.00 |
| კარიბჭე | 1.00 | 26 | 26.00 |
| ოჯახის მკურნალი | 1.00 | 26 | 26.00 |
| კარუსელი | 0.60 | 52 | 31.20 |
| საბავშვო კარუსელი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ბომონდი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ლელო | 0.60 | 312 | 187.20 |
| ათიანი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ოსკარი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2.00 | 12 | 24.00 |
| Georgian Journal | 2.00 | 52 | 104.00 |

დაგვიკავშირდით: პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"

www.elva.ge

☎ 38 26 73; 38 26 74;

მისამართზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში.
რაიონულ ცენტრებში, წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეგიძლიათ „ელვა.ჯი"-ს საბითუმო ვაჭრობის წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.